OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

PENAL REFORM INTERNATIONAL
Promoting fair and effective criminal justice

ქალთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებები საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში

კვლევის ანგარიში

თბილისი, 2016

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

კვლევის ანგარიში გამოცემულია ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

ქალთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებები საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში

კვლევის ანგარიში

ავტორი: ანტონ ქელბაქიანი

თანაავტორი: ნატალია ცაგარელი

საერთაშორისო კონსულტანტი: ჯოანა ბეიკერი

ანგარიში მომზადდა „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ პროექტის „საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების ადვოკატირება ქალთა უფლებების გაუმჯობესებისათვის“ ფარგლებში, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის ანგარიშში ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის გენდერული ასპექტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტების, რეგულაციების ანალიზი. კერძოდ, რამდენად არის გათვალისწინებული ეროვნულ კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალების მიმართ გენდერ-სპეციფიკური ფაქტორების, როგორც შემამსუბუქებელი გარემოებების გამოყენების პრიორიტეტულობა, რომელიც შეესაბამება აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს. კვლევა ასევე წარმოაჩენს არსებულ ბარიერებს, რაც ხელს უშლის „ბანგკოკის წესების“ იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე და შეიმუშავებს მათი გადაჭრის გზებს, რეკომედაციების სახით. კვლევა ასევე მოიცავს სხვადასხვა ქვეყნების წარმატებული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვას იმ სისხლის სამართლებრივ სისტემებზე, რომლებიც ითვალისწინებს ქალთა სოციალურ მზრუნველობით ვალდებულებებს და ვიქტიმურობას სასჯელის დანიშვნისას და სასჯელისაგან გათავისუფლებისას.

კვლევა ჩატარდა 2016 წლის მარტი-ივნისის თვეებში, და მოიცავს 2013-2015 წლების პერიოდს. კვლევის ანგარიშის ტექსტში გარკვეული ინფორმაცია განახლებული ფორმით არის მოცემული.

GENDER-SPECIFIC NEEDS AND PRIORITIES IN CRIMINAL JUSTICE SYSTEM OF GEORGIA FOR THE IMPROVEMENT OF WOMEN'S RIGHTS

Research Report

Women prisoners are a particularly vulnerable group. They are a group of humans living in a socially restricted environment, majority of whom had suffered from severe psychological, social and other problems even before, to be only exacerbated during imprisonment. Needs and priorities of accused and convicted women differ from those of men and may frequently be overlooked in the criminal justice system. Consideration of gender-specific needs and approaches in line with international standards gains importance during criminal proceedings and afterwards. Specifically, it is of utmost importance that a court takes into consideration such mitigating circumstances as care-taking responsibilities of women and their victimization history during decision-making. Also at the stage of release from punishment, consideration of these factors serves their successful reintegration into the society.

According to the UN Bangkok Rules, universal international standards adopted for women offenders in 2010, 'when sentencing women offenders, courts shall have the power to consider mitigating factors such as lack of criminal history and relative non-severity and nature of the criminal conduct, in the light of women's caretaking responsibilities and typical backgrounds'.

The goal of the project, funded by Open Society Georgia Foundation (OSGF), is to develop relevant recommendations through the analysis of criminal justice policy, practice and legislation; Support the consideration of gender-specific aspects during decision-making by judiciary and parole mechanisms; advocate for the legislative amendments and the use of non-custodial measures/sanctions with relevant policy-makers/bodies to reduce women's imprisonment; raise awareness of women's gender-specific needs in criminal justice system and negative impact of imprisonment, and advocate giving preference to non-custodial alternatives, where possible. For this purpose, a research has been undertaken to analyse the criminal justice policy, legislative acts, regulations and practice in relation to gender specific aspects.

The research was commissioned by PRI South Caucasus Regional Office and conducted by a local researcher, Anton Kelbakiani, with the assistance from Natalia Tsagareli, and in cooperation with an international human rights consultant, Joanne Baker.

The research was carried out between March and June of 2016 and covers the period of 2013-2015. The report text also includes some updated information. The research was carried out in different stages through requesting public information (statistics, etc.), analysing legislation and policy documents, interviews with NGO representatives working in the field, interviews with relevant government stakeholders, in-depth interviews with local experts and practitioners in the field, numerous focus groups, including with former women prisoners and probationers, with relevant NGOs and practicing lawyers.

Main findings of the research

The research has shown gaps and problems in different directions of the criminal justice system (of relatively severe nature). Active, decisive steps and drastic measures need to be undertaken to resolve these gaps and problematic issues. During the research process an impression was formed that individuals, who deal with women offenders in the criminal justice system, both on policy and practice level, have a vague understanding of gender-specific needs and do not consider these as a priority issue. Also, it seems that certain reforms and changes about gender-specific needs were carried out to show that the issue is addressed, but these changes had a very small impact on women in the criminal justice system. The research showed that more active, efficient measures are necessary to be taken in regards to considering women's needs. Nowadays, the focus is placed on training of personnel, which is not sufficient to resolve all existing problematic issues.

Based on the research findings the researcher drafted several recommendations addressed towards relevant responsible agencies, including the Ministry of Internal Affairs, Prosecutor's Office, the Courts, Ministry of Corrections, National Probation Agency, Parole Boards, policy decision-makers, etc. Recommendations cover a wide range of themes, including arrest and criminal prosecution, investigation and court trials, execution of the prison sentence, prisoner intake, medical examination upon admission, healthcare, treatment and rehabilitation of people with substance dependence, self-harm and suicide prevention, educational and rehabilitation programs for prisoners, pregnant women, breastfeeding women and women with children, disciplinary measures, prison personnel, girls in conflict with the law, execution of non-custodial sentences, transitional management, care after release, conditional sentence, individual approach, individual sentence planning, and the government policy.

Arrest and criminal prosecution – recommendations are mainly about the conditions of the Temporary Detention Isolators (TDI), where individuals spend up to 72 hours for criminal cases, and 15 days for administrative cases. According to the research findings, conditions in TDIs are often not in compliance with international standards in regards to light and ventilation, supervision by the same gender representative, provision of psychological support / service of a psychologist, provision of daily at least one hour of walking in the open air, provision of hygienic supplies envisaged by law, regulating the procedures of receiving parcels, conducting medical examination by staff of the same gender, documenting and responding to signs of violence on a woman's body based on Istanbul Protocol instructions, access to hot water and shower, provision of toilets in the cells and ensuring their privacy, etc.

Investigation and court trials – a wider variety of alternatives to pre-trial detention for women offenders be provided in the law, investigators working with women defendants be trained on gender-specific aspects and needs, diversion and alternative measures of imprisonment be more widely used in relation to women offenders. It is also recommended that pre-sentence reports on women's criminal cases be provided to judges to help their informed decision-making on sentencing and use of alternative measures.

Execution of the prison sentence – recommendations are made to create adequate risk and needs assessment system and individual sentence planning at the women's prison facility; to place life-term women prisoners in closed cells only in exceptional cases; to give possibility to pre-trial women prisoners to participate in various activities.

Prisoner intake – the research demonstrates that there are no clear guidelines and procedures on searches, especially on intrusive ones, which should be regulated in line with the international standards (Bangkok Rules). It is recommended that intrusive type of body searches should not be viewed as a regular procedure, but should be carried out in exceptional cases. It is recommended that these guidelines and procedures be elaborated and a better alternative would be to use body scanners.

Medical examination upon admission – elaborating clear procedures and tools to identify signs of abuse and violence upon admitting women prisoners in the establishment and for this purpose training personnel. It is important that procedures be in line with the Istanbul Protocol.

Healthcare – increasing the frequency of visits of invited doctors; also creating a separate electronic waiting list for women prisoners in order to ensure the efficient and timely implementation of regular healthcare procedures; ensuring implementation of preventive measures for women's healthcare.

Treatment and rehabilitation of women prisoners with substance dependence – it is of utmost importance to provide prisoners with information about the harmful impact of using drugs and to elaborate the procedure of preparing prisoners with substance dependence for release, based on their needs.

Educational and rehabilitation programmes for prisoners – provision of more educational and rehabilitation programmes for women prisoners (either from government budget, donor organizations, etc.), which will be based on their interests and needs.

Pregnant women, breastfeeding women and women with children – prisoners shall be informed about their right to short- and long-term visits envisioned in the legislation, family visits and other mechanisms of contact with the outside world; to provide socially vulnerable prisoners with at least one free phone call per month.

Disciplinary measures – solitary confinement and placement in cell-type rooms as disciplinary punishment shall be used only as a last resort against accused women / women convicts. It is also unacceptable to prohibit women to use their right to visits and phone calls as a form of disciplinary punishment. The regulations shall be elaborated which gives clear guidance on using disciplinary measures. This will ensure a consistent and uniform practice.

Prison personnel – it is important to have the consistent communication protocol, between the prisoner and the prison staff, regulated by law.

Girls in conflict with the law – the standard of separating juvenile female prisoners from women prisoners should be observed.

Execution of non-custodial sentences – it is noteworthy that the National Probation Agency implements different programmes, especially in regards to gender-specific needs of women probations and the role of rehabilitation programs' department in this, needs to be emphasized. Despite this, it should be noted that these programs are still not enough and do not respond to the existing needs. In 2014 only 11% of women probationers benefited from relevant services, and in 2015 – 17% of women probationers.

Transitional management – a quality control system shall be created, which shall supervise the efficient implementation of the preparation for release programme. The process shall be carried out with the participation of different government agencies, including the Center for Crime Prevention of the Ministry of Justice.

Government policy – the analysis of policy documents showed that indicators in relevant government action plans are not drafted using SMART principle, often there are no financial means indicated across the activity, the activities in government action plans often have several responsible bodies/agencies instead of one without clear delineation of responsibilities, risk factors possibly to hinder the implementation of a certain activity are not determined. Good coordination of all the activities among different stakeholders is needed to ensure their efficient implementation.

საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში ქალთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების კვლევა

სარჩევი

ნაწილი 1. კვლევის შესახებ 11
1.1 შესავალი 11
1.2 კვლევის მიზანი 11
1.3 კვლევის სტრუქტურა 12
1.4 მეთოდოლოგია 12
1.5 ძირითადი მიგნებები 13
1.6 რეკომენდაციები 14
ნაწილი 2. დაკავება/სისხლის სამართლებრივი დევნა 19
2.1 შესავალი 19
რეკომენდაციები 33
ნაწილი 3. გამოძიება და სასამართლოში საქმის განხილვა 35
3.1 შესავალი 35
3.2 ძირითადი ნაწილი 36
რეკომენდაციები 49
ნაწილი 4. საპატიმრო სასჯელის აღსრულება 50
4.1 შესავალი 50
4.2 ძირითადი ნაწილი 57
ა) პატიმრის მიღება და განთავსება 57
რეკომენდაციები 60
ბ) პატიმრის მიღებისას პერსონალური შემოწმება 60
რეკომენდაციები 63
გ) მიღებისას სამედიცინო შემოწმება 63
რეკომენდაციები 66
დ) ჯანმრთელობის დაცვა 66
რეკომენდაციები 68
ე) დამოკიდებულების მქონე პირთა მკურნალობა/რეაბილიტაცია 68
რეკომენდაციები 72
ვ) თვითდაზიანების და სუიციდის პრევენცია 73
ზ) პრევენციული ჯანდაცვა 74
თ) საყოფაცხოვრებო პირობები 76
ი) პირადი ჰიგიენა 77
რეკომენდაციები: 78

კ) საგანმანათლებლო - სარეაბილიტაციო პროგრამები 78
რეკომენდაციები 81
ლ) ფეხმძიმე ქალები, მეძუძური დედები და მცირეწლოვანი ბავშვის დედები 81
რეკომენდაციები 86
მ) გარე სამყაროსთან ურთიერთობა 86
რეკომენდაციები 88
ნ) დისციპლინური ღონისძიებები 89
რეკომენდაციები 91
ო) დაწესებულების პერსონალი 91
რეკომენდაციები 94
პ) არასრულწლოვანი გოგონები 94
რეკომენდაციები 96
ნაწილი 5. არასაპატიმრო სასჯელის აღსრულება 96
5.1 შესავალი 96
5.2 ძირითადი ნაწილი 96
ა) გარდამავალი მენეჯმენტი 96
რეკომენდაციები 103
ბ) პირობითი მსჯავრი. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულება 103
გ) ინდივიდუალური მიდგომა 109
რეკომენდაციები 112
ნაწილი 6. სახელმწიფო პოლიტიკა 113
6.1 შესავალი 113
6.2 ძირითადი ნაწილი 113
ა) ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმა 113
ბ) გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა 113
გ) სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 114
რეკომენდაციები 119

ნაწილი 1. კვლევის შესახებ

1.1 შესავალი

გენდერული უთანასწორობა მეტ-ნაკლები ხარისხით მრავალი საზოგადოებისთვისარისდამახასიათებელი.ცხოვრებისსხვადასხვა სფეროში ქალებს ხშირად უფრო ნაკლები უფლებამოსილება გააჩნიათ, ვიდრე მამაკაცებს. ძალაუფლების ეს დისბალანსი კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობა ისეთ საზოგადოებებში, სადაც რელიგიური ან კულტურული ნორმები, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები ქალებს არათანაბარ სტატუსს ანიჭებს. ცალკეული უფლებებით სარგებლობის ასეთი უთანასწორობა, სოციალური თუ კულტურული დამოკიდებულება და მრწამსი ყველაზე უფრო მკვეთრად დახურულ გარემოში იჩენს თავს, რომელიც საზოგადოების ანარეკლია და ფაქტობრივად ასახავს საზოგადოებაში არსებულ მიდგომებს, მენტალობასა და სტერეოტიპებს. ამავდროულად, ქალების გენდერული საჭიროებები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კიდევ უფრო ნაკლებადაა აღიარებული ვიდრე საზოგადოებაში, რადგანაც ამ დაწესებულებებში მამაკაცები დომინირებენ და გენდერული სპეციფიკა და საჭიროებები, გარდა ბავშვის დაბადებასა და ორსულობასთან დაკავშირებული საჭიროებებისა, არ არის სათანადოდ აღიარებული და გაცნობიერებული.რიგი კანონებისა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პატიმრობასთან, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს იმ რისკებზე, რომლებსაც ქალები ექვემდებარებიან მართლმსაჯულების სისტემასთან კონტაქტისას. ასეთ კანონმდებლობას მიეკუთვნება: სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც შეიძლება დისკრიმინაციული იყოს ქალების მიმართ, ან არ იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ სასამართლომ სათანადოდ გაითვალისწინოს ის გარემოებები და წინაპირობები, რომლებშიც ქალი აღმოჩნდა აღკვეთის ღონისძიების ან სასჯელის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ კანონმდებლობის შეცვლა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ქალები უკეთ იყვნენ დაცული არასათანადო მოპყრობისაგან, მით უფრო, რომ პირდაპირ დისკრიმინაციული ნორმები ხშირი არ არის. უაღრესად მნიშვნელოვანია არსებული პრაქტიკის, საკადრო პოლიტიკის, გენდერ სპეციფიკური მიდგომის დანერგვა და გაუმჯობესება.

1.2 კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალების გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების საკითხის შესწავლა მართლმსაჯულების სისტემაში. ნორმატიულ, პოლიტიკისა და პრაქტიკის დონეზე არსებული ხარვეზების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

1.3 კვლევის სტრუქტურა

კვლევის ავტორები შეეცადნენ მეტ-ნაკლები სისრულით შეესწავლათ დაკავებულ ქალთა მიმართ გენდერ-სპეციფიკური მიდგომები დროებითი მოთავსების იზოლატორებში, მათი მდგომარეობა საპატიმრო სასჯელის, არასაპატიმრო სასჯელის, სასამართლო განხილვისა და გარდამავალი მენეჯმენტის (სასჯელის მოხდისას გათავისუფლებისთვის მზადება და გათავისუფლების შემდგომ) პერიოდში. კვლევა დაყოფილია ცალკეულ თავებად სწორედ აღნიშნული სტრუქტურის მიხედვით, რომლებიც თავის მხრივ აერთიანებს შესავალს, ძირითად მიმოხილვასა და რეკომენდაციებს.

1.4 მეთოდოლოგია

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- **სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი** - აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში, მოხდა კვლევისათვის საჭირო საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, სასამართლოდან, პროკურატურიდან, იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საშუალებით შესაძლებელი გახდა გენდერ-სპეციფიკური საკითხების შესახებ 2013-2015 წლის მიდგომების და დინამიკის გაანალიზება (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რიგი უწყებების მხრიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია სრულად არ ყოფილა მოწოდებული და ცალკეული საკითხები უპასუხოდ დარჩა).

- **არსებული სიტუაციის (კანონმდებლობის, პრაქტიკის, პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების) ანალიზი** - გულისხმობს, მართლმსაჯულების სფეროში არსებული კანონმდებლობის (ნორმატიული აქტების) ანალიზს გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების ჭრილში, აგრეთვე არსებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების) შეფასებას.

- **ინფორმაციის მეორადი ანალიზი** - მეორადი ანალიზის ფარგლებში განხორციელდა საქსტატის მიერ დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის ნაწილის, აგრეთვე ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების გადამუშავება კვლევის ინტერესის სფეროს გათვალისწინებით, სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშების გააზრება საკვლევი კონტექსტის ფარგლებში.

- **ფოკუს ჯგუფები** - აღნიშნული მეთოდი,ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საკვლევ საკითხზე ინფორმაციის მიღებას; მეორე მხრივ, ფოკუსირებული დისკუსიისას იქმნება ერთგვარი მიკრო სოციალური ჯგუფის მოდელი, რესპონდენტთა ერთობლივი მსჯელობა ხელს უწყობს საკვლევ თემაზე დისკუსიას, ჯგუფური გავლენის ხარისხის იდენტიფიცირებას და საკვლევი საკითხის შესახებ მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღებას.

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კვლევის საწყის ეტაპზე,ასევე, ადვოკატებთან და ბენეფიციარებთან. ბენეფიციარებთან შეხვედრისას, განხილულ იქნა მათ სისხლის სამართლის საქმეებში არსებული ხარვეზები, რომლებიც ასახული არის კვლევაში. სულ ჩატარდა 5ფოკუს ჯგუფის შეხვედრა.

- **ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი (ნახევრად სტრუქტურირებული)** - აღნიშნული მეთოდის საშუალებით რესპონდენტების მხრიდან მიღებული იქნა ინფორმაცია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, მათი დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ. **ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები** ჩატარდა მოსამართლეებთან, გენდერულ თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, მთავარი პროკურატურის წარმომადგენელთან, საქართველოს პარლამენტის გენდერული საბჭოს წარმომადგენელთან, პრემიერ მინისტრის მრჩევლის (ადამიანის უფლებების დაცვის და გენდერულ საკითხებში) აპარატის წარმომადგენელთან, ქალთა პენიტენციური დაწესებულების მთავარ ექიმთან და სამედიცინო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდის საშუალებით უზრუნველყოფილი იქნა რესპონდენტების მხრიდან საკვლევ საკითხზე მაქსიმალურად ღრმა და მრავალმხრივი ინფორმაციის მიღება. სულ ჩატარდა 12 ჩაღრმავებული ინტერვიუ.

1.5. ძირითადი მიგნებები

კვლევამ ცხადყო, რომ მართლმსაჯულების სფეროში თითქმის ყვე-ლა მიმართულებით არსებობს საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზები (მეტ-ნაკლები სიმწვავით), რის გამოსწორებასაც სჭირდება აქტიური, გადამჭრელი ნაბიჯების გადადგმა. კვლევის ფარგლებში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ხშირად იმ ადამიანებს, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ქალებთან მართლმსაჯულების სისტემაში (როგორც პოლიტიკის, ასევე პრაქტიკის დონეზე) საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ქალთა გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებზე და აღნიშნულ საკითხს პრიორიტეტულ მიმართულებად ნაკლებად განიხილავენ. ასევე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ცალკეული ცვლილებები გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების კუთხით ხშირად არის ფასადური, მიზნად ისახავს ისეთი სურათის შექმნას, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა რეალურად მართლმსაჯულების სისტემასთან შეხებაში მყოფ ქალებზე ეს ნაკლებად აისახება. კვლევის ფარგლებში გამოჩნდა, რომ საჭიროა უფრო ქმედითი, რეალური ზომების მიღება ქალთა საჭიროებების გათვალისწინების კუთხით და ამისთვის მხოლოდ თანამშრომელთა გადამზადება (რაზეც უმეტესად კეთდება აქცენტი) საკმარისი არ არის.

1.6 რეკომენდაციები

დაკავება / სისხლის სამართლებრივი დევნა

- **დროებითი მოთავსების იზოლატორებში (საკნებში სადაც იმყოფებიან ქალები) უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი განათება და ვენტილაცია, რაც გამორიცხავს ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელყოფას;**
- **ქალების დროებითი მოთავსების იზოლატორებში ყოფნის დროს უზრუნველყოფილი იქნას არა მხოლოდ მათი მიღების პროცედურის წარმართვა ქალი თანამშრომლის მიერ, არამედ დმი-ში ყოფნის მთელ პერიოდში იმავე სქესის პირის მხრიდან ზედამხედველობის განხორციელება;**
- **დმი-ში მოთავსებული ქალები უზრუნველყოფილი იყვნენ პროფესიონალი ფსიქოლოგის მომსახურეობით;**
- **უზრუნველყოფილი იყოს 24 საათში ერთხელ თითოეული ქალის სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლება, შესაბამისად ყველა დმი-ში მოეწყოს სასეირნო ტერიტორია სუფთა ჰაერზე, რომელიც ნებისმიერ ამინდში შესაძლებელს გახდის გასეირნების უფლების რეალიზებას;**
- **აღმოიფხვრას გარეგნული დათვალიერებისას შსს-ს თანამშრომლის რუტინულად დასწრების პრაქტიკა და მისი დასწრება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი საჭიროების (დაკავებულისგან მომდინარე საფრთხე) შემთხვევაში;**
- **დაკავებული ქალებისთვის უზრუნვლყოფილი იქნას კანონმდებლობით ნებადართული ჰიგიენური საშუალებების გადაცემა;**
- **ამანათის, აგრეთვე დამატებითი ჰიგიენური საშუალებების მიღების პოცედურა დეტალურად გაიწეროს დმი-ს დებულებაში და აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება არ იყოს დამოკიდებული დმი-ს ხელმძღვანელის დისკრეციაზე;**
- **დაკავებული ქალის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნას გარეგნული დათვალიერების ჩატარების შესაძლებლობა იმავე სქესის პირის მხრიდან;**
- **დაკავებული ქალის სხეულზე აღმოჩენილი ძალადობის ნიშნების, ან ძალადობის შესახებ შესაბამისი განცხადების არსებობის შემთხვევაში, დაზიანებების აღწერა და დოკუმენტირება განხორციელდეს ,,სტამბოლის ოქმით“ განსაზღვრული** ინსტრუქციების შესაბამისად;
- **ძალადობის ნებისმიერი ფაქტი გამოძიებული იქნას დროულად და ობიექტურად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საშუალებით;**
- **დმი-ში ყოფნის პერიოდში ქალები უზრუნველყოფილნი იყვნენ შხაპის მიღების უფლებით, კბილის გახეხვის შესაძლებლობით;**

- აღმოიფხვრას თბილისსა და რეგიონში მყოფი ქალების კვების სტანდარტებს შორის არსებული განსხვავება და გატარდეს ზომები არსებული უთანასწორო მიდგომის აღმოფხვრის და ქალების (მათ შორის ორსული ქალების) შესაბამისი კვების სტანდარტებით უზრუნველყოფის მიმართულებით;
- საკვების მიწოდება განხორციელდეს კანონმდებლობით დაშვებული ჭურჭლის მეშვეობით, რათა ქალების კვება განხორციელდეს მათი ღირსების დაცვით;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში უზრუნველყოფილი იქნას საპირფარეშოს საკანში განთავსება და მისი სრული პრივატულობა;
- უზრუნველყოფილი იქნას დაკავებული ქალებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე უფლებების განმარტება და მათთვის უფლება-მოვალეობების წერილობით გადაცემა;
- დმი-ს პერსონალი გადამზადდეს ქალთა მიმართ ძალის გამოყენების სპეციფიკის კუთხით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალების მიმართ მინიმალური საჭირო ძალის გამოყენება, აგრეთვე მიღებულ იქნას რეგულაცია ძალის გამოყენების შემდეგ, სამედიცინო პერსონალის მხრიდან ქალთა სავალდებულო წესით შემოწმების შესახებ;
- უზრუნველყოფილი იქნას ქალთა ბადრაგირების პროცესში, სულ მცირე ერთი, იმავე სქესის თანამშრომლის მონაწილეობა;
- გადაიხედოს და შეიცვალოს ყველა არსებული პრაქტიკა, რაც იწვევს ქალი დაკავებულების ღირსების შელახვას, ასევე მათ არაადამიანურ პირობებში მოთავსებას.

გამოძიება და სასამართლოში საქმის განხილვა

- **განხილული იქნას ქალების მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახეების რაოდენობის გაზრდის საკითხი;**
- **განხილულ იქნას გარკვეულ შემთხვევებში (განგრძობადი პერიოდის მანძილზე მსხვერპლად ყოფნის გამო, არასრულწლოვანი შვილების ყოლის შემთხვევაში) სასჯელის განსაზღვრისთვის წინასასამართლო ანგარიშის მომზადების საჭიროების საკითხი;**
- **გამომძიებლებმა, რომლებიც ქალ ბრალდებულთა საქმეებს აწარმოებენ გაიარონ გადამზადება გენდერ-სპეციფიკური საჭიროებებისა და სპეციფიკის კუთხით;**
- **ჩამოყალიბდეს ქალების (როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი, ასევე მოწმე და დაზარალებული) დაკითხვის სახელმღვანელო პრინციპები;**
- **მაქსიმალურად იქნას გამოყენებული განრიდება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სხვა ალტერნატიული ზომები;**
- **მოსამართლეებს მიეცეთ დისკრეციული უფლებამოსილება,**

შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დანიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დაბალ ზღვარზე დაბალი სასჯელი.

საპატიმრო სასჯელის აღსრულება

- ქალ მსჯავრდებულებთან მიმართებაში შეიქმნას რისკების შეფასების სისტემა და უვადო თავისუფლებააღკვეთილი ქალები დახურულ სისტემაში განთავსდნენ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში;
- შეიცვალოს ბრალდებული ქალების მიმართ არსებული რეჟიმი და მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის აქტივობებში.
- ჩამოყალიბდეს ქალი პატიმრების მიღებისას სრული შემოწმების სახელმძღვანელო პრინციპები, რომ აღნიშნული არ წარმოადენდეს აუცილებელ პროცედურას და ხორციელდებოდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში;
- შეწყდეს ე.წ „ჩაბუქვნების პრაქტიკა“ და არ წარმოადგენდეს გინეკოლოგიური შემოწმების ალტერნატივას;
- ჩამოყალიბდეს ე.წ. „ინვაზიური შემოწმების“ პროცედურები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან (სადაც უპირატესობა მიენიჭება სკანერით შემოწმებას).
- შემუშავდეს ქალი პატიმრის მიღებისას სექსუალური ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირებისათვის შესაბამისი პროცედურები და ინსტრუმენტები. ამ მიზნით მოხდეს შესაბამისი პერსონალის გადამზადება;
- მიღებისას პატიმართა დაზიანებების აღწერა განხორციელდეს ე.წ „სტამბოლის ოქმის“ შესაბამისად.
- სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას მოწვეულ ექიმ-კონსულტანტთა სათანადო სიხშირის ვიზიტები;
- უზრუნველყოფილ იქნას მსჯავრდებულების დანიშნული მედიკამენტებით მომარაგება;
- უზრუნველყოფილი იქნას პატიმარი ქალებისთვის ცალკე ელექტრონული ბაზისშექმნა გეგმიური სამედიცინო მომსახურების მიღების დროული და ეფექტური განხორციელებისათვის;
- უზრუნველყოფილ იქნას ქალი პატიმრებისთვის პრევენციული ჯანდაცვის ღონისძიებების გატარება.
- ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით სისტემატურად მიეწოდოთ ინფორმაცია პატიმრებს;
- შემუშავდეს გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი (ე.წ „გარდამავალი მენეჯმენტი“) ნარკოტიკებზე დამოკიდებულების

მქონე პირთა მიმართ;

- მოხდეს ხელშეწყობა, რომ იმ დაწესებულებებში, სადაც ქალი პატიმრები არიან განთავსებული, ჩატარდეს კვლევები, რომ განისაზღვროს კონკრეტული საჭიროებები ზემოაღნიშნული სტანდარტების ფარგლებში.
- სააბაზანოები მოეწყოს დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;
- უზრუნველყოფილ იქნას საკნებში ცხელი წყალი.
- ქალ პატიმრებთან მიმართებაში დაინერგოს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამა (საბიუჯეტო, დონორი ორგანიზაციების მიერ), რომელიც მორგებული იქნება არსებულ საჭიროებებს;
- ინდივიდულური მიდგომის ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით ჩამოყალიბდეს შესაბამისი ინსტრუმენტები.
- შემუშავდეს მცირეწლოვანი ბავშვის მიღების, დედასთან ერთად თანაცხოვრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების და ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვების პროცედურები, ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით;
- მოხდეს დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების სათანადო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფა;
- დედათა და ბავშვთა განყოფილება უზრუნველყოფილი იქნას ბავშვის მომვლელით ან/და სხვა დამხმარე პერსონალით;
- მოხდეს პატიმრების სისტემატური ინფორმირება საოჯახო პაემნის და დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლების განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე;
- შეიქმნას საოჯახო პაემნის და დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლების ეფექტიანად განხორციელების მექანიზმები;
- სოციალურად დაუცველ პატიმარ ქალებს მიეცეთ შესაძლებლობა, თვეში მინიმუმ ერთხელ ისარგებლონ უფასო სატელეფონო საუბრის უფლებით;
- მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყოს გამოყენებული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიმართ დისციპლინური ღონისძიების სახით საკნის ტიპის სადგომში გადაყვანა და სამარტოო საკანში მოთავსება;
- გაუქმდეს ნორმა, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინური ღონისძიების სახით ხანმოკლე პაემნის და სატელეფონო საუბრის აკრძალვას;
- ჩამოყალიბდეს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც უზრუნველყოფს ამ ღონისძიებების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას;
- შევიდეს ცვლილება კანონმდებლობაში და ჩამოყალიბდეს

პატიმრებსა და პერსონალს შორის მიმართვის ერთგვაროვანი სტანდარტი;

- უზრუნველყოფილ იქნეს არასრულწლოვანი გოგონების განცალკევებით განთავსების შესაძლებლობა.

არასაპატიმრო სასჯელის აღსრულება

- შევიდეს ცვლილება კანონმდებლობაში და ჩამოყალიბდეს ქალთა საქმეების განხილველი ადგილობრივი საბჭოს წევრების შერჩევის კრიტერიუმები, რომლებიც ასევე მოიცავს მათ სავალდებულო გადამზადებას ქალთა გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით;
- ჩამოყალიბდეს ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელიც სუპერვიზიას გაუწევს გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის ეფექტიანად განხორციელების პროცესს;
- გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში ჩართული იქნას დანაშაულის პრევენციის ცენტრი და სამართლებრივად დარეგულირდეს მათი ფუნქციები ამ პროცესში.
- უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები ყველა მსჯავრდებული ქალის მიმართ, ვისაც ამის საჭიროება აქვს;
- განხორციელდეს ინდივიდუალური მიდგომის პროცესში არსებული პროცედურების და ინსტრუმენტების გადახედვა, რომ აღნიშნული პროცესი არ წარმოადგენდეს ფორმალობას.

სახელმწიფო პოლიტიკა

- სამოქმედო გეგმებში ინდიკატორები განისაზღვროს “SMART” პრინციპით;
- სამოქმედო გეგმებში თითოეული აქტივობის შესრულების მიზნით განისაზღვროს კონკრეტული მოცულობის თანხა და მისი მოძიების გზები;
- სამოქმედო გეგმებში თითოეული აქტივობის შესრულებაზე განისაზღვროს კონკრეტული პასუხისმგებელი უწყება;
- სამოქმედო გეგმებში კონკრეტული აქტივობის საჭიროება განისაზღვროს მტკიცებულებებზე დაყრდნობით;
- სამოქმედო გეგმებში კონკრეტული აქტივობის შერულებასთან დაკავშირებით განისაზღვროს რისკ-ფაქტორები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მის შესრულებას;
- სამოქმედო გეგმებში აქტივობების განსაზღვრა განხორციელდეს სხვადასხვა უწყებებთან კოორდინირებულად, იმ მიზნით, რომ არ მოხდეს გეგმებში ასახული აქტივობების გადაფარვა.

ნაწილი 2. დაკავება/სისხლის სამართლებრივი დევნა

2.1 შესავალი

როგორც კვლევის ფარგლებში გახდა ნათელი, დაკავებული ქალების უფლებები უფრო ნაკლებად არის შესწავლილი და ნაკლებად ექვემდებარება მონიტორინგს დროებითი მოთავსების იზოლატორში (დმი) გენდერ სპეციფიკური კუთხით, ვიდრე თავისუფლება-აღკვეთილ ქალთა მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში. მართალია, არსებობს ინფორმაცია დროებითი მოთავსების ადგილებში ზოგადად არსებული სიტუაციის შესახებ, თუმცა ეს გენდერ-სპეციფიკურ ჭრილში გააზრებული არ არის. აღნიშნული კვლევის ფარგლებში ნაკლებად შევეხებით ძირითად პრობლემატიკას, რომელიც საერთოა ყველა დაკავებულისთვის და ზოგადად ხელყოფს დაკავებულთა უფლებებს. შევეცდებით აქცენტი გავაკეთოთ მხოლოდ იმ პრობლემებზე, რომლებიც გენდერ სპეციფიკური კუთხით გამოიკვეთა მოცემული კვლევის ფარგლებში. დმი-ში არსებული მდგომარეობის კრიტიკული ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან თუნდაც აღკვეთი ღონისძიების შეფარდებამდე (72 სთ-მდე), ასევე ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდის პირობებში (რაც შესაძლოა 15 დღეს შეადგენდეს) ქალთა საჭიროებების უზრუნველყოფას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაკავებული ქალები, მართლმსაჯულების სისტემასთან შეხების პირველ ეტაპზე ხვდებიან სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში და მნიშვნელოვანწილად სწორედ იქ უწევთ ოჯახთან, შვილებთან განშორებისა და დახურულ ინსტიტუციაში მოხვედრის პირველი სტრესის გადატანა. ამას ადასტურებს კვლევის ფარგლებში ჩატარებული 2 ფოკუს ჯგუფი ბენეფიციარებთან, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ პირველადი ძლიერი სტრესის გადატანა სწორედ დმი-ში ყოფნის პერიოდში მოუხდათ, რაც განპირობებული იყო როგორც ოჯახთან და შვილებთან განშორებით, აგრეთვე იმით რომ არ იცოდნენ რა ელოდათ მომავალში. მათი უმრავლესობა ასე იხსენებს პირველ კონტაქტს დროებითი მოთავსების იზოლატორთან:

„აბსოლუტურად ბნელ ოთახში, მკაფიოდ მახსოვს, სადაც იყო საშინელი სუნი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. მსგავსი სუნი არ მინახავს არსად, საშინელი სუნი იყო. საჭმელი რომ შემოიტანეს, ვერ ვჭამე. წყლის გადავლების და ხელის დაბანის საშუალება, რა თქმა უნდა, არ იყო“.

„დროებითი მოთავსების იზოლატორში ის საშინელი სუნი ყველას ახოვს ალბათ, ბნელი ოთახი და სადღაც ჭერში პატარა სარკმელი, ვერ ვიგებდი დღე იყო, ღამე, თუ რომელი მონაკვეთი დღის“.

„დროებითი მოთავსების იზოლატორში პირველად შესვლისას, ვიკითხე ხომ არ იყვნენ იქ ვირთხები“.

„რომ შედიხარ საკანში, არის საზიზღარი სუნი, ბნელა, ღია საპირფარეშოა, საშინელებაა, ეს უნდა შეიგრძნო, ვერ მოვყვები. ჭერში არის პატარა სარკმელი, და ვერ გაიგებ ღამეა, დღეა, რა მონაკვეთია, ცუდი ფსიქოლოგიური მოქმედება აქვს“.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში ქალთა რაოდენობა 2013-2015 წლებში

წლები	შესახლებულთა სრული რაოდენობა	შესახლებულ ქალთა რაოდენობა
2013	16553	374
2014	17087	442
2015	16416	447

როგორც მოცემული ცხრილი ცხადყოფს 2013-დან 2015 წლის ჩათვლით შეინიშნებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ ქალთა რაოდენობის მცირედი ზრდის ტენდენცია. თუ 2014 წელს ეს დაკავშირებული იყო შესახლებულთა საერთო რაოდენობის ზრდასთან, 2015 წელს, მაშინ, როდესაც დმი-ში შესახლებულ პირთა საერთო რაოდენობის ყველაზე მცირე მაჩვენებელი დაფიქსირდა, ქალთა რაოდენობამ ამ სამი წლის მანძილზე ყველაზე დიდ ნიშნულს მიაღწია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №108 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესისა და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საკმაოდ ზოგადი და მოძველებული დოკუმენტია, შესაბამისად არ ითვალისწინებს ქალი დაკავებულების გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებს, მეტიც, მოიცავს ისეთ ნორმებს, რომელიც არსებული უფლებების რეალიზებას უკავშირებს დმი-ს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებას. კერძოდ, ბრძანებაში აღნიშნულია, რომ იზოლატორში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის ღირსეულ არსებობას, პატივისა და ღირსების პატივისცემას, თუმცა დოკუმენტი არ ითვალისწინებს გენდერ-სპეციფიკურ პირობებს ქალებისათვის. ამასთან, როგორც კვლევის ფარგლებში ჩატარებული ორივე ფოკუს ჯგუფის შეხვედრისას მონაწილეებმა განაცხადეს, დმი-ში ფაქტიურად არანაირი პირობა არ არსებობს, არ არის შხაპის მიღების საშუალება, ცივი წყლის მოშვება მხოლოდ გარედან არის შესაძლებელი ზედამხედველების მიერ, ამასთან გარედან ხდება სასმელი წყლის მოშვებაც (ბუნებრივია აქ არ შეიძლება მოიაზრებოდეს ყველა დმი საქართველოში და საუბარია იმ იზოლატორებზე, სადაც ბენეფიციარებს მოუწიათ ყოფნა).

დროებითი მოთავსების იზოლატორის ტიპური დებულების თანახმად (მუხლი 2):

„1. დაკავებულ პირს ნებადართული აქვს საკანში თან იქონიოს და შეინახოს:

ა) ერთი კომპლექტი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ქუდი სეზონის მიხედვით;

ბ) ერთი წყვილი ღამის ტანსაცმელი, წინდა, ხელთათმანი;

გ) ერთი წყვილი ოთახის ჩუსტები ან სპორტული ფეხსაცმელი;

დ) ერთი ცალი კბილის ფხვნილი, კბილის ჯაგრისი, ტუალეტის და სარეცხის საპონი, პლასტმასის საპნის ყუთი, სავარცხელი;

ე) საკვები პროდუქტი და სხვადასხვა საოჯახო საგნები მიღებული ამანათით;

ვ) საკვები, მათ შორის – ყველი, ძეხვეული, ხილფაფა, კანფეტი, ჯემი, ბოსტნეული, ხილი, პურ-ფუნთუშეული, ხორცეული (ძვლის გარეშე), თევზი (ფხის გარეშე), წვნიანი, საწებელი;

ზ) სიგარეტი და ასანთი;

თ) სათვალე, პროთეზი, ყავარჯენი (შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის);

ი) მოსვლის დღიდან მიღებული წერილები და საბუთები, ქვითარი ფულის მიღებაზე და ძვირფასი ნივთების ჩაბარებაზე;

კ) იმ ავადმყოფთა კატეგორიის მქონე დაკავებულ პირებს, რომლებსაც მუდმივად ესაჭიროებათ მედიკამენტური მკურნალობა – ექიმის ნებართვით შესაბამისი მედიკამენტები;

ლ) წიგნები და ჟურნალები.

მ) სტანდარტული ჭიქა, კოვზი;

ნ) მისი დაკავების ან დაპატიმრების თაობაზე არსებულ საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები და ჩანაწერები კანონით დადგენილ ფარგლებში;

ო) მდედრობითი სქესის პირებს ჩამოთვლილის გარდა უფლება ეძლევათ ჰქონდეთ თან და შეინახონ საკანში: ორი თავსაფარი, რეიტუზი, ბინტი, ბამბა, კრემი, სხვა ჰიგიენური ნივთები, დანარჩენი ნივთები ინახება საწყობში და გადაეცემა მოთხოვნისამებრ.

2. დაკავებულ პირებზე საკნებში შესაბამისი ნებადართული საგნების, ნივთებისა და კვების პროდუქტების გადაცემაზე კონტროლს ახორციელებს უშუალოდ იზოლატორის უფროსი, რომელიც ასევე, თავის მხრივ, მისი შეხედულებისამებრ, ღებულობს გადაწყვეტილებას კონკრეტულ შემთხვევებში ამანათის გადაცემა-არგადაცემის შესახებ.“

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, დროებითი მოთავსების იზოლატორების დიდ ნაწილში **დაცული არ არის ბუნებრივი ვენტილაციისა და განათების სტანდარტები, აგრეთვე სანიტარული ნორმები**.ფოკუს ჯგუფის

მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ საკანში არსებული სიბნელის გამო, ფაქტიურად, დაკარგული ჰქონდათ დროის აღქმის უნარი და ვერ ასხვავებდნენ გარეთ დღე იყო თუ ღამე. მათივე განმარტებით, საკნებში იყო უსიამოვნო სუნი, რაც უკავშირდება არასაკმარის ვენტილაციას. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგის მონაცემებით, განსაკუთრებით რეგიონებში, დროებითი მოთავსების ადგილებში **არ არის ხელმისაწვდომი ისეთი ელემენტარული ჰიგიენური საშუალებები,** როგორიცაა საპონი, სუფთა პირსახოცები, კბილის პასტა, ჯაგრისები, ტუალეტის ქაღალდი, ერთჯერადი თეფშები, რის გამოც, ხშირად, საკვების მიღება დაკავებულებს თაბახის ფურცლებით უწევთ. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი გარემოებების არსებობის პირობებში, დამატებითი თავსაფრის, რეიტუზისა და სხვა ჰიგიენური ნივთების (რომლებიც, ხშირად, დმი-ში ფიზიკურად ხელმისაწვდომი არ არის) საკანში შენახვის უფლების მინიჭება ქალი დაკავებულების ან ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის ვერ ჩაითვლება გენდერ სპეციფიკურ მიდგომად და მასზე აპელირება სხვა დეკლარირებული უფლებების დარღვევის ფონზე, შესაძლოა, ცინიკურადაც ჟღერდეს. ფოკუს ჯგუფის (ბენეფიციარების) მონაწილეთა განმარტებით, დმი-ში ყოფნის პერიოდში, მათ არ ეძლეოდათ დაბანის, კბილის გახეხვის საშუალება. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის განმარტებით, რადგან მას ვერავინ აწვდიდა ამანათს, იძულებული იყო საკანში გაერეცხა საცვლები ცივი წყლით და იქვე გაეშრო. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა განმარტებით, განათება საკნებში იმდენად ცუდი იყო, რომ დმი-ში გატარებულმა რამდენიმე დღემ მნიშვნელოვნად დაუზიანამათ მხედველობა. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ნაწილის განმარტებით, მათთვის გადაცემული პლედის უხარისხობის გამო, მისი დაფარება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო (ნაწილს დასაფარებელი საერთოდ არ გადასცემია), რის გამოც, ტანსაცმლით უხდებოდათ წოლა. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, მისთვის არ იყო ხელმისაწვდომი ტუალეტის ქაღალდი, რომლის მაგივრობაც უნდა გაეწია ცივ წყალს, რომელსაც პერიოდულად გარედან უშვებდა ზედამხედველი.მეორე შემთხვევაში, ფოკუს ჯგუფის მონაწილემ განმარტა, რომ დაკავებისას მას ჰქონდა მენსტრუალური ციკლი, შესაბამისად ესაჭიროებოდა ჰიგიენური საფენები, რაც მისთვის დმი-ში ხელმისაწვდომი არ იყო:„მე მქონდა ეგ დღეები და საშინელ მდგომარეობაში ვიყავი. თან მეცვა ჯინსის შარვალი და რა მექნა და რა მეთქვა არ ვიცოდი. ტირილით დავუძახე ქალს, რომელმაც მითხრა რომ არ ჰქონდა ჰიგიენური საშუალებები და მხოლოდ ხელსახოცი მომცა“.პირობები, როდესაც ქალებს უხდებოდათ ყოფნა პირადი ჰიგიენის დაცვის გარეშე, ჭუჭყიანი ტანსაცმლით, რაც ცალსახად არ შეესაბამება ადამიანის ღირსებას, შესაძლოა განხილული იქნას როგორც ღირსების შემლახავი მოპყრობა.

რუსთავის დმი-ში მოთავსებული დაკავებულის განმარტებით, საკვებიდან მას გადაეცემოდა მხოლოდ ჩაი, პური და ერთჯერადი სუპი. პურის გადაცემა ხდებოდა პარკით, არ ჰქონდათ თეფში და არც სხვა სახის ჭურჭელი. რაც განსაკუთრებით საგანგაშოა, ფოკუს ჯგუფის წევრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ქალი თანამშრომლისა და ექიმის მიერ მათი თავდაპირველი

მიღებისშემდეგ,მათზედამხედველობასახორციელებდნენმამაკაცი თანამშრომლები. გარდა იმისა, რომ ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისოსტანდარტებსა დაადგილობრივ კანონმდებლობას, ქმნის მნიშვნელოვან უხერხულობას ეთიკური თვალსაზრისითაც. კერძოდ „ქალებისთვის განკუთვნილ ციხეში ზედამხედველობას უნდა ახორციელებდნენ ქალი თანამშრომლები, ისინი უნდა ფლობდნენ ქალთა ციხის გასაღებს. მამაკაცი ზედამხედველები არ უნდა შედიოდნენ ქალებისათვის განკუთვნილ ნაწილში, თუ მათ არ ახლავს ქალი თანამშრომელი.“[1] ამასთან, დმი-ს დებულების მიხედვით: „იზოლატორში მოთავსებული მდედრობითი სქესის ნაწილს აკონტროლებს ქალთა სქესის მომსახურე პერსონალი. აღნიშნული კონტიგენტის სამედიცინო მომსახურება ხორციელდება ქალი ექიმების მიერ“.[2] თუ ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა განმარტებით ვიმსჯელებთ, რიგ შემთხვევებში, აღნიშნული მიმართულებით არსებული საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი ნორმები არ სრულდება.

მართალია დაკავებულებს აქვთ ამანათის მიღების უფლება, თუმცა ხშირად იმის გამო, რომ - ქალი ზედამხედველები ყველა დმი-ში უზრუნველყოფილი არ არის (თუნდაც დაკავებული პირის ქალი თანამშრომლის მიერ მიღების მიზნით), აგრეთვე იმის გამო, რომ სასეირნო ეზო (ადმინისტრაციული პატიმრობის შემთხვევაში) არ არის მოწყობილი ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში, ქალი დაკავებულები (ადმ. პატიმრები) ხშირად გადაყვანილნი არიან საკუთარი ოჯახებიდან მოშორებით რეგიონულ ცენტრებში - დაკავებულთა ნაწილს არ ჰყავს ამანათის მიმწოდებელი ოჯახის წევრები. ამასთან ყველა ოჯახს არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა ამანათი მიაწოდოს დაკავებულს, აქედან გამომდინარე კიდევ უფრო მწვავედ დგას სახელმწიფოს მხრიდან დაკავებულთა შესაბამისი, ღირსეული პირობებით უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების საკითხი. „ბანგკოკის წესების“ თანახმად, „შესაძლებლობის ფარგლებში, მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ საცხოვრებელი ადგილიდან შორს განთავსებით გამოწვეული არახელსაყრელი პირობები ქალებისთვის გაწონასწორდეს და გამოსწორდეს.“[3] ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც მოცემულ ბრძანებაშია აღნიშნული, დაკავებულ პირებზე საკნებში შესაბამისი ნებადართული საგნების, ნივთებისა და კვების პროდუქტების გადაცემაზე კონტროლს ახორციელებს უშუალოდ იზოლატორის უფროსი, რომელიც ასევე, თავის მხრივ, მისი შეხედულებისამებრ, ღებულობს გადაწყვეტილებას კონკრეტულ შემთხვევებში ამანათის გადაცემა-არგადაცემის შესახებ. “ბანგკოკის წესების“ (წესი 5) თანახმად, ქალი პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შესაბამისი საშუალებებითა და ნივთებით, რაც დააკმაყოფილებდა ქალთა განსაკუთრებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს. ქალებს არ უნდა

---

1 პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (,,ნელსონ მანდელას წესები“), წესი81

2 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №108, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, თავი III, მუხლი 8(4).

3 გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (,,ბანგკოკის წესები“), წესი26

უხდებოდეთ ჰიგიენური საშუალებების თხოვნა, დამამცირებელ მდგომარეობაში აღმოჩენა (მით უფრო მამაკაცი ზედამხედველების პირობებში), რაც ასევე უნდა გავრცელდეს დაკავებულ ქალებზე. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ჰიგიენური საშუალებები იმ რაოდენობით მიეწოდოთ ქალებს, რომ მათ არ უხდებოდეთ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენა საწყობიდან ნივთების მოთხოვნისას, მით უფრო, რომ ამაზე თანხმობას იძლევა დმი-ს ხელმძღვანელი, რომელიც, როგორც წესი, მამაკაცია. ამავე წესების თანახმად: „ქალი პატიმრების განთავსების ადგილს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საშუალებები და ნივთები, რაც დააკმაყოფილებს ქალთა განსაკუთრებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს... რომელიც მიწოდებული უნდა იქნას რეგულარულად და უფასოდ.“ ფოკუს ჯგუფების შედეგად ცხადი გახდა, რომ დაკავებულ ქალებს, ფაქტიურად, არ მიეწოდებოდათ ჰიგიენური საშუალებები და უხდებოდათ ყოფნა ღირსების შემლახავ პირობებში. „მანდელას წესების“ თანახმად, პატიმრებს მოეთხოვებათ პირადი ჰიგიენის დაცვა, ამისთვის მათ უნდა მიეწოდებოდეთ წყალი და თავის მოვლის საშუალებები, რაც უზრუნველყოფს მათ ჯანმრთელობასა და სისუფთავეს.[4]

ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ **ამანათის მიღება (მით უფრო, როდესაც სახელმწიფო ყველა შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს დაკავებულთა ღირსეულ პირობებში მოთავსებას) არ იყოს დამოკიდებული იზოლატორის ხელმძღვანელის შეხედულებაზე და არსებობდეს გაწერილი პროცედურა, რაც ფართო დისკრეციას არ მიანიჭებს იზოლატორის ხელმძღვანელს.** მართალია, შსს-ს წარმომადგენლის განცხადებით, პრაქტიკულად არ არსებობს ამანათის გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევა, თუმცა იმ პირობებში, როდესაც ხშირად დაწერილი ნორმები და სტანდარტები ვერ სრულდება, რთულია მხოლოდ პრაქტიკაზე მითითებით იმსჯელო უფლებრივ გარანტიებზე, აუცილებელია ნებისმიერი პროცედურა გაწერილი იყოს ნორმატიულად და ამასთან არსებობდეს მისი შესრულების დეტალური ინსტრუქცია, რაც უზრუნველყოფს ცალკეული უფლებების დაცვის სისტემურ გარანტიებს და გამორიცხავს ცალკეული თანამდებობის პირების კეთილ ნებაზე დამოკიდებულებას.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ზოგ საკანში **სველი წერტილი საკნის შიგნით მოწყობილი საერთოდ არ არის** და ქალებს საკნის გარეთ საერთო საპირფარეშოებით უწევთ სარგებლობა. დროებითი მოთავსების ადგილების აბსოლუტურ უმრავლესობაში **საპირფარეშოები სრულად არ არის იზოლირებული**, რაც, განსაკუთრებით, ორი ან მეტი პირის ერთ საკანში განთავსების პირობებში მნიშვნელოვნად არღვევს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და განმარტოების შესაძლებლობას და აიძულებს მას ბუნებრივი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს სხვების თანდასწრებით, რაც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ღირსების შემლახავი გარემო. ამასთან, როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა განაცხადეს, მამაკაცი ზედამხედველის მხრიდან კარის სარკმლიდან შემოხედვის შემთხვევაში, მას შეეძლო დაენახა

[4] „მანდელას წესები“, წესი 18

საპირფარეშოში მყოფი ქალი პატიმარი. აქედან გამომდინარე, მათ საპირფარეშოთი სარგებლობის ყოველ ჯერზე უხდებოდათ ეთხოვათ ზედამხედველებისთვის თავი შეეკავებინათ საკანში შეხედვისაგან. დმი-ს ტიპური დებულების თანახმად: „იზოლატორში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური და საერთო პირობები უზრუნველყოფს ადამიანის ღირსეულ არსებობას, მისი პატივისა და ღირსების პატივისცემას, პიროვნების ხელშეუხებლობას, თავისი ინტერესების დაცვის უნარს. იზოლატორების ადმინისტრაციას ევალება:

ა) დაკავებულ პირთა საკნებში საძილე პირობების ჯანმრთელობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ბ) საკნების ბუნებრივი და ხელოვნური განათების, გათბობის და ვენტილაციის უზრუნველყოფა.“[5]

როგორც სახალხო დამცველის ანგარიშიდან, აგრეთვე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფებიდან ირკვევა, დროებითი მოთავსების მთელ რიგ ადგილებში დებულებაში დეკლარირებული ნორმები დაცული არ არის.

აღსანიშნავია, აგრეთვე დაკავებულთა **კვების საკითხები.** სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშის თანახმად, აგრეთვე კვლევის ფარგლებში შსს-ს წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა გამოკითხვის შესაბამისად, რეგიონებში დაკავებულთა და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირთა კვება ხორციელდება ძირითადად კონსერვების საშუალებით (განსხვავებით თბილისის იზოლატორებისგან), ორსული ქალებისთვის არ არსებობს კვების სპეციალური სტანდარტი (რაციონი). „ბანგკოკის წესების“ მიხედვით: „ზედმიწევნითი ყურადღება უნდა მიექცეს იმ განსაკუთრებულ საკითხებს, რომელსაც დამნაშავე ქალები აწყდებიან, როგორიცაა ორსულობა და ბავშვის მოვლა“.[6]დმი-ში დღეს არსებული მდგომარეობა კვების საკითხებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს რეგიონებში და დედაქალაქში დროებითი მოთავსების ადგილებში განთავსებულ ქალებს და აღნიშნული კუთხით, ცალსახად დისკრიმინაციულია, რაც ვფიქრობთ ყოვლად დაუშვებელია, აგრეთვე, აშკარად უგულებელყოფს ზოგადად ქალთა, მით უფრო ორსულ ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებს, რადგან თუნდაც 72 საათის მანძილზე არასათანადო კვებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს დედისა და ნაყოფის ჯანმრთელობას.

დმი-ს ტიპური დებულების თანახმად, „იზოლატორში წარმოდგენილი პირი საკანში მოთავსების წინ იზოლატორის უფლებამოსილი პირის მიერ გამოიკითხება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; იგი ზედმიწევნით ათვალიერებს გარეგნულად და სინჯავს მას განცალკევებულ ოთახში და სხვა პირების დასწრების გარეშე, რის შესახებაც დგება შესაბამისი ოქმი, სადაც მიეთითება ოქმის შედგენის თარიღი და დრო, დამთვალიერებლის (სახელი, გვარი, თანამდებობა, წოდება) და

[5] მუხლი 4(2)

[6] „ბანგკოკის წესები“,წინასწარი დაკვირვებები, მუხლი 5

დათვალიერებულის (სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების ადგილი და თარიღი, დანაშაულის სახეობა, ვინ დააკავა და რა დროს) ვინაობა, დათვალიერებულის სხეულზე არსებული ჯანმრთელობის დაზიანების სახეობანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დათვალიერებულის ახსნა-განმარტება და საჩივრები".[7] უნდა განვასხვაოთ დაკავებულის **პირადი დათვალირება** და **გარეგნული დათვალირება**, რომლებიც წარმოადგენს განსხვავებულ პროცედურებს. არსებული პრაქტიკის მიხედვით, პირად დათვალიერებას ახორციელებს იზოლატორის უფლებამოსილი პირი (იმავე სქესის თანამშრომელი). აღნიშნული პროცედურა მიზნად ისახავს კანონსაწინააღმდეგო ნივთების ამოღებას და არ გულისხმობს დაკავებულის გაშიშვლებას (ხდება მხოლოდ ტანსაცმლის გასინჯვა); რაც შეეხება გარეგან დათვალიერებას, ამჟამად არსებული პრაქტიკის თანახმად (შსს წარმომადგენელთა განმარტებით ძალიან მალე მოცემული პროცედურა შეიცვლება) აღნიშნულ პროცედურას ახორციელებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომლის გამოძახებაც ხორციელდება დაკავებულის მიღებისას. ასეთ შემთხვევათა დიდი ნაწილი გულისხმობს სხეულის შემოწმებას გაშიშვლებით, რასაც ექიმის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლოა, დაესწროს დაწესებულების იმავე სქესის თანამშრომელიც. **მოცემულ პრაქტიკას აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებები**, კერძოდ სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახებიდან გამოცხადებამდე ვერ ხერხდება დაკავებულის შემოწმება/მიღება, სასწრაფო დახმარების ექიმები ავსებენ მათ ფორმას, რაც არ არის მორგებული „სტამბოლის პროტოკოლის" მოთხოვნებს და არ შეესაბამება დაზიანებების აღწერისა და დოკუმენტირების სტანდარტებს. ამასთან შემოწმებას ხშირად ესწრება დაწესებულების წარმომადგენელი (მაგ: ფოკუს ჯგუფის ყველა მონაწილეთა შემოწმების პროცედურას დაესწრო თანამშრომელი), რაც, ხშირად, ბოჭავს დაკავებულ ქალებს თავისუფლად ისაუბრონ მიყენებული დაზიანებების შესახებ და შედეგად რეაგირების გარეშე ტოვებს ქალთა მიმართ შესაძლო ძალადობის ფაქტებს. ამასთან, როგორც კვლევის შედეგად გახდა ცნობილი დმი-ში ქალების გარეგნულ დათვალირებას (რაც როგორც აღვნიშნეთ გაშიშვლებასაც გულისხმობს) ახორციელებენ სასწრაფო დახმარების ბრიგადის მამაკაცი ექიმებიც. ქალთა ჯანდაცვის თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლოა ქალს მოერიდოს მამაკაცთან ცალკეულ ჯანმრთელობის საკითხებზე საუბარი და მის წინაშე გაშიშვლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხეულის დათვალიერებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ის ფაქტორი, რომ ქალები მამაკაცებზე ხშირად არიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, ამრიგად, გაშიშვლება მათთვის ძლიერი ემოციური დატვირთვის მატარებელია და შესაძლოა გახდეს რე-ტრავმატიზების მიზეზი. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ აღნიშნული პროცედურა ქალის ღირსების დაცვით განხორციელდეს და არ მიიღოს დამამცირებელი ხასიათი. იმ შემთხვევაში, თუ ქალი უარს იტყვის მამაკაცი ექიმის წინაშე გაშიშვლებაზე, შესაძლოა ვერ განხორციელდეს ცალკეული დაზიანებების (რომლებიც განლაგებულია სხეულის დაფარულ ზონებზე) დაფიქსირება და დოკუმენტირება, რაც თავის მხრივ,

[7] იქვე, მუხლი 3

გაართულებს შესაძლო ძალადობის ფაქტების გამოძიებას. დებულების თანახმად: *„იზოლატორში მოთავსებული მდედრობითი სქესის ნაწილს აკონტროლებს ქალთა სქესის მომსახურე პერსონალი. აღნიშნული კონტიგენტის სამედიცინო მომსახურება ხორციელდება ქალი ექიმების მიერ.“*[8] *როგორც ვხედავთ მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ნორმა დაცული არ არის. წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების შესახებ ,,სტამბოლის ოქმის“თანახმად: „იქ, სადაც შესაძლებელია, პაციენტს უნდა ჰქონდეს ექიმის სქესისა და თარჯიმნის არჩევის შესაძლებლობა. თუ ექიმი არ არის პაციენტის სქესის, გამოყენებული უნდა იქნას იმავე სქესის თანმხლები პირი, თუ პაციენტი წინააღმდეგი არ არის“*.[9] ,,ბანგკოკის წესების“ მიხედვით კი - *„თუ ქალი პატიმარი ითხოვს, რომ იგი გასინჯოს ან უმკურნალოს ქალმა ექიმმა ან ექთანმა, ქალი ექიმი ან ექთანი უნდა იქნას გამოყოფილი მისთვის, შესაძლებლობის მიხედვით, გარდა იმ სიტუაციებისა, როდესაც აუცილებელია სასწრაფო სამედიცინო ჩარევა. თუ მამრობითი სქესის პრაქტიკოსი ექიმი ახორციელებს გამოკვლევას პატიმარი ქალის სურვილის საწინააღმდეგოდ, გამოკვლევას უნდა დაესწროს თანამშრომელი ქალიც“*.[10] ამასთან ხაზი უნდა გაესვას, რომ გარეგნული დათვალიერების პროცედურა, თავისი შინაარსით არ წარმოადგენს წმინდა სახის სამედიცინო მანიპულაციას და გარკვეულწილად მოიცავს გაშიშვლებით შემოწმების პროცედურის ნიშნებს, რის გამოც შესაძლოა შესამოწმებელი პირისთვის შემმოწმებლის სქესს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო მანიპულაციის შემთხვევაშიც, კულტურული თავისებურებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ქალისთვის მიუღებელია ცალკეული სფეროს მამაკაც ექიმებთან კონსულტაცია. ვინაიდან ნებისმიერ ქალს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ აქვს სამედიცინო პერსონალის (მათ შორის სქესის მიხედვით) არჩევის თავისუფლება, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ მისი პასუხისმგებლობისა და ზრუნვის ქვეშ მყოფ ქალებს არ შეუზღუდოს ამ ტიპის არჩევანის თავისუფლება. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ შემოწმების დროს მათ ჩამოართვეს ბიუსტჰალტერი და გამჭვირვალე ცელოფნის პარკით დაუბრუნეს მხოლოდ სასამართლო პროცესზე წასასვლელად დმი-ს დატოვების დროს. ქალების განმარტებით, მაშინ როდესაც ისინი მამაკაც თანმხლებ პირებთან ერთად გადაადგილდებოდნენ, ბიუსტჰალტერის თვალსაჩინოდ ხელით ტარება (ვინაიდან შენობაში ჩაცმის საშუალება არ ეძლეოდათ) მათ განსაკუთრებულ უხერხულობას უქმნიდა, ერთ-ერთის განცხადებით, თანმხლებმა მამაკაცებმა ურჩიეს ავტომობილში გამოეცვალა, თუმცა ეს ვერ მოახერხა და სასამართლოში მოუწია მისი ნაგავში გადაგდება.

---

[8] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №108, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მუხლი 8(4)

[9] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო (,,სტამბოლის ოქმი“), მუხლი 173

[10] ,,ბანგკოკის წესები“, წესი 10

დმი-ს ტიპური დებულების თანახმად, *„იზოლატორში წარმოდგენილი პირების პირადი დათვალიერების, გამოკითხვისა და სანიტარიული დამუშავების შემდეგ პასუხისმგებელი მორიგე, ან მისი დავალებით სხვა მორიგე, მათ აცნობებს და შესაძლებლობის შემთხვევაში ხელზე გადასცემს იზოლატორში* ***მოქმედ შინაგანაწესს****, ასევე მათ საპროცესო უფლება-მოვალეობების ნუსხას, რის შემდეგაც მათ ათავსებენ საკნებში.“*[11] როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაკავებულის დროებითი მოთავსების ადგილას მიყვანის პროცესი დაკავშირებულია მნიშვნელოვან სტრესთან, რა დროსაც ქალს ნაკლებად შეუძლია გაიაზროს და დაიმახსოვროს მისთვის მიწოდებული ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დებულება უნდა მოიცავდეს სავალდებულოდ შინაგანაწესის გადაცემის ნორმას და ეს არ უნდა იყოს დამოკიდებული ცალკეული იზოლატორის მატერიალურ შესაძლებლობაზე. თუმცა შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, ყველა შემთხვევაში ხდება შინაგანაწესის გადაცემა, მაგრამ მნიშვნელოვანია ეს არ იყოს დამოკიდებული ცალკეული თანამშრომლის კეთილ ნებაზე და ნორმატიულად იქნას დადგენილი. გარდა ამისა, შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, ამჟამად დებულება ხელმისაწვდომია ქართულად, რუსულად და ინგლისურად. ვფიქრობთ მნიშვნელოვანია უფლება-მოვალეობათა ჩამონათვალი დაიბეჭდოს საქართველოში მცხოვრები ძირითადი უმცირესობების ენებზეც, რადგან შესაძლოა ისინი ვერ ფლობდნენ მითითებული სამი ენიდან რომელიმეს. ომბუდსმენის ანგარიშში აღნიშნულია, რომ როგორც მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, *„ხშირად დაკავებულებმა არაფერი იციან შხაპის მიღებისა და გასეირნების უფლების შესახებ“*. ამასთან ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათთვის დმი-ში მათი უფლებების შესახებ არც ზეპირი და არც წერილობითი განმარტება არ მიუციათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაწესებულებაში დაკავებულის (განსაკუთრებით ქალის) შეყვანა დაკავშირებულია მომეტებულ ფსიქოლოგიურ სტრესთან, ამ დროს ქალი განსაკუთრებით მოწყვლადია, რადგან ხდება მისი დაშორება ოჯახთან, შვილებთან, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ქალები, მთელ რიგ შემთხვევებში, არიან შვილების ძირითადი, ხშირად კი ერთადერთი მზრუნველები. ხშირად მათ არ აქვთ ინფორმაცია რა ბედი ეწევათ მათ არასრულწლოვან შვილებს, ასევე მათთვის გაურკვეველია საკუთარი მომავალი (შესაძლო მსჯავრდების საკითხები), ამიტომ **ფსიქოლოგის მხარდაჭერა და ხელმისაწვდომობა დაკავების პირველივე საათებში მეტად მნიშვნელოვანია**.ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა განმარტებით*„ვერ იგრძნობ დაკავების დროს რომ გჭირდება ფსიქოლოგი, თუმცა რომ გაკავებენ, თვითონ სისტემამ უნდა იცოდეს, რომ შენ გჭირდება ფსიქოლოგი. იმდენად შოკირებული ხარ, რომ ფსიქოლოგზე ვეღარ ფიქრობ.“* ამავე პერიოდში ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მაღალია სუიციდის რისკი. სამწუხაროდ, **ამჟამად დმი-ებში ფსიქოლოგი ხელმისაწვდომი არ არის**. შსს-ს წარმომადგენლების

[11] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №108, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მუხლი 3(4)

განმარტებით, თანამშრომლებმა გაიარეს გადამზადება (ჯამში 4-დღიანი ტრენინგი), რომელიც მიზნად ისახავდა სუიციდის რისკის იდენტიფიცირებას და შესაბამისი ნიშნების ამოცნობას, თუმცა ამ ხანგრძლივობის გადამზადებით შეუძლებელია სპეციალური განათლებისა და უნარების არმქონე თანამშრომლებმა განახორციელონ რელევანტური, ხარისხიანი სერვისის მიწოდება.

რაც შეეხება დაკავებული ქალებისთვის დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში პროკურატურისთვის მასალების გადაგზავნას, შსს-ს მინისტრის შესაბამისი ბრძანების თანახმად, დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში (მიუხედავად დაზარალებულის პოზიციისა აქვს თუ არა მას პრეტენზია პოლიციასთან) ინფორმაცია პროკურატურას შესასწავლად მაინც ეგზავნება, თუმცა გამოძიების შედეგები, როგორც სახალხო დამცველის ანგარიშიდან ირკვევა, არც ისე სახარბიელოა. **იმისათვის, რომ დროულად და მიუკერძოებლად მოხდეს დაკავებულის საჩივრების გამოძიება, მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნადაგასაჩივრების კონფიდენციალური მექანიზმის უზრუნველყოფა** დროებითი მოთავსების იზოლატორში, რაც ამჟამად ომბუდსმენის ანგარიშის თანახმად, გარანტირებული არ არის და წარმოადგენს საჩივრის შეტანის უფლების მნიშვნელოვან ხელყოფას.

ქალთა მხრიდან პოლიციასთან არსებული პრეტენზიების (მათ შორის ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ) რაოდენობა

წლები	ქალთა მხრიდან პოლიციის მიმართ არსებული პრეტენზიების რაოდენობა	ქალთა მხრიდან ფიზიკურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებული პრეტენზიები
2013	5	3
2014	9	7
2015	12	10

როგორც ზემოთ მითითებული ცხრილი აჩვენებს, ფიქსირდებაპოლიციის მიმართ არსებული პრეტენზიების მცირედი ზრდა, ამასთან იზრდება პოლიციის მხრიდან ფიზიკურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებული მიმართვები.

დმი-ში შესახლებისას დაზიანების მქონე ქალთა განცხადებები დაზიანების მიყენების დროის შესახებ

წლები	შესახლებისას დაზიანებები აღენიშნებოდა	მათი განცხადებით, დაზიანება მიღებული ჰქონდა			
		დაკავებამდე	დაკავებისას	დაკავების შემდეგ	როგორც დაკავებამდე, ასევე დაკავებისას
2013	153	143	6	2	2
2014	216	207	6	2	1
2015	156	144	11	-	1

როგორც აღნიშნული ცხრილი გვიჩვენებს დაზიანების მქონე ქალთა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა აცხადებს, რომ დაზიანება მიიღო დაკავებისას, ან დაკავების შემდეგ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა (დაახლოებით 92-95%) აღნიშნავს, რომ დაზიანებები მიღებული ჰქონდა დაკავებამდე. ვფიქრობთ აღნიშნული მაჩვენებელი იძლევა დაფიქრების საფუძველს, რამდენად იქმნება გარეგნული დათვალიერებისას გარემო, როდესაც ქალებს შეუძლიათ შიშისა და საფრთხის გარეშე ისაუბრონ დაკავებისას მათთვის მიყენებულ შესაძლო დაზიანებებზე. გარკვეულწილად, შესაძლოა, საეჭვოდ იქნას მიჩნეული, რომ დაკავებისას ქალთა აბსოლუტურ უმრავლესობას აღენიშნებოდა დაკავებამდე მიღებული სხვადასახვა ტიპის დაზიანებები. ეს გვიმტკიცებს რწმენას, რომ უმჯობესია გარეგნული დათვალიერება ექიმმა ჩაატაროს პოლიციის ან დმი-ს თანამშრომლის დასწრების გარეშე, აღნიშნული ფაქტები ხდებოდეს მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობისას და არ მიიღოს რუტინული ხასიათი. ამაზე მიუთითებს „ბანგკოკის წესებიც“, კერძოდ, *„მხოლოდ სამედიცინო პერსონალი უნდა ესწრებოდეს სამედიცინო შემოწმებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ექიმის მოსაზრებით არსებობს გამონაკლისი გარემოება ან ექიმი მოითხოვს ციხის თანამშრომლის დასწრებას უსაფრთხოების მიზნით ან როდესაც ქალი პატიმარი მოითხოვს ციხის თანამშრომლის დასწრებას, როგორც მითითებულია წინამდებარეწესებში„* .[12]

დაკავებულ ქალთა უფლებებზე საუბრისას, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს დაკავებულთა და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ **ქალთა სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლება**. მოქმედი ბრძანების თანახმად, დროებითი მოთავსების იზოლატორების შესახებ, ***„გასეირნება ტარდება მხოლოდ იმ ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული პირებისათვის, რომელთაც განსაზღვრული აქვთ ადმინისტრაციული***

[12] „ბანგკოკის წესები“, წესი 11

პატიმრობა ადმინისტრაციული სახდელის სახით".[13] შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან დაახლოებით 16-ს საერთოდ არ აქვს სასეირნო ეზო. ამგვარი ჩანაწერი აშკარად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, წამების, სასტიკი ან არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტის 2015 წლის საქართველოს შესახებ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხშირად არ ხდება ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირთა გასეირნებაც, თუმცა მათი რეკომენდაციის (აგრეთვე დაკავებულ პირთა უფლებების შესახებ წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის პრევენციის ევროპული კომიტეტის ზოგადი სტანდარტების) მიხედვით, „***ნებისმიერი პირს, რომელიც 24 საათზე მეტი ხნით იმყოფება დროებითი მოთავსების ადგილას (მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა) ყოველდღიურად უნდა ჰქონდეს სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლება. ყველა დროებითი მოთავსების ადგილი აღჭურვილი უნდა იქნას ადეკვატური გასასეირნებელი ეზოთი***".,,მანდელას წესების" მიხედვით,ყველა პატიმარს, რომელიც დასაქმებული არ არის ღია ცის ქვეშ,უნდა მიეცეს ყოველდღიურად სულ მცირე ერთი საათით ღია ცის ქვეშ გასეირნების უფლება.[14] ორივე ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ დმი-ში ყოფნის პერიოდში საკანი არ დაუტოვებიათ და მათთვის გასეირნება არავის შეუთავაზებია.

ქალების სპეციფიკაზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში საუბარია **შებოჭვისა და ძალის გამოყენების შესაძლებლობაზე**, კერძოდ: „ძალის გამოყენების *უფლება დაკავებულ პირთა მიმართ დასაშვებია, თუ ისინი ფიზიკურ წინააღმდეგობას უწევენ იზოლატორის თანამშრომლებს, ან სჩადიან სხვა ძალდატანებით მოქმედებებს... ძალის გამოყენების დროს დასაშვებია ხელბორკილებისა და შებოჭვის გამოყენება მათ დაწყნარებამდე, რაც 2 საათს არ უნდა აღემატებოდეს და ისეთი საშუალებებით უნდა განხორციელდეს, რომელიც გამორიცხავს დაკავებულის მიმართ საკუთარ სხეულზე ზიანის მიყენების შესაძლებლობას*".[15] ხელ-ბორკილების გარდა ამ შემთხვევებში პოლიციის კანონის შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს უსაფრთხოების სხვა ზომებიც (შებოჭვა, ორთაბრძოლის ხერხები). კვლევის ფარგლებში გაირკვა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენება ხდება იმ თანამშრომლების მხრიდან, რომლებიც ახორციელებენ დაკავებულის მეთვალყურეობას. აღსანიშნავია, რომ არ არის გათვალისწინებული ქალთა მიმართ ძალის გამოყენების თავისებურებანი და თანამშრომლებს არ აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება ქალთა მიმართ ძალის გამოყენების საკითხებზე, რათა **მოხდეს მინიმალური საჭირო ძალის გამოყენება** და დაცული იქნას ძალის გამოყენების არსებულ საფრთხესთან თანაზომიერების

[13] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №108, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მუხლი 9 (1)

[14] „მანდელას წესები" წესი 23

[15] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №108, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მუხლი 4

პრინციპი. არც მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დმი-ს ტიპური დებულება და, როგორც კვლევამ აჩვენა, არც პრაქტიკა გულისხმობს ძალის გამოყენების შემდეგ ქალთა სავალდებულო მონახულებას ექიმის მიერ. აღნიშნული პროცედურა ხორციელდება მხოლოდ დაკავებულის მოთხოვნით, თუმცა **მიზანშეწონილია ძალის გამოყენების ნებისმიერი პროცედურის შემდეგ ტარდებოდეს დაკავებული ქალის სავალდებულო წესით მონახულება ექიმის მიერ**, რადგან თავად ძალის გამოყენების პროცესი მომეტებული რისკის მატარებელია. მნიშვნელოვანია დებულებაში მიეთითოს ორსულ ქალთა მიმართ ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ, რადგან, სავარაუდოდ, დმი-ს თანამშრომლები ნაკლებად იცნობენ საერთაშორისო სტანდარტებს და ხშირად მოქმედებენ მხოლოდ რამდენიმე ლოკალური სპეციფიკური ნორმატიული აქტის საფუძველზე. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბრძანებაში ყველა მნიშვნელოვანი პრინციპის დეტალურად გაწერა. მნიშვნელოვანია დმი-დან პენიტენციურ დაწესებულებაში ან სასამართლოში **ქალ დაკავებულთა ბადრაგირებისას, არსებობდეს აღნიშნულ ღონისძიებაში ქალ თანამშრომელთა მონაწილეობის შესაძლებლობა,** რათა შემცირდეს ქალთა ტრანსპორტირებისას მათ მიმართ შესაძლო ძალადობის რისკი. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ გენერალური ინსპექციის მხრიდან ძალის შესაძლო გადამეტების ფაქტების კონტროლი და შესწავლა საკმარისი არ არის და თითოეული შემთხვევის გამოძიება უნდა მოხდეს **დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის** საშუალებით.

როგორც სახალხო დამცველის ანგარიშიდან და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2015 წლის ანგარიშიდან ხდება ცხადი, როგორც დმი-ში არსებული მინიმალური ფართი დაკავებულთათვის, ასევე ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის, აგრეთვე ჰიგიენური, კვების, გასეირნების სტანდარტები სრულიად შეუსაბამოა **ადმინისტრაციული პატიმრობის მოსახდელად**. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის დროს დაკავებულებს (მათ შორის ქალებს) არ ეძლევათ რაიმე ტიპის აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა, ხშირად მათთვის წიგნებიც კი არ არის ხელმისაწვდომი.

გვსურს კვლევის ფარგლებში რამდენიმე სიტყვით შევეხოთ **სპეციალური საჭიროების მქონე ქალთა მდგომარეობას დროებითი მოთავსების იზოლატორებში.** აღსანიშნავია, რომ მხოლოდ თბილისის N1 (სამმართველო) დროებითი მოთავსების იზოლატორში მოხდა საკნისა და სველი წერტილების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყველა დაკავებული ქალის თანასწორობის უზრუნველსაყოფად მოხდეს ნებისმიერი დმი-ს ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებებთან, რათა სპეციალური ფიზიკური საჭიროების მქონე პირებს შხაპის მისაღებად ან საპირფარეშოთი სარგებლობისას არ მოუხდეთ სხვა პირთა დახმარების თხოვნა და დამამცირებელ მდგომარეობაში აღმოჩენა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ იმ დაკავებულებს რომლებსაც აქვთ ინფორმაციის აღქმის პრობლემა,სპეციფიკური ფორმით

განემარტოთ დაწესებულებაში მათი უფლება-მოვალეობები და პროცესუალური უფლებები.

რეკომენდაციები

- **დროებითი მოთავსების იზოლატორებში (საკნებში სადაც იმყოფებიან ქალები) უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი განათება და ვენტილაცია, რაც გამორიცხავს ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელყოფას;**
- **ქალების დროებითი მოთავსების იზოლატორებში ყოფნის დროს უზრუნველყოფილი იქნას არა მხოლოდ მათი მიღების პროცედურის წარმართვა ქალი თანამშრომლის მიერ, არამედ დმი-ში ყოფნის მთელ პერიოდში იმავე სქესის პირის მხრიდან ზედამხედველობის განხორციელება;**
- **დმი-ში მოთავსებული ქალები უზრუნველყოფილი იყვნენ პროფესიონალი ფსიქოლოგის მომსახურეობით;**
- **უზრუნველყოფილი იყოს 24 საათში ერთხელ თითოეული ქალის სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლება, შესაბამისად ყველა დმი-ში მოეწყოს სასეირნო ტერიტორია სუფთა ჰაერზე, რომელიც ნებისმიერ ამინდში შესაძლებელს გახდის გასეირნების უფლების რეალიზებას;**
- **აღმოიფხვრას გარეგნული დათვალიერებისას შსს-ს თანამშრომლის რუტინულად დასწრების პრაქტიკა და მისი დასწრება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი საჭიროების (დაკავებულისგან მომდინარე საფრთხე) შემთხვევაში;**
- **დაკავებული ქალებისთვის უზრუნვლყოფილი იქნას კანონმდებლობით ნებადართული ჰიგიენური საშუალებების გადაცემა;**
- **ამანათის, აგრეთვე დამატებითი ჰიგიენური საშუალებების მიღების პოცედურა დეტალურად გაიწეროს დმი-ს დებულებაში და აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება არ იყოს დამოკიდებული დმი-ს ხელმძღვანელის დისკრეციაზე;**
- **დაკავებული ქალის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნას გარეგნული დათვალიერების ჩატარების შესაძლებლობა იმავე სქესის პირის მხრიდან;**
- **დაკავებული ქალის სხეულზე აღმოჩენილი ძალადობის ნიშნების, ან ძალადობის შესახებ შესაბამისი განცხადების არსებობის შემთხვევაში, დაზიანებების აღწერა და დოკუმენტირება განხორციელდეს ,,სტამბოლის ოქმით" განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად;**
- **ძალადობის ნებისმიერი ფაქტი გამოძიებული იქნას დროულად და ობიექტურად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საშუალებით;**

- დმი-ში ყოფნის პერიოდში ქალები უზრუნველყოფილნი იყვნენ შხაპის მიღების უფლებით, კბილის გახეხვის შესაძლებლობით;
- აღმოიფხვრას თბილისსა და რეგიონში მყოფი ქალების კვების სტანდარტებს შორის არსებული განსხვავება და გატარდეს ზომები არსებული უთანასწორო მიდგომის აღმოფხვრის და ქალების (მათ შორის ორსული ქალების) შესაბამისი კვების სტანდარტებით უზრუნველყოფის მიმართულებით;
- საკვების მიწოდება განხორციელდეს კანონმდებლობით დაშვებული ჭურჭლის მეშვეობით, რათა ქალების კვება განხორციელდეს მათი ღირსების დაცვით;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში უზრუნველყოფილი იქნას საპირფარეშოს საკანში განთავსება და მისი სრული პრივატულობა;
- უზრუნველყოფილი იქნას დაკავებული ქალებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე უფლებების განმარტება და მათთვის უფლება-მოვალეობების წერილობით გადაცემა;
- დმი-ს პერსონალი გადამზადდეს ქალთა მიმართ ძალის გამოყენების სპეციფიკის კუთხით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალების მიმართ მინიმალური საჭირო ძალის გამოყენება, აგრეთვე მიღებულ იქნას რეგულაცია ძალის გამოყენების შემდეგ, სამედიცინო პერსონალის მხრიდან ქალთა სავალდებულო წესით შემოწმების შესახებ;
- უზრუნველყოფილი იქნას ქალთა ბადრაგირების პროცესში, სულ მცირე ერთი, იმავე სქესის თანამშრომლის მონაწილეობა;
- გადაიხედოს და შეიცვალოს ყველა არსებული პრაქტიკა, რაც იწვევს ქალი დაკავებულების ღირსების შელახვას, ასევე მათ არაადამიანურ პირობებში მოთავსებას.

ნაწილი 3. გამოძიება და სასამართლოში საქმის განხილვა

3.1 შესავალი

მართლმსაჯულების სისტემაში, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს გენდერულად სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება გამოძიების, აგრეთვე სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისა და საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე. ხშირად ჩნდება კითხვა (მათ შორის ცალკეული უწყებების წარმომადგენელთა მხრიდან) რატომ უნდა იქნას გათვალისწინებული გენდერულად სპეციფიკური ნორმები, მაშინ როდესაც ქალები არ წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს და მათ მიმართ მიდგომა უნდა იყოს მამაკაცების იდენტური. რიგ ნორმებთან მიმართებაში, ამგვარი მსჯელობა სრულიად სწორი და ლოგიკურია, თუმცა მთელ რიგ თემებთან დაკავშირებით გენდერულად სპეციფიკური მიდგომის გარეშე, ქალებისა და მამაკაცების თანასწორი უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა შეუძლებელია. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად თავისუფლების აღკვეთის ადგილები უფრო მეტად მორგებული იყო მამაკაცების საჭიროებებს, მიუხედავად იმისა, რომ რიგი ნორმატიული აქტები წარმოადგენს გენდერულად ნეიტრალურ ნორმებს, თავისი ნეიტრალურობით ისინი შესაძლოა ხელყოფდეს ქალთა უფლებებს და უგულებელყოფდეს მათ სპეციფიკურ საჭიროებებს.

გენდერული „მეინსტრიმინგისა“ და თანასწორობის კონცეფცია უაღრესად მნიშვნელოვანია, როდესაც იგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და პროგრამებთან მიმართებაში გამოიყენება. ასეთ დახურულ გარემოში, სადაც სოციალური დამოკიდებულებები და ძალაუფლების სტრუქტურა უფრო ინტენსიურად იჩენს თავს, ქალების უუფლებობა და ამის შეგრძნება კიდევ უფრო მძაფრდება. ამავდროულად, ქალების გენდერული საჭიროებები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კიდევ უფრო ნაკლებადაა აღიარებული ვიდრე საზოგადოებაში, რადგანაც ამ დაწესებულებებში მამაკაცები დომინირებენ და გენდერული სპეციფიკა და საჭიროებები, გარდა ბავშვისდაბადებასა და ორსულობასთან დაკავშირებული საკითხებისა, არ არის სათანადოდ აღიარებული და გაცნობიერებული.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც საჭიროებს მიდგომების, პოლიტიკისა და პრაქტიკის შეცვლას არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, არამედ თავად საზოგადოებაში, რათა პოზიტიური ცვლილებების მდგრადობა იყოს უზრუნველყოფილი. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ კონკრეტული კანონების, წესების, პოლიტიკის, პროცედურებისა და პრაქტიკის შეცვლას დაუყოვნებელი პოზიტიური ცვლილებების მოტანა და ქალების წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვა შეუძლია.

3.2 ძირითადი ნაწილი

გენდერ-სპეციფიკურ მართლმსაჯულებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ბანგკოკის წესების“ თანახმად, „დანაშაულის ჩამდენი ქალების საქმის წარმოებისას უნდა გამოიყენებოდეს ალტერნატიული გზები, როგორიცაა განრიდების ღონისძიებები და წინასწარი პატიმრობის ალტერნატივები“.[16] წესების თანახმად, „შესაბამისი რესურსი უნდა გამოიყოს, რათა შეიქმნას შესაფერისი ალტერნატივები ქალი დამნაშავეებისთვის, იმისათვის, რომ მოხდეს არასაპატიმრო ღონისძიებების იმ ღონისძიებებთან კომბინირება, რომელიც მიმართულია იმ ზოგადი პრობლემების მოგვარებაზე, რომელიც უბიძგებს ქალებს კავშირი იქონიონ სისხლის სამართლის სისტემასთან“. ,,ბანგკოკის წესების“ თანახმად, აღნიშნული ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს თერაპიულ კურსებს და საკონსულტაციო მომსახურებას ოჯახური ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის; შესაბამის მკურნალობას გონებრივი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის; საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამებს დასაქმების პერსპექტივების გასაუმჯობესებლად. მსგავსი პროგრამები უნდა უზრუნველყოფდნენ ქალთა და ბავშვთა მზრუნველობის საჭიროებას.[17] ,,ბანგკოკის წესები“ მოუწოდებსსახელმწიფოებს შეიმუშაონ განრიდებისა და საპატიმრო ალტერნატივების შესაძლებლობები ქალ ბრალდებულთა ვიქტიმიზაციისა და მზრუნველობის ვალდებულების გათვალისწინებით. „ბანგკოკის წესებში“ აღნიშნულია, რომ „მდედრობითი სქესის დამნაშავეების გარკვეული ნაწილი არ წარმოადგენს რისკს საზოგადოებისათვის და როგორც ყველა დამნაშავესთან მიმართებაში, მათ მიმართ პატიმრობის გამოყენებამ შესაძლოა მათი სოციალური რეინტეგრაცია მეტად რთული გახადოს“.[18]

ყველა დაკავებული და დაპატიმრებული პირი არასათანადო მოპყრობისა და წამების უფრო მაღალ რისკს ექვემდებარება პატიმრობის პირველ ეტაპზე. ეს ის პერიოდია, როდესაც უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ დაკავებული პირი ზეწოლას და დაშინებას დაექვემდებაროს აღიარების ან ინფორმაციის მიღების მიზნით. ამ პერიოდის განმავლობაში დაკავებული ქალები შეიძლება სექსუალური ძალადობის ან სხვა სახის ძალადობის მხვერპლი გახდნენ, რაც არაერთგზის მომხდარა და დოკუმენტირებული იქნა, მათ შორის SPT-ს[19] მიერ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, შევეხოთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან პირველადი კონტაქტის პერიოდს, როდესაც ქალი განსაკუთრებული მოწყვლადობით ხასიათდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბანგკოკის წესებში“

---

16 „ბანგკოკის წესები“, წესი 58

17 ,,ბანგკოკის წესები“, წესი 60

18 ,,ბანგკოკის წესები“, პრეამბულა

19 SPT – The Sub-Committee on Prevention of Torture and other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის გაეროს ქვე-კომიტეტი.

ხაზგასმულია განრიდების მნიშვნელობა ქალებთან მიმართებაში, რასაც ნაკლებად მძიმე და მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებთან მიმართებაში ითვალისწინებს საქართველოს ადგილობრივი კანონმდებლობაც. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ სტანდარტებთან დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანია განრიდების გამოყენების სტატისტიკა ქალებთან მიმართებით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკის[20] მიხედვით 2013-2015 წლების განრიდების გამოყენების სტატისტიკა ქალებთან მიმართებაში ასე გამოიყურება: 2013 წელს - 49, 2014 წელს - 39, ხოლო 2015 წელს - 99 განრიდებული ქალი. 2013 -2015 წლებში განრიდებულ ქალთა საერთო რაოდენობა შეადგენს 187-ს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრმა მოგვაწოდა[21] სტატისტიკური ინფორმაცია არასრულწლოვან კანონთან კონფლიქტში მყოფ მდედრობითი სქესის განრიდებულთა შესახებ. 2013-2015 წლებში, განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩაერთო მდედრობითი სქესის 75 კანონთან კონფლიქტში მყოფი 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი. აქედან 2013 წელს - 27 (არასრულწლოვან კანონთან კონფლიქტში მყოფ განრიდებულ პირებთან მიმართებაში პროცენტული მაჩვენებელი 8,5%), 2014 წელს - 22 (10,5%), 2015 წელს - 26 (9%).

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს[22]:

ა) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება;

ბ) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;

გ) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;

დ) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;

ე) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე;

ვ) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.

---

20 წერილი № MOC 7 16 00897904, 30 ოქტომბერი, 2016

21 წერილი №699, 26 ოქტომბერი, 2016

22 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 1681

განრიდება არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1], 143[2], 143[3], 144-ე, 144[1], 144[2] და 144[3] მუხლებით, აგრეთვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრულ დანაშაულთა საქმეებზე.

თუ პირი (განრიდების სუბიექტი) არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს ან განაახლოს სისხლის სამართლებრივი დევნა.

,,ბანგკოკის წესების“ თანახმად, პროკურატურას და სასამართლოს უნდა ჰქონდეს განრიდების და ალტერნატიული ზომების გამოყენების შესაძლებლობა, უნდა ხდებოდეს მათი წახალისება ქალებთან (განსაკუთრებით იმ ქალებთან მიმართებაში, რომლებიც საზოგადოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ) მიმართებაში განრიდებისა და ალტერნატიული სასჯელების გამოყენების თაობაზე. ეს შესაძლოა გულისხმობდეს ისეთი ღონისძიებების არსებობას, როგორიცაა: პირობითი მსჯავრი, მსხვერპლის რესტიტუცია ან კომპენსაცია, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, მედიაცია (რაც ამჟამად ქალებზე არ ვრცელდება), სხვა აღდგენითი მართლმსაჯულების საშუალებები.

დევნის დაწყების მაჩვენებელი ქალების მიმართ 2013-2015 წლებში

(შენიშვნა: სულ ქალების მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი ნაკლებია სსკ-ის მუხლების მიხედვით დაფიქსირებულ დევნის დაწყების მაჩვენებელთან შედარებით. ამის მიზეზი არის ის, რომ, თუკი დევნა დაწყებულია 1 პირის მიმართ რამდენიმე მუხლით, მაშინ თითოეულ მუხლზე ცალ-ცალკე ფიქსირდება მონაცემი)

სსკ მუხლი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
სულ ქალების მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი	827	1134	1294
108	2	4	2
19-108	1	3	1
25-108	1	0	0
109	2	3	1
19-109	0	0	1
25- 109	1	0	0
112	0	0	2
116	1	1	1
117	4	7	6
118	2	2	6
120	11	26	34
122	1	0	0
124	1	4	2
125	53	87	157
126	1	0	1

126’	13	27	38
127	2	0	0
128	2	0	0
129	0	0	1
130	1	0	0
131	1	0	0
140	1	0	0
143	1	3	3
143’	3	6	1
143”	1	1	1
144	1	0	0
151	2	1	1
157	0	4	0
158	0	0	1
160	1	6	7
164”’	0	1	0
171	0	0	1
172	0	2	3
177	246	353	392
178	4	5	8
179	7	0	1
180	96	164	147
181	2	7	3
182	13	41	48
185	3	6	8
186	1	1	3
187	13	16	24
188	5	3	4
192	14	23	51
193	0	1	0
194	2	3	3
195’	0	0	1
196	3	1	1
197	2	0	0
197’	0	0	1
200	2	2	1
200”’	2	2	2
205’	1	0	0
208	3	17	17
210	18	16	20
212	0	5	5
214	15	15	7
218	0	1	6
220	4	0	2

220’	0	6	6
221	1	0	1
223’	2	0	0
236	10	19	14
237	0	0	1
238	0	1	1
239	7	1	1
240	1	0	0
253	2	0	0
254	79	25	26
258	4	2	0
260	62	81	89
261	2	11	18
262	21	28	46
263	0	1	9
264	0	1	0
265	1	6	4
270	2	0	0
273	15	27	5
276	22	27	40
284	0	3	4
285	0	2	0
286	0	0	1
303	0	1	0
322’	2	2	2
331	2	0	0
332	1	6	0
333	1	1	0
338	3	2	0
339	2	3	4
341	7	11	2
342	2	4	3
342’	1	0	0
344	55	51	69
348’	0	1	1
353	1	3	0
353’	0	2	0
360	3	7	8
361	0	6	16
362	98	73	50
363	1	10	29
365	0	0	1
369’	0	0	1
370	2	2	2

371	0	0	1
371’	3	10	2
372	5	0	0
373	7	6	14
375	1	0	2
376	3	5	6
377	0	0	1
377’	0	4	3
377”	0	1	0
378’	5	0	1
378”	1	9	3
381	1	1	3
389	0	1	0

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხშირად ქალები არიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, შესაბამისად ასეთი გამოცდილების არსებობის შემთხვევაში, მათ აქვთ საპირისპირო სქესის გამომძიებელთაგან დაკითხვის შიში. მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ როგორც წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის ქვე-კომიტეტის ანგარიშშია აღნიშნული, ჰონდურასში არსებული მდგომარეობის თაობაზე, *„ყველა დაკავებული და დაპატიმრებული პირი არასათანადო მოპყრობისა და წამების უფრო მაღალ რისკს ექვემდებარება პატიმრობის პირველ ეტაპზე. ეს ის პერიოდია, როდესაც უფრო მაღალია იმის ალბათობა, რომ დაკავებული პირი ზეწოლას და დაშინებას დაექვემდებაროს აღიარების ან ინფორმაციის მიღების მიზნით. ამ პერიოდის განმავლობაში დაკავებული ქალები შეიძლება სექსუალური ძალადობის ან სხვა სახის ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, რაც არაერთგზის მომხდარა და დოკუმენტირებული იქნა.“* აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საჭიროების შემთხვევაში ბრალდებული ქალის დაკითხვა განხორციელდეს გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების შესახებ შესაბამისი ცოდნის მქონე პირთა მხრიდან და დაკითხვის დროს გათვალისწინებული იქნას გენდერული სპეციფიკა. როგორც კვლევის ფარგლებში პროკურატურის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან გაირკვა, ამ ეტაპზე ქალთა მიმართ რაიმე ტიპის განსაკუთრებული მიდგომა არ არსებობს და მიზანშეწონილადაც არ მიიჩნევა, რადგან მათი მოსაზრებით ეს შესაძლოა დისკრიმინაციული იყოს მამაკაცების მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით (რომელთაგან არცერთი არ ყოფილა სამართალდამცავების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი), გამომძიებლის სქესს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, უფრო მეტად მნიშვნელოვანია მათი სენსიტიურობა გენდერულად სპეციფიკური საჭიროებების მიმართ.

თუმცა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ხდება სამართალდამცავი ორგანოების კონტროლ-ის ქვეშ მყოფი ქალის წამების, სასტიკი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტის გამოძიება, მეტად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი

იყოს იმავე სქესის თანამშრომლის მიერ ქალის გამოკითხვა. ,,სტამბოლის ოქმის“ თანახმად, *„იდეალურ შემთხვევაში, გამომძიებელთა ჯგუფი უნდა შედგებოდეს ორივე სქესის თანამშრომლებისგან, რაც საშუალებას მისცემს დაზარალებულ პირს თავად აირჩიოს გამომძიებლის სქესი... ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ არსებობს ინფორმაცია, რომ ადგილი ჰქონდა ქალის გაუპატიურებას, მაშინაც თუ ის ამის შესახებ პრეტენზიას არ აცხადებს. იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადგილი არ აქვს სექსუალურ ძალადობას, წამების უმეტეს შემთხვევებს ახლავს სექსუალური ასპექტები. რე-ტრავმატიზების მეტი საფრთხე არსებობს, როდესაც ქალი იძულებულია მომხდარის შესახებ უამბოს მწამებლის სქესის მქონე პირს, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, მამაკაცები არიან.*“[23]

იქ, სადაც ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მისი კონტაქტი ოჯახის წევრი მამაკაცების გარდა სხვა მამაკაცებთან (თუ გავითვალისწინებთ ცალკეული რეგიონების სპეციფიკას) უაღრესად შეზღუდულია, ქალის მიმართ დისკრიმინაციული კანონმდებლობისა და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულების გამო, ქალების დაკითხვა კაცების მიერ ამ ქალებში ძლიერი შიშის გრძნობას ბადებს და ისინი უაღრესად დაუცველად გრძნობენ თავს. ასეთი დაკითხვა ქალების მიერ სექსუალურ ძალადობის საფრთხედ აღიქმება, დამოუკიდებლად იმისა, ასეთი საფრთხე რეალურად არსებობს თუ არა. დაკავების შემდგომ პერიოდში ქალები უფრო დაუცველები არიან, ვიდრე მამაკაცები, რადგანაც ქალების უმეტესობას, რომლებიც მართლსაჯულების სისტემასთან ხვდებიან შეხებაში, უფრო დაბალი ეკონომიკური სტატუსი და განათლება გააჩნიათ, ვიდრე მამაკაცებს (ხშირად ქალები თავის მეუღლეებზე არიან დამოკიდებული) და არ არიან ინფორმირებული მათი სამართლებრივი უფლებების თაობაზე.

მეტად მნიშვნელოვანია გარკვეული ფსიქიკური პრობლემების მქონე ქალების დაკითხვის სპეციფიკური სტანდარტების არსებობა. როგორც არაერთმა კვლევამ (ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ მიერ ჩატარებულმა) აჩვენა, ხშირად ქალებს, რომლებსაცაქვთ ვერბალური ან მენტალური გამოხატვის პრობლემა უჭირთ პოლიციისა და პროკურატურის წარმომადგენლებთან ელემენტარული კომუნიკაციაც კი, აქ საუბარი აღარ არის უფლებების განმარტების ზუსტ აღქმასა და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე. იმ შემთხვევებში, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი შესაბამისად მომზადებული კადრების მიერ პრობლემების მქონე ქალთა სპეციფიური საჭიროების გათვალისწინება, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის აღნიშნულ ქალთა უფლებების დარღვევის რისკს.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე შესაბამისი ყურადღება მიექცეს ქალის მიერ, ხანგრძლივად მსხვერპლად ყოფნის შედეგად, მოძალადის მიმართ დანაშაულის ჩადენას. აღნიშნულ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაიწყოს მსჯელობა, რათა უფრო

[23] ,,სტამბოლის ოქმი“, მუხლი 154

მეტად გამახვილდეს ყურადღება ქალი ბრალდებულის მსხვერპლად ყოფნის ისტორიაზე, შესაძლოა შეიცვალოს აუცილებელი მოგერიების, როგორც ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების განმარტება, იმგვარად, რომ იგი გავრცელდეს, არა მხოლოდ იმწუთიერი ხელყოფის მოგერიებაზე, არამედ მუდმივად ძალადობის განმახორციელებელი პირის მიმართ განხორციელებულ ქმედებაზე, შესაძლებელია სხვა საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებაც, რომელიც გაითვალისწინებს ხანგრძლივად ძალადობის მსხვერპლი ბრალდებული ქალების სპეციფიკას. 2015 წელს საერთაშორისო ორგანიზაციამ „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ ჩაატარა კვლევა სახელწოდებით „ქალები, რომლებმაც ჩაიდინეს მკვლელობა ოჯახური ძალადობის საპასუხოდ“. კვლევის შედეგები 2016 წელს გამოქვეყნდა.[24] კვლევაში აღნიშნულია, რომ: *„ხშირად ქალთა ძალადობრივი დანაშაულის მოტივს წარმოადგენს ხანგრძლივი ოჯახური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლობა... მრავალ შემთხვევაში, ქალის მიმართ ძალადობის ისტორია იყო ჩადენილი დანაშაულის პირდაპირი მოტივატორი... შესწავლილი იურისდიქციების უმრავლესობა არ ითვალისწინებს სპეციალურ საკანონმდებლო რეგულაციას ხანგრძლივი მსხვერპლობის სინდრომის (Battered women's syndrome) შემამსუბუქებელ გარემოებად განხილვის თაობაზე, ამიტომ საჭირო ხდება აღნიშნული მდგომარეობის დაკავშირება დაცვის არსებულ ნორმებთან, როგორიცაა თავდაცვა (აუცილებელი მოგერიება, აფექტის მდგომარეობა (დროებითი შეურაცხაობა) და პროვოკაცია (იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული ნორმა არსებობს). თუმცა შესწავლილი ქვეყნების დიდ ნაწილში წარმატებით ვერ ხორციელდება არსებული დაცვის შესძლებლობების ადაპტირება ხანგრძლივი მსხვერპლობის სინდრომის ან დაგროვილი/აკუმულირებული რეაქციის სიტუაციებთან. იურისდიქციათა უმრავლესობაში „ძალადობის ისტორია“ თავისთავად არ წარმოადგენს შემამსუბუქებელ გარემოებას.“ საინტერესოა აღნიშნულ საკითხზე მოქმედი მოსამართლეების პოზიციაც. საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ეკა არეშიძემ, ინტერვიუს დროს განმარტა -„რა თქმა უნდა, ამ ფაქტორს, როგორც დანაშაულის მოტივს ყოველთვის ვითვალისწინებთ როგორც შემამსუბუქებელ გარემოებას. გადაწყვეტილების მიღების დროს მართალია მტკიცებულებებს ვეყრდნობით, მაგრამ რეალურად მაინც მოქმედებს. გადაწყვეტილებას როდესაც იღებ თუნდაც სასჯელის სანქციის ფარგლებში მინიმალური სასჯელი განსაზღვრო, თუ მაქსიმალური. რამ მიიყვანა ადამიანი ამ დანაშაულამდე, რა თქმა უნდა ეს ძალიან მოქმედებს როდესაც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებ, მაგრამ თუ ფორმალურად დანაშაული მაინც სახეზეა, სპეციფიკა განსხვავდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში და როდესაც იხილავს ერთპიროვნულად მოსამართლე. ეს არის ერთ-ერთი დადებითი ნიშანი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსი. კანონიერი ყოველთვის არ ნიშნავს სამართლიანს. სასამართლო ვალდებულია, რომ ყოველთვის კანონის ფარგლებში იმოქმედოს, თუმცა ზოგიერთ ქმედებას მორალური თვალსაზრისით შეიძლება ამართლებ კიდევაც და ფიქრობ, რომ სხვა ადამიანიც შესაძლოა მის*

[24] კვლევის შედეგების ინგლისური ვერსია https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/04/Women_who_kill_in_response_to_domestic_violence_Full_report.pdf [ნანახია, 29 სექტემბერი 2016]

ადგილას ასევე მოქცეულიყო. როდესაც ნაფიცი მსაჯულები იღებენ გადაწყვეტილებას, ისინი ამ ფაქტორებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, და შეიძლება ფორმალურად დანაშაულის ყველა ნიშანი იყოს სახეზე, მაგრამ გაამართლონ განსასჯელი, რადგან მორალურად იმ კონკრეტულ შემთხვევაში მისი ქმედება შეიძლება იყოს გამართლებული. ამას მოსამართლე ვერ აკეთებს.“ საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ლილი მსხილაძის განმარტებით: „თუ მოკლა, ე.ი. უკვე არის მკვლელობა. ამ შემთხვევაში ქალიც და კაციც ერთია, მაგრამ სასჯელთან დაკავშირებით ყოველთვის ოდნავ მაინც არის გათვალისწინებული თუნდაც ის, რომ ქალი იყო ხანგრძლივად მსხვერპლი და მოკლა მოძალადე. განზრახი მკვლელობაა, თუმცა რადგან ეს ქალი იყო მსხვერპლი, ამიტომ მაინც ვიხრებით ქალის მხარეს.“ მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილი კი აღნიშნული მიმართულებით კანონმდებლობაში ცვლილების შეტანას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს: *„შემამსუბუქებელ გარემოებად იქნება გათვალისწინებული, მაგრამ ამის გამო ახალი კანონის მიღება არის აბსურდული და არალოგიკური. თუ ძალადობა ხდება, უნდა მივიდეს მსხვერპლი პოლიციაში და განაცხადოს. რომ აგროვოს ბრაზი მსხვერპლმა, მერე მოკლას და ჩვენ შემამსუბუქებლად ჩავუთვალოთ, ასე არ არის.“*

რაც შეეხება სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვას, აქაც მნიშვნელოვანია ალტერნატიული სასჯელების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მინიმუმამდე დაყვანის მნიშვნელობა. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ალტერნატიული, არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვანია ქალებისთვის სასჯელის ოპტიმალური ზომის განსასაზღვრად ინდივიდუალური შეფასების (სოციალური მოკვლევის) ანგარიშის წარდგენა მოსამართლისთვის, რომელი იქნება ობიექტური, სარეკომენდაციო დოკუმენტი, სადაც შესწავლილი და წარმოდგენილი იქნება ქალისთვის ოპტიმალური სასჯელის განსასაზღვრად მნიშვნელოვანი სპეციფიკური ინფორმაცია. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ინდივიდუალური ანგარიშის გათვალისწინებით, მოსამართლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მსჯავრდებულ ქალებს შეუფარდონ სსკ-ის შესაბამისი მუხლის სანქციით განსაზღვრულ სასჯელზე უფრო მსუბუქი სასჯელი. საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, ეკა არეშიძის განცხადებით, *„სრულწლოვნების შემთხვევაში, განსაკუთრებით თუ ოჯახური ძალადობის საქმეა, ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა თუ ასეთი ცვლილება იქნებოდა. თან მოსამართლეს მეტი დისკრეცია უნდა მიეცეს, ამით არაფერი შავდება. მქონია შემთხვევები, როდესაც მინდოდა დამაზუსტებელი კითხვის დასმა და რეალურად ამ კითხვაზე პასუხი თუ იქნება ნათელი შეიძლება ბრალდებულისთვის იყოს სასარგებლო, როდესაც ამ კითხვის შესახებ ვეუბნები მხარეებს, არის შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარე უარს მპასუხობს, ეშინია რომ ისეთი კითხვა არ დავუსვა, რითაც დაუმძიმდება მდგომარეობა, არადა რეალურად ხშირად მქონია სურვილი, რომ როდესაც ადვოკატს გამორჩა მნიშვნელოვანი რამ, და ამ დამაზუსტებელი კითხვით მინდა მივახვედრო, მეუბნებიან უარს.“ მოსამართლე ეკა არეშიძის აზრით წინასასამართლო ანგარიშს*

„ეფექტი ექნება იმ შემთხვევაში, თუ იგივე, ზემოაღნიშნული სსკ-ის 55-ე მუხლი ,,დაბრუნდება“, როდესაც მოსამართლეს გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით შეეძლება უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა, ამის საშუალება თუ ექნება მოსამართლეს, ამ შემთხვევაში, ეს ანგარიში გავლენას მოახდენს. სწორედ ის განსაკუთრებული გარემოება ექნება შეფასების ანგარიშიდან გამომდინარე, რა ვითარებაში ცხოვრობდა განსასჯელი, რამ მიიყვანა დანაშაულებამდე და ა.შ. ეს ყველაფერი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში იქნება აღწერილი. სავალდებულო არ არის, მაგრამ მიიღებ მხედველობაში. მეორეს მხრივ შეიძლება მიიღო მხედველობაში, მაგრამ სანქციის ფარგლებით რომ ხარ შეზღუდული, მაინც ვერაფერს უშველი. სანქციის შიგნით ლავირების საშუალება ისედაც გაქვს, უბრალოდ დასაბუთების თვალსაზრისით გაამყარებდა მოსამართლის არგუმენტებს, რატომ გამოიყენა უფრო მსუბუქი სასჯელი რაც სანქციის შიგნით იყო გათვალისწინებული.“ საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ლილი მსხილაძე პოზიტიურად აფასებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შემოღების საკითხს: „მართლმსაჯულებისთვის ეს იქნება ძალიან კარგი, იმიტომ, რომ ჩვენ რაც უფრო მეტი მტკიცებულება გვექნება და მკაფიოდ იქნება წარმოდგენილი რეალური სურათი, მით უფრო სწორ გადაწყვეტილებას მივიღებთ.თუ ჩვენ ჩვენი კოდექსიდან გამოვალთ, სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, ხოლო სამართლიანობა უნდა განისაზღვროს დამნაშავის ქმედების და მისი პიროვნების გათვალისწინებით. ჩვენ უნდა გვქონდეს ნათელი სურათი მის პიროვნებაზე რომ სწორი სასჯელი გამოვიტანოთ. აქედან გამომდინარე, თუ გვექნება ეს, პირიქით, უფრო დაგვეხმარება, რომ სამართლიანი სასჯელი იქნას გამოტანილი.“

აქვე საინტერესოა გავეცნოთ სასჯელების შეფარდების სტატისტიკას ბოლო წლების განმავლობაში, სადაც შეგვიძლია დავინახოთ ზოგადი ტენდენციები ამ მიმართულებით.

ქალთა მიმართ 2013-2015 წლებში შეფარდებული სასჯელების სტატისტიკა

წლები	განხილულია განაჩენის გამოტანით		მათ შორის საპროცესო შეთანხმების საფუძველზე		გამოყენებული სასჯელები					გამართლდა
					თავისუფლების აღკვეთა	პირობითი მსჯავრი	ჯარიმა	ს. ს შრომა	გათავისუფლდა ამნისტიით	
	საქმე	პირი	საქმე	პირი	პირი	პირი	პირი	პირი	პირი	პირი
2013	457	574	386	479	80	351	106	17	15	5
2014	608	727	432	512	112	406	178	20	2	9
2015	785	970	497	605	150	486	299	23	1	1

შესაძლოა ინდივიდუალური ანგარიშის შედგენა სავალდებულო იყოს, გარკვეულ შემთხვევაში (როდესაც სახეზეა ქალის მიერ დანაშაულის ჩადენა „ხანგრძლივად ძალადობის მსხვერპლად ყოფნის გამო", ასევე მაშინ, როდესაც ქალს ჰყავს არასრულწლოვანი შვილები და საჭიროა, სასჯელის შეფარდების დროს ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება). სხვა სპეციფიკურ/რთულ შემთხვევებში, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების შესახებ მიმართვა შესაძლოა წარმოადგენდეს მოსამართლის დისკრეციას. მინიმუმ მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის დაწყება. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, თამარ ალანიამ ინტერვიუს დროსგანმარტა: *„ძალიან კარგი იქნება, საგრძნობლად მიეხმარება, იმიტომ, რომ პირველ რიგში, მოსამართლის ინიციატივაზე აღარ იქნება დამოკიდებული გამოიკვლიოს განსასჯელის პერსონალური, პირადი ცხოვრების მონაცემები, ოჯახის და შვილების შესახებ ინფორმაცია, რაც შეიძლება არც იყოს წარმოდგენილი. დღევანდელი მოცემულობით, ეს უკვე დამოკიდებულია მხარეზე, ადვოკატზე წარმოადგენს თუ არა. უკვე, როდესაც შემოვა დამატებითი კონტროლი, მხარეებისთვის და მოსამართლეებისთვისაც, რომ ამ პიროვნების ირგვლივ ყველანაირი ინფორმაცია მოძიებული იქნეს, საცხოვრებელი ადგილის არსებობა, სამუშაო წრე, ოჯახი, გავლენები და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ბევრ ფაქტორს ახსნის და სასჯელის დანიშვნის ეტაპზე, იქნება გადაწყვეტილება დასაბუთებული. "*

საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე არეშიძის განმარტებით: *„გარდა იმისა, რომ წინასწარ პატიმრობაში ყოფნის პირობებში ადამიანს წამებისა და არასათანადო მოპყრობის შიში გააჩნია, ზოგადად, ქალებისთვის ასეთ დაწესებულებებში მოკლევადით მოხვედრამაც კი შეიძლება უაღრესად მძიმე ზეგავლენა მოახდინოს, რადგანაც მათ ჰყავთ ბავშვები და ხშირად ისინი ამ ბავშვების ერთადერთი მზრუნველები არიან. დედის საპყრობილეში აღმოჩენამ შეიძლება ამ ბავშვებს უაღრესად მძიმე ტრავმა მიაყენოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რის გამოც, დედაც ძლიერად იტანჯება. მნიშვნელოვანი სისტემური დამცავი მექანიზმი, რომელიც დაკავებისა და პატიმრობის პირობებში ქალების წინაშე არსებულ რისკებს შეამცირებდა და იმავდროულად მათი ბავშვების ჭეშმარიტ ინტერესებს გაითვალისწინებდა. პატიმრობის შეფარდება უნდა მოხდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენება".*

„ბანგკოკის წესების" თანახმად, *„ორსული ქალებისთვის და ქალებისთვის, რომლებსაც ყავთ მათზე დამოკიდებული ბავშვები, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას, როდესაც და რა შემთხვევებშიც, ეს შესაძლებელია. საპატიმრო სასჯელები გამოყენებულ უნდა იქნას სერიოზული ან ძალადობრივი დანაშაულის დროს ან როდესაც ქალი წარმოადგენს განგრძობით საფრთხეს, და ისიც მხოლოდ ბავშვის ან ბავშვების ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით და ასეთი ბავშვებისთვის შესაბამისი ზრუნვის უზრუნველყოფით".*[25]

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობაც იძლევა ორსული ან

[25] ,,ბანგკოკის წესები", წესი 64

მშობიარობის შემდეგ 3 წლამდე ბავშვის დედისთვის სასჯელის მოხდის გადავადების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია გენდერ-სპეციფიკური მიდგომების გამოყენება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ეტაპზეც. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, აღკვეთი ღონისძიების სახეებს წარმოადგენს:

- გირაო
- შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ
- პირადი თავდებობა
- სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა
- პატიმრობა

აღკვეთი ღონისძიების შერჩევისას კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე მხედველობაში იღებს ბრალდებულის პიროვნებას, საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პატიმრობა პირს შეიძლება შეეფარდოს თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი შესაძლოა მიიმალოს ან ხელი შეუშალოს მართლმსაჯულებას, ხელი შეუშალოს მტკიცებულებების მოპოვებას, ასევე რათა თავიდან იქნას აცილებული ახალი დანაშაულის ჩადენა. ზემოთ მოყვანილი ნორმები წარმოადგენს გენდერულად ნეიტრალურ ნორმებს, რომლებიც ერთნაირად ვრცელდება მამაკაც და ქალ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებზე, თუმცა ისინი თავისი შინაარსით არ ითვალისწინებს ქალთა გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებს. ხშირად კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალები არიან სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახებიდან, მათ აქვთ განათლების დაბალი დონე, არ იცნობენ თავიანთ უფლებებს, ყავთ არასრულწლოვანი შვილები, რომელთა ძირითად (ან ხშირ შემთხვევაში ერთადერთ) მზრუნველებს წარმოადგენენ, აქედან გამომდინარე მათთვის პატიმრობის შედეგები შესაძლოა უფრო მძიმე აღმოჩნდეს მამაკაცებთან შედარებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია მოსამართლეები აღკვეთი ღონისძიების შერჩევისას ითვალისწინებენ, ზოგადად, ბრალდებულის ოჯახურ მდგომარეობას, თუმცა კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს ქალთა მიმართ აღკვეთი ღონისძიებების გამოყენებისას არასრულწლოვანი შვილების საუკეთესო ინტერესზე მსჯელობის აუცილებლობას. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ყველა ორგანო გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ხელმძღვანელობდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესით, ეს თავისთავად ვრცელდება სასამართლოზე, რომელიც განიხილავს არასრულწლოვანი შვილის/შვილების დედის მიმართ აღკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს. გარდა იმისა, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილები, თავის მხრივ, ქალებისთვის წარმოადგენს სექსუალური და სხვა ტიპის ძალადობის უფრო მაღალი რისკის მქონე ადგილებს, მათი პატიმრობის საკითხის განხილვისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მათი არასრულწლოვანი შვილების

საუკეთესო ინტერესები. ხშირ შემთხვევაში, დედასთან განშორება მძიმე ტრავმაა არასრულწლოვანი ბავშვებისთვის, რაც იწვევს მათ სტიგმატიზაციას, ქცევის შეცვლას, შფოთვას, დეპრესიას და სხვა ფსიქიკურ პრობლემებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასამართლომ ქალის მიმართ აღკვეთი ღონისძიების შეფარდებისას იმსჯელოს მისი არასრულწლოვანი შვილების საუკეთესო ინტერესზეც და მაქსიმალურად ეცადოს არ დაარღვიოს ოჯახის ერთიანობა. **მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული აღკვეთი ღონისძიების სახეები არც ისე ბევრია. მით უფრო მძიმეა ქალთა მდგომარეობა, რადგან ხშირად ისინი უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ გირაოს გადახდას და ხდება მათ მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების (პატიმრობის) გამოყენება**. ფოკუს ჯგუფის მონაწილემ, რომელიც იყო არასრულწლოვანი ბავშვების მრავალშვილიანი დედა, აღნიშნა, რომ მოსამართლემ მხოლოდ მეოთხე სხდომაზე გაიგო, რომ მას ჰყავდა რამდენიმე არასრულწლოვანი შვილი, თუმცა ბავშვების ინტერესებზე არ უმსჯელია. მეორემ კი განაცხადა, რომ ვერ შეძლო 5000 ლარიანი გირაოს გადახდა, რის გამოც, აღმოჩნდა პატიმრობაში. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა დიდ ნაწილს პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პერიოდში ყავდა ერთი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი. მათგან რამდენიმემ აღნიშნა, რომ მოსამართლემ მხედველობაში არ მიიღო მათი შვილების საუკეთესო ინტერესი. ერთ-ერთის განმარტებით მისი დაკავებისას არასრულწლოვანი ბავშვები მარტო დარჩნენ სახლში და თავისუფლების აღკვეთის შემდეგ სამი წლის განმავლობაში აგვარებდა მათი მინდობით აღზრდაში გადაცემის საკითხს. ამ პერიოდში ბავშვებზე მისი მეგობრები და ნაცნობები მორიგეობით ზრუნავდნენ.

საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ეკა არეშეძე აღკვეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით აღნიშნავს: *„ზოგადად ყოველთვის მიმაჩნდა, რომ იყო ცოტა შეზღუდული არჩევანი. რაც არის ამოქმედებული აღკვეთის ღონისძიებები, ესენია პატიმრობა, გირაო, გირაო თუ არ აქვს, პირადი თავდებობა. პირადი თავდებობის დროს, ჯერ ერთი, თავმდები პირებია საჭირო, თან სანდო უნდა იყოს, და ა.შ. ხშირად ხდება ისე, რომ როდესაც ბრალდებული მოჰყავთ, პირველ წარდგენით სხდომაზე, შეიძლება საერთოდ გულშემატკივარიც კი არ ჰყავდეს არავინ დარბაზში და რეალურად რომც დააყენოს ეს საკითხი თუნდაც ადვოკატმა, თუ არ გყავს პირი რომლის თანხმობაცაა, ვერ იყენებ ამ ღონისძიებას. ასევე ვერ იყენებ გაუსვლელობას, რადგან კონკრეტულ სანქციამდე, ვთქვათ 2 წლამდე დანაშაულამდე ვრცელდება,სხვაზე არა. ამიტომ რეალურად დგები არჩევანის წინაშე, ან საერთოდ აღკვეთის დაუნიშნავად უნდა დატოვო, ან შეუფარდო პატიმრობა, მაგრამ არის ზოგჯერ ისეთი კატეგორიის საქმეები თვითონ პიროვნების წარსულის გათვალისწინებით, რომ საერთოდ აღკვეთის გარეშე დატოვება არ არის მიზანშეწონილი, რადგან ბევრი საფრთხე არსებობს და საბოლოოდ გვრჩება მხოლოდ პატიმრობა. ეს არა მხოლოდ ქალებთან, ზოგადად არის ამის პრობლემა. არასრულწლოვნების შემთხვევაში ცოტა უფრო გაფართოვდა.“* მოსამართლე ლილი მსხილაძემ შეხვედრისას აღნიშნა, *„ძალიან*

ცუდი სიტუაციაა აღკვეთის ღონისძიების სახეებთან დაკავშირებით, თუ მრავალფეროვანი არ გახდა, დღევანდელი მოცემულობით, ნამდვილად შეზღუდულია სასამართლო, უკიდურესობებს შორის, ან გამოიყენოს პატიმრობა, ან გირაო, ან არაფერი. შემთხვევებში, სადაც არ გამოიყენეს პატიმრობა, დღეს ძალიან ბევრი ძებნილია. ანუ დიდია ალბათობა იმისა, რომ ამ პიროვნებებმა სასამართლოს კეთილგანწყობა ბოროტად გამოიყენონ. დღეს ალტერნატივა არ არის. არის პატიმრობა, არის გირაო - ერთმანეთზე უარესი. გაუსვლელობის ხელწერილს ვერ იყენებენ, მეტი არაფერია.“ ვალერიან მრელაშვილის განმარტებით: „ძალიან ხშირია შემთხვევა, მათ შორის მეც მქონდა ასეთი შემთხვევა, რომ გამოგვიყენებია პატიმრობა, რადგან განსასჯელს გირაოს ფული არ ჰქონდა. აზრი არ აქვს, თუ მითუმეტეს დაკავებულია, მაშინ უნდა შეუფარდო საპატიმრო გირაო და სანამ ვერ გადაიხდის ვერ გამოვა, და აზრი არ აქვს გირაოს შეფარდებას როდესაც ვერ იხდის. რეალურად პატიმრობას უფარდებ, რადგან გადახდამდე ვერ გამოვა და გადამხდელიარ არის. სხვა ალტერნატივა არ არსებობს. საერთოდ აღკვეთის გარეშე რომ დატოვო, მასეთი მომენტიც არ არის, მისთვის და საზოგადოებისთვისაც ცუდია. როდესაც აღკვეთის გარეშე გადის სასამართლოდან, მას ჰგონია, რომ მადლობა გამოუცხადეს, წავა და უარესს ჩაიდენს, ვერ აცნობიერებს, ვერ ხვდება რომ რაღაც დაარღვია.“

რეკომენდაციები

- **განხილული იქნას ქალების მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახეების რაოდენობის გაზრდის საკითხი;**
- **განხილულ იქნას გარკვეულ შემთხვევებში (განგრძობადი პერიოდის მანძილზე მსხვერპლად ყოფნის გამო, არასრულწლოვა-ნი შვილების ყოლის შემთხვევაში) სასჯელის განსაზღვრისთვის წინასასამართლო ანგარიშის მომზადების საჭიროების საკითხი;**
- **გამომძიებლებმა, რომლებიც ქალ ბრალდებულთა საქმეებს აწარმოებენ გაიარონ გადამზადება გენდერ-სპეციფიკური საჭიროებებისა და სპეციფიკის კუთხით;**
- **ჩამოყალიბდეს ქალების (როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი, ასევე მოწმე და დაზარალებული) დაკითხვის სახელმღვანელო პრინციპები;**
- **მაქსიმალურად იქნას გამოყენებული განრიდება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სხვა ალტერნატიული ზომები.**
- **მოსამართლეებს მიეცეთ დისკრეციული უფლებამოსილება, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დანიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დაბალ ზღვარზე დაბალი სასჯელი.**

ნაწილი 4. საპატიმრო სასჯელის აღსრულება

4.1 შესავალი

უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ საზოგადოებაში არსებული ღირებულებები და მიდგომები აისახება თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე, ვინაიდან ისინი წარმოადგენს გარეთ მყოფი საზოგადოების ანალოგიურ მიკრო სამყაროს და ამ დაწესებულებებში ის ადამიანები იმყოფებიან, რომლებიც იმავე საზოგადოებას წარმოადგენენ და მისთვის დამახასიათებელი კულტურის, ღირებულებების, ცრურწმენებისა და სტერეოტიპების მატარებელნი არიან. როგორც წამების საკითხებზე ყოფილმა სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, საზოგადოების ინდიფერენტულობა ქალის დაქვემდებარებული სტატუსისადმი, ან უფრო მეტიც, საზოგადოების მიერ ასეთი სტატუსის მხარდაჭერა, დისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან და დამნაშავეების დაუსჯელობისა და მსხვერპლთა დაუცველობის სისტემურ პრობლემასთან ერთად, ისეთ პირობებს ქმნის, რომლებიც, მნიშვნელოვნად,ზრდის იმის რისკს, რომ ქალები ფიზიკური და სულიერი ტანჯვის მსხვერპლი გახდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათ შორის, ციხეებში.[26]

პენიტენციურ სისტემაში კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალები განთავსებული არიან ორ დაწესებულებაში - N5 (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) და N2 (ქ.ქუთაისი) დაწესებულებებში. N5 დაწესებულებაში განთავსებული არიან, როგორც ბრალდებული, ასევე მსჯავრდებული ქალები. ხოლო N2 დაწესებულებაში, ძირითადად, განთავსებული არიან ბრალდებული ქალები.

სანამ პენიტენციურ სისტემაში არსებული ძირითადი საკითხების განხილვას დავიწყებდეთ, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ 2013-2015 წლების ძირითადი ტენდენციები სტატისტიკური ინფორმაციების ანალიზის კუთხით.

2013 წელი

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის შედარება საქართველოს მოსახლეობასთან

საქართველოს მოსახლეობა	ბრალდებულები და მსჯავრდებულები	შედარება
4 483 800	**9 093**	**0.20%**
საქართველოს მამრობითი სქესის მოსახლეობა	მამრობითი სქესის ბრალდებულები და მსჯავრდებულები	შედარება
2 138 800	**8 843**	**0.41%**
საქართველოს მდედრობითი სქესის მოსახლეობა	მდედრობითი სქესის ბრალდებულები და მსჯავრდებულები	შედარება
2 345 000	**250**	**0.01%**

[26] A/HRC/7/3, 2008 წლის 15 იანვარი, პარაგრაფი 29

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფები

№	თვეები	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
		კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
1	იანვარი	13066	694	13760	104	1	105	13865
2	თებერვალი	10340	567	10907	91	1	92	10999
3	მარტი	9893	502	10395	94	2	96	10491
4	აპრილი	9649	463	10112	89	1	90	10202
5	მაისი	9341	411	9752	78		78	9830
6	ივნისი	8956	370	9326	76		76	9402
7	ივლისი	8831	345	9176	79		79	9255
8	აგვისტო	8495	295	8790	78		78	8868
9	სექტემბერი	8719	280	8999	86		86	9085
10	ოქტომბერი	8593	257	8850	81		81	8931
11	ნოემბერი	8668	254	8922	72		72	8994
12	დეკემბერი	8768	250	9018	75		75	9093

შეწყალებულთა რაოდენობა

	კაცი					ქალი					საერთო
	სრულწლოვანი		არასრულწლოვანი		სულ	სრულწლოვანი		არასრულწლოვანი		სულ	
	საპატრიმოსასჯელი	პ/მსჯავრი	საპატრიმოსასჯელი	პ/მსჯავრი		საპატრიმოსასჯელი	პ/მსჯავრი	საპატრიმოსასჯელი	პ/მსჯავრი		
სულ	1109	50	17	0	1176	53	6	0	0	56	1236

ამინისტირებულთა რაოდენობა

	კაცი			ქალი		სულ
	სრულწლოვანი	არასრულწლოვანი	სულ	სრულწლოვანი	არასრულწლოვანი	
სულ	16903	0	16903	826	0	1236

გარდაცვალება - სულ 25 (ქალი არც-ერთი)

2014 წელი

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის შედარება საქართველოს მოსახლეობასთან

საქართველოს მოსახლეობა	ბრალდებულები და მსჯავრდებულები	შედარება
4 490 500	**10 372**	**0,23%**
საქართველოს მამრობითი სქესის მოსახლეობა	მამრობითი სქესის ბრალდებულები და მსჯავრდებულები	შედარება
2 141 400	**10 091**	**0,47%**
საქართველოს მდედრობითი სქესის მოსახლეობა	მდედრობითი სქესის ბრალდებულები და მსჯავრდებულები	შედარება
2 349 100	**281**	**0,01%**

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფები

N	თვეები	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
		კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
1	იანვარი	**9017**	**252**	**9269**	**80**		**80**	**9349**
2	თებერვალი	**9398**	**252**	**9650**	**84**		**84**	**9734**
3	მარტი	**9559**	**247**	**9806**	**82**		**82**	**9888**
4	აპრილი	**9548**	**248**	**9796**	**91**		**91**	**9887**
5	მაისი	**9645**	**245**	**9890**	**92**		**92**	**9982**
6	ივნისი	**9846**	**252**	**10098**	**85**		**85**	**10183**
7	ივლისი	**9813**	**249**	**10062**	**80**		**80**	**10142**
8	აგვისტო	**9897**	**253**	**10150**	**83**		**83**	**10233**
9	სექტემბერი	**10084**	**262**	**10346**	**80**		**80**	**10426**
10	ოქტომბერი	**10198**	**266**	**10464**	**79**		**79**	**10543**
11	ნოემბერი	**10286**	**275**	**10561**	**79**		**79**	**10640**
12	დეკემბერი	**10008**	**281**	**10289**	**83**		**83**	**10372**

შეწყალებულთა რაოდენობა

	კაცი					ქალი					საერთო
	სრულწლოვანი		არასრულწლოვანი		სულ	სრულწლოვანი		არასრულწლოვანი		სულ	
	საპატრიმო სასჯელი	პ/მსჯავრი	საპატრიმო სასჯელი	პ/მსჯავრი		საპატრიმო სასჯელი	პ/მსჯავრი	საპატრიმო სასჯელი	პ/მსჯავრი		
სულ	729	7	28	0	764	23	0	0	0	23	787

ამინისტირებულთა რაოდენობა

	კაცი			ქალი				სულ
	სრულწლოვანი	არასრულწლოვანი	სულ	სრულწლოვანი	არასრულწლოვანი	1		
სულ	16	0		1	0			
			16					17

გარდაცვალება - სულ 27 (ქალი არც-ერთი)

2015 წელი

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის შედარება საქართველოს მოსახლეობასთან

საქართველოს მოსახლეობა	ბრალდებულები და მსჯავრდებულები	შედარება
3 729 500	9 716	0,26%
საქართველოს მამრობითი სქესის მოსახლეობა	მამრობითი სქესის ბრალდებულები და მსჯავრდებულები	შედარება
1 778 500	9 407	0,53%
საქართველოს მდედრობითი სქესის მოსახლეობა	მდედრობითი სქესის ბრალდებულები და მსჯავრდებულები	შედარება
1 951 000	309	0,02%

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფები

N	თვეები	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
		კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
1	იანვარი	10154	291	10445	80		80	10525
2	თებერვალი	10267	294	10561	82		82	10643
3	მარტი	10132	293	10425	82	1	83	10508
4	აპრილი	10110	306	10416	76	1	77	10493
5	მაისი	10153	307	10460	69	1	70	10530
6	ივნისი	10008	306	10314	63		63	10377
7	ივლისი	9846	309	10155	57		57	10212
8	აგვისტო	9870	320	10190	52		52	10242
9	სექტემბერი	9869	318	10187	49		49	10236
10	ოქტომბერი	9824	325	10149	52		52	10201
11	ნოემბერი	9721	331	10052	55		55	10107
12	დეკემბერი	9372	309	9681	35		35	9716

შეწყალებულთა რაოდენობა

	კაცი					ქალი					საერთო
	სრულწლოვანი		არასრულწლოვანი		სულ	სრულწლოვანი		არასრულწლოვანი		სულ	
	საპატიმრო სასჯელი	პ/მსჯავრი	საპატიმრო სასჯელი	პ/მსჯავრი		საპატიმროსასჯელი	პ/მსჯავრი	საპატიმრო სასჯელი	პ/მსჯავრი		
სულ	924	0	22	0	946	60	0	0	0	60	1006

ამინისტირებულთა რაოდენობა

	კაცი			ქალი			სულ
	სრულწლოვანი	არასრულწლოვანი	სულ	სრულწლოვანი	არასრულწლოვანი	0	
სულ	9	1	10	0	0		10

2016 წლის 04 აპრილის მდგომარეობით პენიტენციურ დაწესებულებებში იმყოფებოდა 246 ქალი მსჯავრდებული.

სასჯელების ხანგრძლივობა: 1-5 წლამდე - 109, 5-10 წლამდე - 98, 10-15 წლამდე - 34, 15 წლის ზემოთ - 5.



- 2013-2015 წლების განმავლობაში სასჯელი გადაუვადდა **1 ქალ მსჯავრდებულს** (2014 წელს).
- 2013-2015წ.წ. პენიტენციური დაწესებულებებიდან სასჯელის მოხდით (კალენდარულად) გათავისუფლდა **151 ქალი მსჯავრდებული.**

ევროპა

	ქალი პატიმრების რაოდენობა	თარიღი	პროცენტული მაჩვენებელი ციხის მთლიან პოპულაციასთან	ქვეყნის მოსახლეობა (დაახლოებით)	თანაფარდობა (Rate)
ავსტრია	530	01.11.14.	6%	8.55 მ	6.2
ბელგია	502	01.02.14.	4.3%	11.24 მ	4.5
საფრანგეთი	2032	01.07.15.	3.3%	64.34 მ	3.2
გერმანია	3753	31.03.15.	5.9%	81.29 მ	4.6
ჰოლანდია	687	30.09.13.	5.4%	16.82 მ	4.1
შვეიცარია	328	03.09.14.	4.7%	8.20 მ	4.0
ბელორუსი	2830	31.12.09.	6.8%	9.48 მ	29.9
ჩეხეთი	1350	31.07.15.	6.6%	10.55 მ	12.8

უნგრეთი	1377	26.03.15.	7.6%	9.84 მ	14.0
მოლდოვა	422	01.09.13.	6.3%	3.56 მ	11.9
პოლონეთი	2631	30.06.15.	3.5%	38.00 მ	6.9
რუმინეთი	1508	30.06.15.	5.1%	19.82 მ	7.6
სლოვაკეთი	639	01.07.15.	6.3%	5.42 მ	11.8
უკრაინა	7977	01.12.13.	6.2%	45.18 მ	17.7
დანია	139	01.05.15.	4.0%	5.67 მ	2.5
ესტონეთი	154	27.07.15.	5.5%	1.31 მ	11.8
ფინეთი	234	16.05.15.	7.5%	5.47 მ	4.3
ირლანდია	124	31.07.15.	3.3%	4.64 მ	2.7
ლატვია	343	31.12.14	7.2%	1.986 მ	17.3

წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციის მიმოხილვა შესაძლებლობას გვაძლევს ზოგად კონტექსტში გავაანალიზოთ ის ტენდენციები, რაც 2013-2015 წლებში მიმდინარეობდა. ხელშესახები ცვლილებები იგრძნობა, განსაკუთრებით, 2013 წელს და ეს დაკავშირებულია 2012 წელს ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილებასა და ამ პერიოდში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან: უპირობო შეკრებითობის პრინციპის გაუქმება, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ამნისტიის შესახებ, ვადაზე ადრე გათავისუფლებულ პირთა რაოდენობის ზრდა და პრეზიდენტის მიერ განხორციელებული აქტი შეწყალების შესახებ. შესაბამისად, 2013 წლის განმავლობაში მსჯავრდებულ ქალთა რაოდენობა შემცირდა 694-დან 250-მდე.

აღნიშნული პოლიტიკა მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა შემდგომი ორი წლის განმავლობაში, რის გამოც, პატიმართა რაოდენობის მკვეთრი ზრდა არ მომხდარა და 2016 წლის 4 აპრილის მონაცემებით, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო 246 მსჯავდებული ქალი. თუ შევადარებთ აღნიშნულ მონაცემებს, კერძოდ პატიმრების მთლიან პოპულაციასთან ქალი პატიმრების რაოდენობას, სხვადასხვა ევროპული ქვეყნების მაგალითზე, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ხოლო პატიმრების რაოდენობა საქართველოს მთლიან მოსახლეობასთან შედარებით არის ასი ათას მოქალაქეზე 274[27] (20.09.15 მონაცემებით), რაც შეგვიძლია მივიჩნიოთ საშუალო მაჩვენებლად ევროპულ ქვეყნებთან მიმართებაში.

გარდა ამისა, დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ

[27] http://www.prisonstudies.org/sites/default/files/resources/downloads/world_prison_population_list_11th_edition.pdf

მნიშვნელოვნად არის შემცირებული ხანგრძლივვადიანი სასჯელების რაოდენობა.

ასევე დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2013-2015 წლებში არ ყოფილა არც ერთი ქალი პატიმრის გარდაცვალების შემთხვევა.

თუმცა ხაზი უნდა გაესვას, რომ განხორციელებული ცვლილებები წარმოადგენდა პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებს და არა სამართლებრივ ანალიზზე დაფუძნებულს, რის გამოც არსებობს რისკი, რომ მომავალში პატიმრების რაოდენობის ზრდა ისევ დაფიქსირდეს (ამის ნიშნები არის, განსაკუთრებით კაც პატიმრებთან მიმართებაში). მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ანალიზზე დაფუძნებული მიდგომები და შესაბამისი ნაბიჯები სხვადასხვა უწყებებმა გადადგან აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით.

4.2 ძირითადი ნაწილი

ა) პატიმრის მიღება და განთავსება

პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ყველა პატიმრისთვის ღირსეული და ჰუმანური პირობების შექმნა, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა, ან იმ დანაშაულისა რომლის ჩადენაშიც ედებათ ბრალი. შეზღუდვები, რომლებიც გამოიყენება მათ მიმართ არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობის უზრუნველსაყოფად. „ბანგკოკის წესების“ თანახმად *„გენდერულად მგრძნობიარე რისკის შეფასებისა და პატიმართა კლასიფიკაციის დროს: გათვალისწინებულ უნდა იქნას პატიმარ ქალთა მხრიდან სხვის მიმართ უფრო დაბალი რისკის გამოვლენა, ასევე მათ წინააღმდეგ მაღალი უსაფრთხოების ზომებისა და სრული იზოლირების გამოყენებისგან გამოწვეული განსაკუთრებით საზიანო შედეგები ქალ პატიმრებზე“.*[28]

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, - *„ქალი მსჯავრდებული სასჯელს იხდის ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში, რომელიც გათანაბრებულია ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასთან“.*[29]*ამავე კოდექსის თანახმად - „ნახევრად ღია ტიპის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.... ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, დადგენილი წესით გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე. “*[30]

პატიმრობის კოდექსში, აღნიშნულია რომ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, სასჯელს

---

[28] ,,ბანგკოკის წესები“, წესი 41

[29] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 72(1)

[30] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 72(1

იხდიან უვადო თავისულებააღკვეთილი პირები,[31] ხოლო აღნიშნულ დაწესებულებაში არის განსხვავებული რეჟიმი და შეზღუდულია პატიმართა თავისუფალი გადაადგილება დაწესებულების ტერიტორიაზე.[32]

აქედან გამომდინარე, როდესაც პენიტენციურ სისტემაში ხდება უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული ქალის მოთავსება, ადგილობრივ კანონმდებლობაში გვხდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ნორმა. ამ ხარვეზის გამო, ჩამოყალიბდა პრაქტიკა, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი ქალები სასჯელს იხდიდნენ დახურულ სისტემაში და არა ნახევრად ღიაში. აუცილებელია აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება, რამაც ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი.

ქართული კანონმდებლობის თანახმად, მსჯავრდებულის (პატიმრის) საშიშროების რისკების შეფასებას და პერიოდულ გადაფასებას უზრუნველყოფს რისკების შეფასების გუნდი, რომელიც შედგება 5 ძირითადი და 5 სათადარიგო წევრისაგან. გუნდის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს, უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს სამართლებრივი რეჟიმის სამმართველოს, უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ოპერატიული სამმართველოს, სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს წარმომადგენლები და ფსიქოლოგი. რისკების შეფასების გუნდს მსჯავრდებულის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის, სპეციალური აღრიცხვის და სოციალური განყოფილების არანაკლებ თითო წარმომადგენლისაგან პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულის შესახებ მონაცემების დამუშავებას.[33]

მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრისას გუნდი ითვალისწინებს პენიტენციური დაწესებულების, გარშემომყოფთა, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოებისათვის მსჯავრდებულისგან მომდინარე საშიშროებას, რომელიც განისაზღვრება მისი პიროვნული თვისებების, დანაშაულის ჩადენის მოტივის, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევის, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან დამოკიდებულების, დაწესებულების დებულებისა და დღის განრიგის მოთხოვნების შესრულების, ალკოჰოლის, ნარკოტიკული

---

[31] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 64

[32] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 12

[33] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, 46-ე მუხლის მე-4 ნაწილი; „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-8 მუხლი, მე-6 მუხლი, მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი, მე-11 მუხლი.

და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტების, ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის, დარჩენილი სასჯელის ხანგრძლივობის, დაწესებულებიდან გაქცევის ან გაქცევის მცდელობის ფაქტების, წარსულში დაწესებულებაში სასჯელის მოხდის შემთხვევების, მსჯავრდებულის ასაკის, ქურდულ სამყაროსთან/ტერორიზმთან დამოკიდებულების, დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო/ რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულობის, თვითდაზიანების მიყენების/მცდელობის ფაქტების, რომლითაც საფრთხე ექმნება ან შეიძლება შეექმნას დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას, აგრეთვე წახალისების/დისციპლინური სახდელის/ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების კრიტერიუმების შეფასების საფუძველზე.[34]საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საშიშროების რისკის 4 სახე: **დაბალი, საშუალო, მომეტებული, მაღალი.**[35]

ზემოაღნიშნული რეგულაციები არ ვრცელდება ქალ მსჯავრდებულებთან მიმართებაში და მათი განთავსება, (ამ შემთხვევაში უვადო თავისუფლებააღკვეთილი ქალების), ხორციელდება ზოგად ნორმებზე დაყრდნობით და არსებული პრაქტიკის თანახმად, ისინი უპირობოდ მოთავსდებიან დახურულ სისტემაში.

განსხვავებული პრაქტიკაა ბრალდებულ ქალებთან მიმართებაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი განთავსებულნი არიან N2 და N5 დაწესებულებების სპეციალურ განყოფილებებში. ბრალდებული ქალების მდგომარეობა არსებითად განსახვავებულია მსჯავრდებული ქალებისგან. მათ, როგორ წესი, ეძლევათ დღის განმავლობაში მხოლოდ 1 საათი სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა, ნაკლებად არიან ჩართული სარეაბილიტაციო პროგრამებში და ა.შ. ბუნებრივია არსებობს გამოძიების ინტერესები და პატიმრების განცალკევებით განთავსების აუცილებლობა, თუმცა მსგავსი ტიპის აუცილებლობა არის მსჯავრდებულებთან მიმართებაშიც და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულების მდგომარეობა არსებითად არ განხვავდებოდეს მსჯავრდებულებისგან. „წინასწარ გამოძიებაში მყოფი პატიმრები უდანაშაულოდ ითვლებიან და მათ შესაბამისად უნდა ეპყრობოდნენ“.[36]გარდა ამისა, ,,ციხის ევროპულ წესებში“ აღნიშნულია, რომ -„წინასწარი პატიმრობის ციხეების ადმინისტრაციამ უნდა იხელმძღვანელოს ამ წესებით და გამოიყენოს, რათა ნება დართოს პატიმრებს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, რომლებიც მოცემულია წინამდებარე წესებში“.[37]

---

[34] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მე-4 მუხლი.

[35] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N70, მ.5

[36] ,,ნელსონ მანდელას წესები“, წესი 111.2

[37] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესების შესახებ, წესი 95(3)

რეკომენდაციები

- ქალ მსჯავრდებულებთან მიმართებაში შეიქმნას რისკების შეფასების სისტემა და უვადო თავისუფლებააღკვეთილი ქალები დახურულ სისტემაში განთავსდნენ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში;
- შეიცვალოს ბრალდებული ქალების მიმართ არსებული რეჟიმი და მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის აქტივობებში.

ბ) პატიმრის მიღებისას პერსონალური შემოწმება

პირადი შემოწმება ყველა თავისუფლება აღკვეთილი ადამიანისთვის საკმაოდ მტკივნეული გამოცდილებაა. მაშინაც კი, როდესაც შემოწმებას ქალი პერსონალი ატარებს, შემოწმების მიზნით ქალების გაშიშვლება და ინვაზიური[38] (აგრესიული) ჩხრეკა ქალებისთვის უაღრესად დამამცირებელია, თუ ეს რეგულარულად და დამამცირებელი გზით ტარდება და როდესაც ქალების ღირსებას არ სცემენ პატივს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქალები მამაკაცებზე უფრო ხშირად არიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, აქედან გამომდინარე, გაშიშვლება მათთვის უფრო მატრავმირებელია და ხშირად მეორად ვიქტიმიზაციას იწვევს.

ზოგადად, საერთაშორისო გამოცდილება იცნობს <u>პერსონალური შემოწმების</u> რამდენიმე ფორმას:

- **სწრაფი შემოწმება ხელის შეხებით**

  პირადი შემოწმება შესაძლოა გულისხმობდეს გარედან ხელის შეხებით შემოწმებას, რომლის დროსაც არ ხდება გაშიშვლება და თანამშრომელი ტანსაცმელზე ხელის შეხებით ამოწმებს პირს.

- **გაშიშვლებით შემოწმება**

  შემოწმების ეს ფორმა გულისხმობს შემოწმებას გაშიშვლებით, როდესაც შესამოწმებელმა პირმა უნდა გაიხადოს ტანსაცმელი და დაექვემდებაროს სხეულის დეტალურ ვიზუალურ ინსპექტირებას.

- **სხეულის ინვაზიური შემოწმება**

  არსებობს შემოწმების ისეთი ფორმა, როგორიცაა სხეულის ღრუების შემოწმება, ეს გულისხმობს სხეულის სიღრმისეულ შინაგან შემოწმებას. შემოწმების ეს ფორმა განსაკუთრებით ხელყოფს ადამიანის პრივატულობას.

,,ბანკოკის წესების“ მე-19 წესის შესაბამისად ციხის ადმინისტრაციამ ეფექტური ზომები უნდა გაატაროს, რათა ჩხრეკის პროცესში ქალის ღირსება იყოს დაცული. ამ წესის შესაბამისად ქალი პატიმრების ჩხრეკა[39]*"მხოლოდ ქალი პერსონალის მიერ უნდა ჩატარდეს,*

[38] სხეულის ღრუების შემოწმება

[39] ჩხრეკის მცნების ქვეშ აქ იგულისხმება შემოწმება და არა ჩხრეკა, როგორც საგამოძიებო მოქმედება.

რომელსაც შესაბამისი ტრენინგი აქვს გავლილი".

ზოგადად მიზანშეწონილია, რომ სხეულის ინვაზიური ჩხრეკა ან საერთოდ არ უნდა ტარდებოდეს, ან გამონაკლის შემთხვევებში ტარდებოდეს კანონის მოთხოვნების დაცვით, როდესაც შემოწმების სხვა საშუალებები არაეფექტიანია კონკრეტული რისკის არსებობის გამო. ასეთი შემოწმების ჩატარების მიზნით, ხშირად, სამედიცინო პერსონალს იწვევენ. ზოგადად, ჯანდაცვის სფეროს პერსონალი არ უნდა იღებდეს მონაწილეობას პატიმრების შემოწმებაში, რადგანაც ეს ციხის უსაფრთხოების პროცედურის ნაწილია და ექიმების პასუხისმგებლობაში პატიმრების ჯანმრთელობაზე ზრუნვა შედის, ხოლო ასეთ პროცედურებში მონაწილეობის შედეგად, ხშირად ექიმების რეპუტაციაც კომპრომეტირებულია. თუ სამედიცინო პერსონალის დასწრება ან მის მიერ ინვაზიური შემოწმება ხორციელდება, საჭიროა ეს ჩაატაროს სხვა ექიმმა და არა დაწესებულების ექიმმა.

ადგილობრივი კანონმდელობა ითვალისწინებს პირადი შემოწმების ორ ფორმას - არასრული და სრული.

არასრული შემოწმების დროს ხდება ბრალდებულის/ მსჯავრდებულის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შემოწმება/ დათვალიერება მისი გახდის გარეშე.[40]

სრული შემოწმებისას - *„ხდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და პროთეზის (მისი არსებობის შემთხვევაში) დათვალიერება. პირადი სრული შემოწმებისას ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია უფლებამოსილი პირის მითითების შემდეგ, გაიხადოს ან გაიშიშვლოს სხეულის შესაბამისი ნაწილები. პლასტირი, თაბაშირის და სხვა ნახვევები მოწმდება საექიმო-სამედიცინო პუნქტის სამედიცინო მუშაკთან ერთად. ტანსაცმელში ჩაკერებული ნივთების აღმოჩენისას ქსოვილი იჭრება. ფეხსაცმლიდან ამოიღება სუპინატორები და მეტალის დეტალები. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი სრული შემოწმებისას შინაგან შემოწმებას ატარებს სამედიცინო მუშაკი, იმავე სქესის სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომლის თანდასწრებით".*[41]

ადგილობრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კლასიკურად ინვაზიური შემოწმების ჩატარების შესაძლებლობას, როგორც ეს არის გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტებით, თუმცა რეგულაციებში გვხდება ასეთი ტიპის ჩანაწერი - „ბრალდებულის/ მსჯავრდებულის პირადი სრული შემოწმების დროს, შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექიმ-სპეციალისტი"[42]. თუკი კანონმდებლება არ ითვალისწინებს ინვაზიური შემოწმების შესაძლებლობას, რა მიზნით შეიძლება იყოს მოწვეული ექიმ-სპეციალისტი? სრული შემოწმება ხომ არ იგივდება ადმინისტრაციის მიერ ინვაზიურ შემოწმებასთან? კვლევის პროცესში გამოიკვეთა პრაქტიკა, რომ ქალების მიმართ ტარდება ე.წ „ინვაზიური" შემოწმება, თუმცა კანონმდებლობაში

[40] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება, N116, მუხლი 22(4)

[41] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება, N116, მუხლი 22(6)

[42] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება, N116, მუხლი 22(7)

ამის რეგულაციები არ არსებობს. ბენეფიციარებმა (ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა) აღნიშნეს, რომ როგორც წესი, შემოწმებას ატარებს მამრობითი სქესის სამედიცინო პერსონალი და მხოლოდ პატიმრის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლოა იყოს მოწვეული მდედრობით სქესის სამედიცინო პერსონალი. გარდა ამისა, ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრული სრული შემოწმება ტარდება ღირსების შემლახავი ფორმით, რასაც ადასტურებენ, როგორც ბენეფიციარები (ყოფილი პატიმრები), ასევე პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში ასახული ინფორმაცია.

ანგარიშში ვკითხულობთ - *„მონიტორინგის ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ N5 დაწესებულებაში პატიმრებისმიღების დროს ხდება მათი შიშველი შემოწმება, ამასთან, პატიმრებს სთხოვენ გააკეთონბუქნები, რაც პატიმართა შეფასებით დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის შემოწმება ხდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საპატიმრო დაწესებულების დატოვების და დაბრუნების ყველა შემთხვევაში. პატიმართა განცხადებით,ეს პროცედურა განსაკუთრებით დამამცირებელი და მძიმეა მენსტრუალური ციკლის დროს. ერთ-ერთი ბენეფიციარის განმარტებით, არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნული პროცედურის გამო პატიმრები უარს აცხადებენ დაწესებულების გარეთ სამედიცინო მომსახურების მიღებასა და სასამართლო სხდომაში მონაწილეობაზე.“*[43]

„ბანგკოკის წესების“ თანახმად - *„ქმედითი ზომები უნდა იქნას მიღებული რათა ჩხრეკის დროს დაცული იყოს პატიმარი ქალების ღირსება და პატივი. ჩხრეკა უნდა ჩატარდეს მხოლოდ ქალი თანამშრომლის მიერ, რომელიც სათანადოდ იქნება მომზადებული ჩხრეკის შესაბამის მეთოდებში და დადგენილი პროცედურების მიხედვით განახორციელებს მას ... შემოწმების ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორიცაა სკანირება, უნდა ჩაანაცვლოს შიშველი ჩხრეკა და სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა, რადგან თავიდან იქნას აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა“*.[44]

შეხვედრისას ბენეფიციარებმა ასევე დაადასტურეს მსგავსი ტიპის პრაქტიკა და აღნიშნეს, რომ მათთვის ის არის დამამცირებელი. თუმცა, ერთ-ერთმა ქალმა აღნიშნა, რომ „სულ ახლახანს მიდგომა შეიცვალა, გამოჩნდა ალტერნატივა – გინეკოლოგიური სკამი, გეკითხებიან და თუ შეურაცხყოფილად გრძნობ თავს ,,ბუქნებზე“, შეგიძლია ხელი მოაწერო გინეკოლოგიურ შემოწმებას და მოჰყავთ გინეკოლოგი, თუ საჭიროა პროქტოლოგიც“. აღიშნული წარმოადგენს კლასიკურ ინვაზიურ შემოწმებას, რომლის პრაქტიკაც შესაძლოა არსებობდეს სისტემაში. თუმცა, ინვაზიური შემოწმების პროცედურას არ იცნობს დღევანდელი ეროვნული კანონმდებლობა და გაუგებარია ამ დროს რა პროცედურით ხელმძღვანელობენ. იმ შემთხვევაში, თუკი მსგავსი ტიპის შემოწმების პრაქტიკა გაგრძელდება და ისევ იარსებებს, აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების შესამაბამისი პროცედურები ჩამოყალიბდეს. გარდა

[43] პრევენციის ეროვნული მექანიზმი, ანგარიში სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, 2015, გვ.4

[44] ,,ბანგკოკის წესები“, წესი 19-20

ამისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ როგორც სრული, ასევე ინვაზიური შემოწმება არ უნდა წამოადგენდეს აუცილებელ პროცედურას და იგი უნდა ტარდებოდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როცა არის ამის აუცილებლობა შესაბამისი რისკების არსებობის გამო.

რეკომენდაციები

- **ჩამოყალიბდეს ქალი პატიმრების მიღებისას სრული შემოწმების სახელმძღვანელო პრინციპები, რომ აღნიშნული არ წარმოადენდეს აუცილებელ პროცედურას და ხორციელდებოდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში;**
- **შეწყდეს ე.წ „ჩაბუქვნების პრაქტიკა“ და არ წარმოადგენდეს გინეკოლოგიური შემოწმების ალტერნატივას;**
- **ჩამოყალიბდეს ე.წ. „ინვაზიური შემოწმების“ პროცედურები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან (სადაც უპირატესობა მიენიჭება სკანერით შემოწმებას).**

გ) მიღებისას სამედიცინო შემოწმება

პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების დროს სამედიცინო შემოწმების ჩატარება უაღრესად მნიშვნელოვანია ქალების ჯანდაცვასთან დაკავშირებული საჭიროებების შეფასებისა და სამედიცინო პროგრამების შემუშავების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, ხორციელდება თუ არა ქალის გენდერ–სპეციფიკური ჯანდაცვის საჭიროებების გათვალისწინება, როგორც ამას ,,ბანგკოკის წესები“ მოითხოვს. კერძოდ, *„პატიმარ ქალებს უნდა ჩაუტარდეთ სამედიცინო შემოწმება, რომელიც გულისხმობს სრულ სამედიცინო გამოკვლევას, პირველადი საჭიროებების გამოსავლენად და ასევე შემდეგი ფაქტორების განსასაზღვრად: (ა) სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ან ინფექციური დაავადებების არსებობა; რისკფაქტორების გათვალისწინებით, ქალ პატიმრებს ასევე შეიძლება შეეთავაზოთ აივ-ინფექციაზე შემოწმება, შემოწმების წინა და შემდგომი კონსულტირების ჩათვლით; (ბ) ფსიქიკური მკურნალობის საჭიროებები, მათ შორის პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა და თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების რისკი; (გ) ქალი პატიმრის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისტორია, მიმდინარე ან წინა (ბოლო) ორსულობა, მშობიარობა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები; (დ) ნარკოტიკებზე დამოკიდებულების არსებობა; (ე) დაწესებულებაში მიღებამდე გადატანილი სექსუალური ან სხვა ფორმის ძალადობა.”*[45]

ქალი პატიმრების პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების დროს სამედიცინო შემოწმების ჩატარება, გარდა კლასიკური სამედიცინო შემოწმებისა, არის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი, რომელიც არასათანადო მოპყრობისა და წამების შემთხვევების გამოვლენაზე, გამოძიებაზე, მათ დასჯაზეა მიმართული და

[45] ,,ბანგკოკის წესები“, წესი 6

რომელიც ორიენტირებულია ასეთი მოპყრობის მსხვერპლისათვის მხარდაჭერის და დახმარების გაწევაზე. ქალების პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების დროს ჩატარებული სამედიცინო შემოწმება უნდა მოიცავდეს იმის დადგენას, მოხდათუ არა ქალის მიმართ სექსუალური თუ სხვა სახის ძალადობა, როგორც ამას „ბანგკოკის წესები მოითხოვს". ეს დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს, თუ რა სახის რეაგირება უნდა მოახდინონ შესაბამისმა თანამდებობის პირებმა, ძალადობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში - "*თუ გამოვლინდება, რომ პატიმრობამდე ან პატიმრობის დროს, მოხდა სექსუალური ან სხვა სახის ძალადობა, ქალ პატიმარს უნდა ეცნობოს მისი უფლებების შესახებ, რათა მან დახმარებისათვის სასამართლო ორგანოებს მიმართოს. ქალი პატიმარი სრულად უნდა იქნას ინფორმირებული შესაბამისი პროცედურებისა და ეტაპების შესახებ. თუ პატიმარი ქალი თანახმაა სამართლებრივი ქმედების დასაწყებად, ეს უნდა ეცნობოს შესაბამის პერსონალს, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა გადაამისამართოს საქმე კომპეტენტურ საგამოძიებო ორგანოში. ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს ასეთ ქალებს მიიღონ იურიდიული დახმარება.*" [46]

პირველადი სამედიცინო შემოწმების და ზოგადად სამედიცინო მომსახურეობის სტანდარტს განსაზღვრავს პატიმრობის კოდექსი.[47] ზოგადი სახის დებულებები არის ასევე ასახული N2[48] და N5[49] პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში, თუმცა ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურეობის სპეციფიკური სტანდარტი განსაზღვრულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N31-ით.[50] კერძოდ, ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ - „*ყურადღება ექცევა შემდეგი სახის ინფორმაციის შეგროვებასა და შეფასებას: ა) შესაძლო ძალადობის ნიშნებსა და წარსულში გადატანილი ძალადობის ფაქტებს (მათ შორის, სექსუალური ძალადობის ფაქტების შესახებ). ბ) ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, განსაკუთრებით პოსტ-ტრავმული სტრესის სინდრომი, სუიციდური ქცევა და წამალდამოკიდებულება.*" გარდა ამისა, ვკითხულობთ, რომ - „*დაწესებულებაში მიღებისას, უნდა დადგინდეს მიმდინარე ორსულობის, მოსალოდნელი მშობიარობის ფაქტი, ან მეძუძური დედის სტატუსი; ქალი ბრალდებული/მსჯავრდებული პირველადი შემოწმებისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათში უნდა აისახოს მისი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისტორია (ორსულობა, მშობიარობა, აბორტები და არსებული ან გადატანილი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, ა.შ.); სპეციფიკური სკრინინგული გამოკვლევები, ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოზე კლინიკური პრაქტიკის ეროვნული*

---

[46] ,,ბანგკოკის წესები", წესი 7

[47] პატიმრობის კოდექსი, XX თავი

[48] სასჯელაღრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N119, V თავი

[49] სასჯელაღრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N116, V თავი

[50] პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

რეკომენდაციების (გაიდლაინების) მიხედვით".[51]

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ქალი პატიმრის დაწესებულებაში მიღების შემდეგ მას უტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკვლევები (სისხლის ნიმუშის გამოკვლევა ვირუსულ "C" და "B» ჰეპატიტებზე, ათაშანგზე, აივინფექციაზე, ტუბერკულოზზე ტარდება შემოსვლის სკრინინგი), როგორც ეს არის აღნიშნული ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტებში, თუმცა არაერთგვაროვანია პრაქტიკა პატიმრის მიღებისას *წარსულში გადატანილი ძალადობის ფაქტების (მათ შორის, სექსუალური ძალადობის ფაქტების შესახებ) იდენტიფიცირების თაობაზე*. კერძოდ, იყო თუ არა კონკრეტული ქალი პატიმარი დაკავებისას ან ზოგადად წარსულში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, ამ კითხვას, როგორც სამედიცინო დეპარატამენტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სამედიცინო პერსონალი არ სვამს და ეს ინფორმაცია შესაძლოა აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამის თაობაზე თვითონ პატიმარი განაცხადებს. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებაში არ იმყოფება შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი, ვისაც შეუძლია სექსუალური ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირება. ასევე არ არსებობს სექსუალური ძალადობის ნიშნების აღრიცხვის შესაბამისი ფორმები და რეგულაციები.

დაწესებულებაში ქალი პატიმრის მიღებისას, ადგილობრივი კანონმდებლობა არეგულირებს სამედიცინო და სხვა ტიპის შემოწმების ზოგად პროცედურებს. არსებობს გარეგნული დაზიანებების შემოწმების პრაქტიკა, სადაც უნდა დაფიქსირდეს ზოგადი ძალადობის ნიშნები, თუმცა მიუხედავად აღნიშნული რეგულაციებისა, როგორც აღვნიშნეთ, პრაქტიკაში არ ხდება შემოწმება სექსუალური ძალადობის ფაქტებზე. ასევე არ არის ცალკე განსაზღვრული, როგორ უნდა მოხდეს ასეთი ფაქტების დოკუმენტირება და რა სახის რეაგირება უნდა მოახდინონ შესაბამისმა თანამდებობის პირებმა ამ ფაქტზე.

„მითითებული ჩანაწერები ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა დამატებითი გამოკვლევის, გაკეთებული დასკვნების და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ. სხეულის დაზიანების დოკუმენტირებისთვის უნდა არსებობდეს ამისათვის განკუთვნილი სპეციალური ფორმები, რომლებიც საშუალებას იძლევა ანატომიური ილუსტრაციების მეშვეობით დაფიქსირდეს ინფორმაცია დაზიანების შესახებ. ამასთან, სასურველი იქნებოდა დაზიანებების დაფიქსირება ფოტოგადაღების მეთოდით".

წამების პრევენციის მიზნით, სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირების მეთოდით დაფიქსირების აუცილებლობაზე მიუთითებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო – „სტამბოლის ოქმი".

ექიმს, რომელიც ამოწმებს დაკავებულ პირს, უნდა შეეძლოს დაზიანების ძალადობის გზით მიყენების ალბათობის დადგენა,

[51] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N31, მუხლი 15

თუნდაც ამის შესახებ პაციენტი არ მიუთითებდეს. მას ასევე უნდა შეეძლოს ძალადობის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულების დოკუმენტირება და პირის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ მონათხრობისა და შემოწმების შედეგების შესაბამისობის ხარისხის დადგენა. ექიმს, ამ მიზნით, შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ჩანაწერები: *„არ შეესაბამება“, „შეესაბამება“, „შეესაბამება მაღალი ალბათობით“* და „დამახასიათებელია (ტიპურია)“[52]. დოკუმენტირების მიზნებისათვის ექიმი უნდა იყენებდეს შესაბამის სტანდარტულ სამედიცინო ცნობას.

სამწუხაროდ, დღევანდელი პრაქტიკის თანახმად, პატიმრის შემოსვლისას არ ხდება დაზიანებების აღწერა „სტამბოლის ოქმის“ შესაბამისად. თუმცა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით იგეგმება შესაბამისი ტრენინგების ჩატარება და სათანადო პროცედურების შემუშავება.

რეკომენდაციები

- **შემუშავდეს ქალი პატიმრის მიღებისას სექსუალური ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირებისათვის შესაბამისი პროცედურები და ინსტრუმენტები. ამ მიზნით მოხდეს შესაბამისი პერსონალის გადამზადება;**
- **მიღებისას პატიმართა დაზიანებების აღწერა განხორციელდეს ე.წ „სტამბოლის ოქმის“ შესაბამისად.**

დ) ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის უფლება არის ინკლუზიური უფლება და თავის თავში მოიცავს უსაფრთხო სასმელ წყალს, უვნებელ სურსათს, ადეკვატურ კვებას, ჰიგიენურ საცხოვრებელ პირობებს ჯანსაღ სამუშაო გარემოს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებას და ინფორმაციას. ჯანმრთელობის უფლება ასევე მოიცავს პირის უფლებას არ დაექვემდებაროს სამედიცინო მანიპულაციას მისი თანხმობის გარეშე და წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. ჯანმრთელობის უფლების შინაარსიდან გამომდინარე პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე; დაავადებათა პრევენციაზე, მკურნალობასა და კონტროლზე; მედიკამენტებზე; რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე; ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე (თანაბრად და დროულად); ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და განათლებაზე. ჯანდაცვის სისტემის სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისაღები და ხარისხიანი.

„N5 დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია სამედიცინო ნაწილი, სადაც არის საორდინატორო, ინტენსიური დაკვირვების ოთახი, საპროცედურო, სტომატოლოგის, გინეკოლოგის და ქირურგიული კაბინეტები. ასევე წამლების სამარაგო და

[52] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ.34

პალატები, სადაც განთავსებულია 60 სტაციონარული საწოლი. ამასთან, დაწესებულების A, C და D კორპუსებში არის პირველადი ჯანდაცვის ოთახები. დაწესებულებაში 18 სამედიცინო და დამხმარე პერსონალია, მათ შორის, 1 ფარმაცევტი და 1 ქირურგი. დღის განმავლობაში არის 1 მორიგე ექიმი და ექთანი. N5 დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, დაწესებულებაში იწვევენ შემდეგი კომპეტენციის მქონე კონსულტანტებს: ფსიქიატრს, ნევროლოგს, ორთოპედს, სტომატოლოგს, რენტგენოლოგს, ლაბორანტს, ენდოკრინოლოგს და გინეკოლოგს. აღსანიშნავია, რომ N5 დაწესებულებას 2 გინეკოლოგი კონსულტანტი ჰყავს, რომელთაგან 1 ქალია, ხოლო მეორე მამაკაცი. მსჯავრდებულები თავად ირჩევენ რომელ სპეციალისტთან სურთ შეხვედრა".[53]

სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია,[54] რომ - ვიწრო სპეციალიზაციის ექიმებთან კონსულტაციაზე ჩაწერილი პატიმრების მოლოდინის დრო საკმაოდ ხანგრძლივია, რაც ქმნის პრობლემებს სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდების კუთხით. გარდა ამისა, მსჯავრდებულები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ნევროლოგის იშვიათი ვიზიტის გამო. ანგარიშში ასევე ხაზგასმულია პრობლემები დაწესებულებაში მედიკამენტების ხელმისაწვდომობის მხრივ. *„დოკუმენტაციის შესწავლისა და მსჯავრდებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში პაციენტი ვერ იღებს ექიმის მიერ მკურნალობის კომპლექსური კურსის ფარგლებში დანიშნულ ძირითად მედიკამენტებს"*.

ანგარიშში ასევე საუბარია, რომ მამაკაცი პატიმრების მსგავსად, ქალი პატიმრები დარეგისტრირებული არიან სამედიცინო დეპარტამენტის ერთიან ელექტრონულ ბაზაში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ოპერაციულ მკურნალობის ჩასატარებლად პაციენტს რამდენიმე თვე უწევს ლოდინი, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას იწვევს და სასწრაფო წესით სტაციონარში გაყვანა ხდება საჭირო. *„უნდა აღინიშნოს, რომ თუ პატიმარს რიგმა მენსტრუალური ციკლის დროს მოუწია, იგი არ გაჰყავთ ოპერაციული მკურნალობის ჩასატარებლად და მას განმეორებით უწევს დარეგისტრირება. 2015 წლის იანვარ-თებერვლის თვეში ასეთი 10 შემთხვევა დაფიქსირდა."*[55]

,,ბანგკოკის წესების" მე-6 წესის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, პატიმარ ქალებს უნდა ჩაუტარდეთ სამედიცინო გამოკვლევა, პირველადი საჭიროებების გამოსავლენად და ასევე შემდეგი ფაქტორების განსასაზღვრად: ქალი პატიმრების რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისტორია, მიმდინარე ან წინა (ბოლო) ორსულობა, მშობიარობა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „N5 *დაწესებულებაში მოთავსების დროს ქალ პატიმარს უტარდება ორსულობის ტესტი. იმ შემთხვევაში თუ პატი-*

[53] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ.12-13

[54] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ.13

[55] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ.13

მარს არ სურს ბავშვის გაჩენა, იგი წერს განცხადებას, რის შემდეგაც მისი გაყვანა ხდება სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში და უტარდება ნაყოფის მოცილების ოპერაცია თავისი ხარჯით, ან სამედიცინო დეპარტამენტის დაფინანსებით“.[56] *ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ „2014 წლისნოემბერში N5 დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს ჩაუტარდათ ძუძუს დასაშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, გაუკეთდათ პაპილომა ვირუსთან დაკავშირებული გამოკვლევები (პაპ-ტესტი). ამასთან, საეჭვო ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დამატებით ჩაუტარდათ ექოსკოპიური გამოკვლევა და გაიარეს სპეციალისტის კონსულტაცია“. აღნიშნული პრაქტიკა ასევე დაადასტურა სამედიცინო დეპარტამენტის პერსონალმა ინტერვიუსას.*

რეკომენდაციები

- **სასჯელაღსრულების N5 დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას მოწვეულ ექიმ-კონსულტანტთა სათანადო სიხშირის ვიზიტები;**
- **უზრუნველყოფილ იქნას მსჯავრდებულების დანიშნული მედიკამენტებით მომარაგება;**
- **უზრუნველყოფილ იქნას პატიმარი ქალებისთვის ცალკე ელექტრონულიბაზისშექმნაგეგმიურისამედიცინომომსახურების მიღების დროული და ეფექტური განხორციელებისათვის;**
- **უზრუნველყოფილ იქნას ქალი პატიმრებისთვის პრევენციული ჯანდაცვის ღონისძიებების გატარება.**

ე) დამოკიდებულების მქონე პირთა მკურნალობა/რეაბილიტაცია

,,ბანგკოკის წესების“ N15 წესის თანახმად, ციხის სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს მკურნალობის სპეციალიზებულ პროგრამებს, რომელიც შედგენილია სპეციალურ-ად ნარკოდამოკიდებულების მქონე ქალებისთვის.

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და მოხმარებით გამოწვეული ზიანი, ისევე როგორც ნარკოდამოკიდებულება წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას და ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ყველა ფენაზე. ნარკოტიკების მოხმარება მნიშვნელოვან რისკს უქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ვინაიდან ნარკოტიკების მოხმარება ხშირად იწვევს ისეთი მძიმე დაავადებების გავრცელებას, როგორიც არის აივ-შიდსი, ვირუსული B და C ჰეპატიტები და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მძაფრად იჩენს თავს ისეთ დახურულ ინსტიტუციებში, როგორიცარისპენიტენციურისისტემა. პენიტენციურ სისტემაში საკმაოდ დიდია ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა რაოდენობა,[57] მათ აქვთ სხვადასხვა სახის საჭიროებები, თუმცა,

[56] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ.14

[57] კვლევა, პენიტენციურ დაწესებულებებში წამალდამოკიდებულ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო

უმეტეს შემთხვევაში, ისინი არ არიან ჩართულნი სპეციალურ ფსიქო-სოციალურ თუ სხვა მხარდამჭერ სარეაბილიტაციო პროგრამებში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწმოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ამჟამად N5 დაწესებულებაში წარსულში ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე 26 პატიმარი იხდის სასჯელს. აბსტინენციის მდგომარეობაში დაწესებულებაში პაციენტის შემოსახლების შემთხვევაში, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას აფასებს ნარკოლოგი და მისი რეკომენდაციის შემთხვევაში ხდება პაციენტის ჩართვა მეთადონის პროგრამაში. ამჟამად ზემოთაღნიშნულ პროგრამაში არც ერთი პატიმარი არ არის ჩართული. უნდა აღნიშნოს, რომ მეთადონის არსებული პროგრამა არ არის ჩანაცვლებითი პროგრამა და პენიტენციური სისტემის გარეთ არსებული მსგავსი პროგრამებისგან განსახვავებით, არის მხოლოდ განკუთვნილი ე.წ „აღკვეთის სინდრომის“ მოხსნისთვის და არა მხარდამჭერი თერაპიისთვის. გარდა ამისა, მეთადონის პროგრამა ამჟამად ფუქნციონირებს N8 (ასევე N18) და N2 პენიტენციურ დაწესებულებაში და იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის სჭიროება ექნება ქალ ბრალდებულს/მსჯავრდებულს, მისი გადაყვანა უნდა მოხდეს ან N18 დაწესებულებაში[58] აღკვეთის სინდრომის მოხსნის მიზნით სტაციონარულად ან მოხდეს მათი ტარება ყოველდღიურ რეჟიმში N5 დაწესებულებიდან (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი) N18 დაწესებულებაში (თბილისი).

მისასალმებელია, რომ N5 დაწესებულებაში შეიქმნა სპეციალური ინფრასტრუქტურა, ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა “ატლანტისის” ფუნქციონირებისათვის. გარდა ამისა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N161 ბრძანებით დამტკიცდა - თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისის“ განხორციელების ინსტრუქცია, სადაც არის გაწერილი აღნიშნული პროგრამის განხორციელების წესი.

ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე პირთა მხარდამჭერი პროგრამები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი მიმართულებით და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაცია უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა მიმართულებით (ჩანაცვლებითი თერაპია, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, პრევენციული ჯანდაცვა და ა.შ.), ინტერდისციპლინური და ინტერსექტორული ინტერვენციების განხორციელების გზით. ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე პირთა მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის პროცესში ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამები არის ერთ-ერთი აუცილებელი რგოლი, რომელიც უმნიშვნელოვანესია დადებითი შედეგის მიღწევის თვალსაზრისით. „ბანგკოკის წესების“ თანახმად - *„ციხის სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს მკურნალობის სპეციალიზებულ პროგრამებს, რომლებიც შედგენილია სპეციალურად ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე ქალებისთვის, და უნდა ითვალისწინებდეს შესაძლო*

მომსახურების სტანდარტები, ა/ო თანადგომა, 2015 წ.

[58] N8 და N18 დაწესებულება ერთ ტერიტორიაზე არის განთავსებული.

წინამძღვრებს - ვიქტიმიზაციას, ორსული ქალებისა და ბავშვიანი ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებს, ისევე როგორც მათ განსხვავებულ კულტურულ თავისებურებებს“.[59]

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გამოკვეთილი არის ხარვეზები და საჭიროებები, რაც აუცილებელია ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაციის განსახორციელებლად. როგორც აღვნიშნეთ, მოცემულ სფეროში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს სხვადასხვა სახის საჭიროებები.თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ქალ პატიმართა საჭიროებების უფრო დეტალურად დასადგენად ჩატარდეს დამატებითი კვლევები.

აქვე შეგვიძლია, ჩამოვაყალიბოთ ის ზოგადი სტანდარტები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე პირთა მკურნალობისა და რეაბილიტაციისათვის.

- **პრევენციული ჯანდაცვა ნარკოდამოკიდებულ პირებთან მიმართებაში**

  პატიმრის პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისთანავე მას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე პირთა სარებილიტაციო (ფსიქო-სოციალური, ჩანაცვლებითი და მხარდამჭერი) პროგრამების შესახებ, ასევე, ინფექციური გზით გადამდები დაავადებების გადადების რისკების და გზების შესახებ (ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალებების, მათი ზემოქმედების, რისკების, ინფექციური დაავადებების, მათი გადადების გზებისა და მკურნალობის შესახებ).

- **პროცესის სამართლებრივი რეგულირება**

  სარეაბილიტაციო პროცესი უნდა დარეგულირდეს სამართლებრივად. დეტალურად უნდა გაიწეროს ეს პროცესი და ყველა პროცედურა, სადაც უნდა იყოს განსაზღვრული ყველა პროფესიონალის ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები.

- **მეთადონის დეტოქსიკაციის პროგრამის დანერგვა**

  მიზანშეწონილია მეთადონის დეტოქსიკაციის პროგრამა ფუნქციონირებდესყველა დაწესებულებაში, სადაც ამის საჭიროება არსებობს.

- **დეტოქსიკაციის პროგრამა სხვა ჯგუფის ნარკო-მომხმარებელთა მიმართ**

  მეთადონის დეტოქსიკაციის პროგრამა მოიცავს ოპიოიდებზე დამოკიდებულების მქონე პირებისთვის ე.წ.„აღკვეთის სინდრომის“ მოხსნას. თუმცა ეს პროგრამა ვერ ხორციელდებაიმ პირების მიმართ, ვინც სხვა ჯგუფის ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს მოიხმარს. აუცილებელია სამედიცინო სამსახურთან

[59] ,,ბანგკოკის წესები“, წესი 14-15

კოორდინირებულად შემუშავდეს მკურნალობის პროგრამები, რომლითაც შესაძლებელი იქნება, არაოპიოიდებზე დამოკიდებულების მქონე პირთა როგორც დეტოქსიკაცია, ასევე მხარდამჭერი თერაპია.

- **მხარდამჭერი პროგრამების განვითარება**

  პენიტენციურ სისტემაში ამჟამად მხოლოდ მეთადონით დეტოქსიკაციის პროგრამა ფუნქციონირებს, თუმცა ანალიზმა/კვლევებმა გამოკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში, საჭიროა სხვა მხარდამჭერი პროგრამები(მაგ. მეთადონით ჩანაცვლების თერაპია) პაციენტების/პატიმრების მიმართ. ამ დეფიციტის გამო, ის პატიმრები, ვისაც მსგავსი მხარდაჭერა ესაჭიროებათ, ხშირ შემთხვევაში, ხდებიან ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე არასწორი ფორმით დამოკიდებული, რამაც შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას.

- **ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა დეტოქსიკაციის და მხარდამჭერი პროგრამების განხორციელების პროცესში**

  როგორც დეტოქსიკაციის პროცესს, ასევე მხარდამჭერ თერაპიას, ხშირ შემთხვევაში, ახლავს სერიოზული დისკომფორტი პაციენტებისთვის/პატიმრებისთვის (ტკივილი, შფოთვა, უძილობა და ა.შ.), ამის გამო ამ პროცესში მნიშვნელოვანია ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ თერაპიას, არტ-თერაპიას ან სხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებს. ამ პროცესში ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა მორგებული უნდა იყოს პირის რისკებზე და საჭიროებებზე.

- **ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა ხანგრძლივი რემისიის შემდეგ**

  ნარკოდამოკიდებულების განვითარების მექანიზმი მეტად რთულია. ის სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური (ბიო-ფსიქო-სოციალური) ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება. დამოკიდებულებას გააჩნია ორმაგი ბუნება ფიზიკური და ფსიქოლოგიური. აღკვეთის სინდრომის (ფიზიკური დამოკიდებულების) მკურნალობა და დაძლევა ბევრად უფრო იოლი პროცესია, ვიდრე ფსიქოლოგიური დამოკიდებულების. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, დაწესებულებებში დაინერგოს ფსიქო-სოციალური პროგრამები, როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული. შესაძლოა შემუშავებული იყოს სხვადასხვა ტიპის და ინტენსივობის პროგრამები, თუმცა როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ეს პროცესი მორგებული უნდა იყოს პირის რისკებზე და საჭიროებებზე, რომელიც უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური მიდგომის გზით და ამ სერვისის გარდა შესაძლოა მოიცავდეს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო და სპორტულ აქტივობებს. მსგავსი ტიპის კომპლექსური მიდგომა სარეაბილიტაციო პროცესს უფრო ეფექტიანს ხდის.

- **გათავისუფლებისათვის მომზადება (ე.წ „გარდამავალი მენეჯმენტი“). პოსტ-პენიტენციური ზრუნვა**

  პატიმართა რეაბილიტაციის პროცესი არ მთავრდება პენიტენციური დაწესებულების კარებთან. ძალიან ხშირად, შესაძლოა იყოს შემთხვევები, როცა პატიმარი ჩართული იყო დეტოქსიკაციის, მხარდამჭერ ან/და ფსიქო-სოციალური, თუ სხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებში და გათავისუფლებისას შესაძლოა ეს პროცესი შეწყდეს. ეს ქმნის საკმაოდ დიდ რისკს, რომ ამ პირმა განაახლოს ნარკოტიკების მოხმარება. ნარკოტიკების მოხმარების განახლება იგივე დოზებით, რა დოზებითაც ხდებოდა მისი მოხმარება დაკავებამდე არის ძირითადი მიზეზი ზედოზირებით გამოწვეული ინტოქსიკაციისა. ეს კი ხშირად ხდება სიკვდილის მიზეზი გათავისუფლების შემდეგ პირველი 2 კვირის განმავლობაში.

  ამის გათვალისწინებით, აუცილებელია პროცედურულად დარეგულირდეს პატიმრის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მჭიდრო კომუნიკაცია პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან, დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და სხვა სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ვისაც შესაძლოა ჰქონდეს შესაძლებლობა უკვე გათავისულებულ პატიმრებს შესათავაზონ სხვადასხვა სახის პროგრამები. გათავისუფლებისათვის მომზადებისას აუცილებელია ნიადაგის მომზადება, რომ პირი ისეთივე რისკის შემცველ გარემოში არ დაბრუნდეს, რამაც, შესაძლოა, განაპირობა მისი დამოკიდებულება. გათავისუფლებისათვის მომზადება მიბმული უნდა იყოს ინდივიდუალური მიდგომის პროცესზე და პოსტ-პენიტენციური ზრუნვა, შესაძლოა, მოიცავდეს არამარტო დამოკიდებულების მქონე პირთა სპეციალურ პროგრამებს, არამედ, ისეთი სახის მომსახურებებს, როგორიცაა ოჯახში დაბრუნებაში დახმარება; სოციალური ურთიერთობის სხვა ფორმების დამყარებაში დახმარება; საცხოვრებლის მოძიება; მათი სწავლა-განათლების გაგრძელება; სამუშაოს პოვნა; გაგზავნა შესაბამის სოციალურ და ჯანდაცვის ორგანოებში და ა.შ. (ამ საკითხზე, ზოგად კონტექსში, ქვემოთ გვექნება მსჯელობა).

რეკომენდაციები

- **ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით სისტემატურად მიეწოდოთ ინფორმაცია პატიმრებს;**
- **შემუშავდეს გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესი (ე.წ „გარდამავალი მენეჯმენტი“) ნარკოტიკებზე დამოკიდებულების მქონე პირთა მიმართ;**
- **მოხდეს ხელშეწყობა, რომ იმ დაწესებულებებში, სადაც ქალი პატიმრები არიან განთავსებული, ჩატარდეს კვლევები, რომ განისაზღვროს კონკრეტული საჭიროებები ზემოაღნიშნული**

სტანდარტების ფარგლებში.

ვ) თვითდაზიანების და სუიციდის პრევენცია

,,ბანგკოკის წესების" მე-16 წესის თანახმად, ციხის ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობისსამსახურებთან კონსულტაციის საფუძველზე სტრატეგიის შემუშავება და განხორციელებაქალთა ციხეებში ფსიქიკური ჯანდაცვის ყოვლისმომცველი პოლიტიკის ნაწილი უნდა იყოს,იმისთვის რომ ქალ პატიმრებს შორის მოხდეს თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების პრევენცია და უზრუნველყოფილი იქნას შესაფერისი, გენდერულად სპეციფიკური და სპეციალიზებული მხარდაჭერა მათთვის, ვინც იმყოფება რისკის ქვეშ.

პატიმართა მხრიდან განხორციელებული თვითდაზიანებები და სუიციდი ბევრი ქვეყნის პენიტენციური სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. პატიმრები, განსაკუთრებით მოწყვლადები არიან პენიტენციურ დაწესებულებაში თავდაპირველად შესვლის პერიოდში. საერთაშორისო სტანდარტები აღიარებს, რომ სიცოცხლის დაცვის უფლება ამ ეტაპზე საჭიროებს დამცავი ღონისძიებების სპეციფიკურიბაზისარსებობას. რიგი საერთაშორისო ინსტრუმენტებისა აღწერს პატიმრობაში მყოფი პირის უფლებებს და ციხის თანამშრომელთა ვალდებულებას პატიმრის მიღების შემდეგ უზრუნველყონ თვითდაზიანებებისა და სუიციდისაგან დაცვა სპეციალური პროგრამებისა და მიდგომების მეშვეობით.[60]

ზოგადად, პატიმრობის პირობები სერიოზულ გავლენას ახდენს პატიმრის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ციხის ადმინისტრაცია უნდა ეცადოს შეამციროს ამგვარი გავლენის ფარგლები და შექმნას პროცედურები იმისათვის, რომ მონიტორინგი გაუწიოს ამ ზემოქმედების ეფექტებს ინდივიდუალურ პატიმარზე. საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები იმ პატიმართა იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც მიდრეკილი არიან თვითმკვლელობისა და თვითდაზიანებისკენ. თანამშრომლები, ვისაც კი შეიძლება უშუალო შეხება ჰქონდეს პატიმართან, უნდა იყვნენ გადამზადებული, რომ მოახდინონ პოტენციური თვითდაზიანების ინდიკატორების იდენტიფიცირება. თუ მოხდება პატიმრებისთვის ფსიქიკური ავადმყოფობის დიაგნოსტირება, ისინი არ უნდა დარჩნენ პენიტენციურ დაწესებულებაში და უნდა მოხდეს მათი გადაყვანა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.[61] „ბანგკოკის წესები" განსაზღვრავს სპეციფიკურ სტანდარტებს ქალ პატიმრებთან მიმართებაში - *„ციხის ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის სამსახურებთან კონსულტაციის საფუძველზე სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, იმისათვის რომ ქალ პატიმრებს შორის მოხდეს თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების პრევენცია და უზრუნველყოფილ იქნას შესაფერისი, გენდერულად სპეციფიკური და სპეციალიზებული მხარდაჭერა მათთვის, ვინც იმყოფება რისკის ქვეშ, უნდა იყოს ქალთა ციხეებში ფსიქიკური*

---

[60] A Human Rights Approach to Prison Management, Handbook for Prison Staff, second edition, p. 37, Andrew Coyle, 2009

[61] A Human Rights Approach to Prison Management, Handbook for Prison Staff, second edition, p. 52, Andrew Coyle, 2009

ჯანდაცვის ყოვლისმომცველი პოლიტიკის ნაწილი".[62] *იქვე - „ციხის თანამშრომლები უნდა იქნან მომზადებული იმისათვის, რომ მათ შეძლონ ქალ პატიმრებს შორის ფსიქიკური მკურნალობის საჭიროებებისა და თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის რისკის არსებობის დადგენა, დახმარების უზრუნველყოფის შეთავაზება და მსგავსი შემთხვევის სპეციალისტებთან გადამისამართება".*[63] პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდისკენ მიდრეკილი პატიმრების გამოვლენის, მათთვის შესაბამისი დახმარების გაწევისა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირების მიზნით, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მოქმედებს „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა".[64] აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ აქტივობებს:

- პატიმართა, სამედიცინო პერსონალის, ფსიქოლოგების, პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლებისა და სოციალური მუშაკების ინფორმირებას, აგრეთვე, მოსამსახურეთა გადამზადებას სუიციდის პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით;
- ინფორმაციის შეგროვებას განსაკუთრებით სარისკო გარემოებათა და სარისკო ქცევების შესახებ, სუიციდის რისკის მქონე პატიმართა გამოვლენას;
- მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობას, გუნდის მიერ პატიმრის სუიციდის რისკის შეფასებას, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავებას და განხორციელებას;
- პროგრამის განმახორციელებელ მოსამსახურეთა პროფესიული და პიროვნული სტრესის პრევენციასა და შემცირებას.

სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „N5 დაწესებულებაში მოქმედებს სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელშიც მონიტორინგის დროს ჩართული იყო 6 პატიმარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის დასაწყისიდან 2015 წლის თებერვლამდე დაწესებულებაში დაფიქსირდა სუიციდის მცდელობის 3 შემთხვევა."[65]

დადებითად უნდა აღინიშნოს სუიციდის პრევენციის პროგრამის დანერგვა პენიტენციურ სისტემაში და ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ 2013-2015 წლების განმავლობაში, არც-ერთი სუიციდის წარმატებული შემთხვევა არ ყოფილა დაფიქსირებული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების მხრიდან.

ზ) პრევენციული ჯანდაცვა

პრევენციული ჯანდაცვა არის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-

---

62 ,,ბანგკოკის წესები", წესი 16

63 ,,ბანგკოკის წესები", წესი 35

64 „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანება.

65 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ.15

ერთი მთავარი კომპონენტი, განსაკუთრებით პენიტენციურ სისტემაში, სადაც არის ინფექციური თუ სხვა ტიპის დააავადებების გავრცელების და ჩამოყალიბების მაღალი რისკი. პრევენციულ ჯანდაცვასთან დაკავშირებით „ბანგკოკის წესები“ მიუთითებს, რომ *„ქალმა პატიმრებმა უნდა მიიღონ განათლება და ინფორმაცია ჯანმრთელობის პრევენციული ღონისძიებების შესახებ, მათ შორის აივ ინფექციის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და სხვა, ინფექციური დაავადებების, მათ შორის გენდერულად სპეციფიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის პრევენციის შესახებ“.*[66] ასევე, აღნიშნულია, რომ *„ქალებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პრევენციული ჯანდაცვის ღონისძიებები, როგორიცაა პაპანიკოლაუს ანალიზი და სარძევე ჯირკვლებისა და გინეკოლოგიური კიბოს დიაგნოსტიკა, თანაბრად უნდა იქნას შეთავაზებული ქალი პატიმრებისთვის, ისევე, როგორც ეს საზოგადოებაში იმავე ასაკის ქალებისთვისაა.“*[67]

გარდა ამისა, „ბანგკოკის წესებში“ ცალკე არის განსაზღვრული ის სტანდარტები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს პენიტენციური დაწესებულებები - *„იმისათვის, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შემუშავდეს აივ/შიდსის პრობლემებზე რეაგირება, პროგრამები და მომსახურებები უნდა იყოს ქალის განსაკუთრებული საჭიროებების შესაბამისი, მათ შორის დედისგან ბავშვზე დაავადების გადადების პრევენციის საკითხის გათვალისწინებით. ამ კონტექსტში, ციხის ადმინისტრაციამ უნდა წაახალისოს და ხელი შეუწყოს აივ ინფექციის პრევენციის, მკურნალობისა და მზრუნველობის თვალსაზრისით ინიციატივებს, როგორიცაა მაგალითად, ურთიერთგანათლების ჯგუფების ჩამოყალიბება.“*[68]

ადგილობრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მიმართ პრევენციული სახის ღონისძიებებს, კერძოდ, პირველად სამედიცინო შემოწმებას, 6 თვეში ერთხელ სამედიცინო შემოწმებას,[69] *სპეციფიკურ სკრინინგულ გამოკვლევებს ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოზე,*[70] *ასევე სხვადასხვა სახის პრევენციული მომსახურეობის პაკეტებს.*[71]

დღეს არსებული პრაქტიკის თანახმად, პრევენციული ჯანდაცვის კუთხით, პატიმრებისთვის პირველ რიგშიხდება C და B ჰეპატიტზე სისხლის ნიმუშის აღება, ასევე შიდსის პრევენციული სკრინინგი, გარდა ამისა ტუბერკულოზის სკრინინგი უტარდებათ, რომელიც მოიცავს მთელ დაწესებულებას გარკვეული პერიოდულობით, ანუ არ არის ერთჯერადი სკრინინგი. ამ სკრინინგის შედეგად თუ გამოიკვეთა გარკვეული რისკები, ხდება ნახველის სკრინინგული გამოკვლევა.

ტუბერკულოზის სკრინინგი ხდება პერიოდულად, მუდმივად. ხოლო C და B ჰეპატიტებზე ტარდება ე.წ. ,,ფანჯარა პერიოდის“ გარკვეული

66 ,,ბანგკოკის წესები“, წესი 17

67 ,,ბანგკოკისწესები“, წესი 18

68 ,,ბანგკოკისწესები“, წესი 14

69 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრანება N31, მუხლი 7

70 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება, N31, მუხლი 15 (4)

71 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება, N31, დანართი N2

პერიოდის ინტერვალით. გარკვეული პერიოდულობით ტარდება ძუძუს კიბოს და საშვილოსნოს კიბოს წინააღმდეგ პრევენციული გამოკვლევა. მაგალითად პაპ–ტესტი, უტარდებათ 6 თვეში ერთხელ, ხოლო მასიური სკრინინგი - გინეკოლოგის კონსულტაციის საფუძველზე. პერიოდულად ურიგდებათ სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ბუკლეტები, ა/ო „თანადგომას“ მიერ.

თ) საყოფაცხოვრებო პირობები

საყოფაცხოვრებო პირობების შეფასებისას, ძირითადი აქცენტი გაკეთდა სახალხო დამცველის ანგარიშზე*(სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ2015 წლის 19-20 თებერვალი)* და ბენეფიციარების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე, ვინაიდან მკვლევართა გუნდს არ მიეცა შესაძლებლობა განეხორციელებინა ვიზიტი N5 დაწესებულებაში, კვლევის მიმდინარეობის პერიოდში.[72]

სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სანიტარულ–ჰიგიენურითვალსაზრისით არც თუ მთლად სახარბიელო მდგომარეობაა. ამასთან, სასმელად უვარგისი წყალი მოდის. აღნიშნული ასევე დაადასტურეს ბენეფიციარებმა - *„სასმელი წყალი იყო, მაგრამ რუსთავის წყალი არის ძალიან ცუდი, საშინელი, ან უნდა გადაგედულებინა ან გეყიდა“*.

ბენეფიციარების ინფორმაციით ყველა კორპუსის სააბაზანოში თითო–თითო ტრაპია, რაც არ არის საკმარისი წყლის გამტარობისთვის და სააბაზანოებში ფაქტობრივად ჭუჭყიანი წყლის გუბე დგას. საშხაპეებს ბეტონის იატაკი აქვს. ბენეფიციარებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათი დაწესებულებაში ყოფნის დროს საშხაპეები ერთმანეთისგან რკინის ჟანგიანი კედლებით არის გამოყოფილი. საშხაპეები ერთმანეთის პირისპირ იმგვარად არის განლაგებული, რომ დარღვეულია პრივატულობა. ამასთან დაკავშირებით ბენეფიცარებმა აღნიშნეს - *„იმდენად ახლოს იყო ერთმანეთთან საშხაპეები რომ შხეფები ისხმებოდა, ფაქტიურად სხვისი დაბანილი გესხმებოდა შენ“*.

ამჟამად ეს მდგომარეობა შეცვლილია. სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე დაწესებულების ადმინისტრაციამ გაარემონტა დაწესებულების საშხაპეები და პრივატულობის დაცვის მიზნით საშხაპეების წინ ჩამოაფარა საშხაპე ფარდები. ვიზიტის ფარგლებში პროექტის ჯგუფმა მოინახულა დაწესებულების C და D კორპუსის გარემონტებული საშხაპეები.

სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ *„მსჯავრდებულთა ნაწილი უარს ამბობს სარეცხ მანქანაში ტანსაცმლისა თუ თეთრეულის გარეცხვაზე, რადგან არაჰიგიენურად მიიჩნევს ... მთელი კორპუსის პატიმრები ერთ მანქანაში რეცხავდნენ თეთრეულს თუ ტანსაცმელს“.*

[72] რედაქტორის შენიშვნა: დაწესებულებაში ვიზიტები პროექტის თანამშრომლებმა კვლევის დასრულების შემდეგ განახორციელეს. ვიზიტების დროს გამოკვეთილი დამატებითი საკითხები და დაზუსტებული ინფორმაცია ასახულია კვლევის ანგარიშში

ბენეფიციარებმაასევეხაზიგაუსვესსაკნებშიარსებულმდგომარეობას - *„დაზიანებებს ვიღებდით დაწესებულებაში, რადგან არის საშინელი რკინის საწოლები დამაგიდები, ასევე კედლები სადაც ადვილად შეიძლება დაზიანების მიღება“.„არის ძალიან ცუდი რკინის საწოლი. კუთხოვანისგან არის შეკრული და საკმაოდ ბასრია, გინდ დანა შეიტანე გინდ ეგ საწოლი. ამიტომ ყველა ცდილობდა რომ ნაჭრებით დაეფარა საწოლის კიდეები“*.

ი) პირადი ჰიგიენა

,,ბანგკოკის წესების“ თანახმად, ქალები, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ჰიგიენური საშუალებებით და მათ შორის ჰიგიენური საფენებით, რომელიც მათ ძირითად საჭიროებას წარმოადგენს და არა ფუფუნების საგანს.

პრევენციული ჯანდაცვის კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პატიმრის პირადი ჰიგიენის დაცვა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე 2013-2015 წლებშია მმიზნით გახარჯულია 29 348 ლარი.

ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, პატიმრებს თვეში ერთხელ მიეწოდებათ ჰიგიენური საშუალებები, ძირითადად - საპონი, კბილის პასტა, ტუალეტის ქაღალდი, ერთჯერადი საპარსი, სარეცხის ფხვნილი, თეთრეული. ამასვე ადასტურებს სამედიცინო დეპარტამენტის პერსონალი. გარდა ამისა, პატიმრებს შესაძლობლობა აქვთ შეიძინონ დაწესებულებაში არსებულ მაღაზიაში დამატებითი პროდუქცია. თუმცა, სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია - *„რომ დაწესებულება არ უზრუნველყოფს შემოსულ და უკვე დაწესებულებაშიმყოფ ქალებს ჰიგიენური პაკეტებით და მათ, ვისაც ყიდვის საშუალება არა აქვთ, უწევთ სხვა,ხშირად არაჰიგიენური მასალის (ნაჭრების) გამოყენება. აფთიაქს აქვს პამპერსები დიდებისთვის: ხანდაზმული და მწოლიარე პაციენტებისთვის. ზოგჯერ ახლად შემოსული პატიმარისთვის დიდ პამპერს ნაჭრებად ჭრიან და ჰიგიენური საფენის ნაცვლად აძლევენ. რაც შეეხება ამანათის სახით სანიტარული საფენების მიღებას, პატიმართა განცხადებით, რაოდენობის მიწოდება შეზღუდულია და მათ მხოლოდ 10 ცალის შეტანა შეუძლიათ. აღინიშნა, რომ ამგვარი ლიმიტი განსაკუთრებით იმ პატიმრებს უქმნის პრობლემებს, ვისაც ოჯახის წევრები ხშირად ვერ აკითხავენ“*. ამჟამად ჰიგიენური პაკეტების მიწოდების მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესებულია. დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს ყოველთვიურად მიეწოდებათ ჰიგიენური პაკეტის ერთი შეკვრა. თუმცა, რამდენიმე მსჯავრდებულის განცხადებით პაკეტის ხარისხი არ არის მათთვის დამაკმაყოფილებელი და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მათ კვლავაც უწევთ ჰიგიენური პაკეტის შეძენა.

სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ *„თითქმის ყველა საკანში არის წყლის გაცხელების საშუალება, თუმცა ეს ვერ აკმაყოფილებს ცხელ წყალზე მოთხოვნილებას. უწევთ ჭურჭლის, ზოგჯერ პირადი ნივთების რეცხვა, საღამოს ინტიმური ჰიგიენის პროცედურების შესრულება. რეკომენდებულია ქალებს*

საკნებშიც ჰქონდეთ ცხელი წყალი, რადგან ცივ წყალთან მუდმივი კონტაქტი უარყოფითად აისახება ქალის ჯანმრთელობაზე; შეიძლება გამოიწვიოს ხელის კანის გაღიზიანება, სისხლძარღვების შევიწროება და შესაბამისად სისხლის მიმოქცევის გაუარესება. ასევე შეიძლება მტევნების წვრილი ძვლების ანთების (რევმატოიდული ართრიტი) და შესაბამისად დეფორმაციის მიზეზიც კი გახდეს".

რეკომენდაციები:

- **სააბაზანოები მოეწყოს დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;**
- **უზრუნველყოფილ იქნას საკნებში ცხელი წყალი.**

კ) საგანმანათლებლო - სარეაბილიტაციო პროგრამები

პატიმართა რეაბილიტაცია უნდა იყოს პენიტენციური სისტემის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტიანად განხორციელება ამცირებს პატიმრების მხრიდან არასათანდო ქცევის რისკს, ხელს უწყობს მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობას და ზოგადად ამცირებს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკს. პატიმრებთან ურთიერთობა მიზნად უნდა ისახავდეს მათი საზოგადოებასთან ინტეგრირების მცდელობას სოციალური რეაბილიტაციის გზით. ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარება მოითხოვს პატიმრებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და კლასიფიცირების მოქნილი სისტემის არსებობას.

პატიმრებს, მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებზე.[73] „ბანგკოკის წესები" განსაზღვავს, რომ - *„ქალ პატიმრებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი დაბალანსებულ და მრავლისმომცველ აქტივობების პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს გენდერისთვის შესაფერის საჭიროებებს."*[74] *გარდა ამისა, იქვე აღნიშნულია სპეციალური საჭიროებები, რაც ქალი პატიმრების რეაბილიტაციის პროცესში არის მნიშვნელოვანი - „ინდივიდუალიზებული, გენდერულად მგრძნობიარე, კონკრეტული ტრავმის გათვალისწინებით სრული ფსიქიკური ჯანმრთელობის სამზრუნველო და სარეაბილიტაციო პროგრამები უნდა იქნას უზრუნველყოფილი ციხესა და არასაპატიმრო გარემოში მყოფი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების მქონე ქალი პატიმრებისთვის".*[75]

საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების სწორად დაგეგმვის მიზნით აუცილებელია განისაზღვროს კონკრეტული პირის ინდივიდუალური საჭიროებები სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებით, ხოლო ამ საჭიროებების საფუძველზე უნდა მოხდეს პირისთვის კონკრეტული საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო

---

[73] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)2 ,,ციხის ევროპული წესების" შესახებ, მუხლი 28.1-28.7 / 106.1 -106.7 / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (მანდელას წესები) მუხლი 40, 77

[74] ,,ბანგკოკის წესები", წესი 42

[75] ,,ბანგკოკის წესები", წესი 12

პროგრამების შეთავაზება. ინდივიდუალური მიდგომის გზით უნდა ხორციელდებოდეს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზება.

N2 და N5 პენიტენციური დაწესებულებების დებულებები განსაზღვრავს ინდივიდუალური მიდგომის პრინციპებს[76] და ეს არის მათი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციონალური უფლება-მოვალეობა. თუმცა, გარდა იმისა, რომ სარებილიტაციო პროგრამები არ არის საკმარისი არსებული საჭიროებების გათვალისწინებით (განსაკუთრებით, N2 დაწესებულებაში), იქ სადაც ხდება ქალი პატიმრების ჩართვა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში, უმეტეს შემთხვევაში, არ არის მორგებული პირის საჭიროებებზე, რისკებისა და საჭიროებების შეფასების სისტემისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის გამართული პროცესის არარსებობის გამო.

დაწესებულების ადმინისტრაციის ინფორმაციით, ამჟამად უკვე დაწყებულია და აქტიურად მიმდინარეობს მსჯავრდებულების რისკებისა და საჭიროებების შეფასება, რადგან მათი საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა სასჯელის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მოხდეს.

წელი	**ეწეოდა შრომით საქმიანობას**
2013	**17**
2014	**31**
2015	**39**

წელი	**ეწეოდა შრომით საქმიანობას**
2013	**17**
2014	**31**
2015	**39**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2016 წ. N5 დაწესებულების პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი იყო შემდეგი სარეაბილიტაციო პროგრამები:

● კოლეჯი “იკაროსის» მიერ მიმდინარეობდა გიდის (ტურიზმის), სასტუმროს პერსონალის მომზადების, მცირე ბიზნესის წარმოების, ინგლისური ენის, ქართული ენისა და კომპიუტერული პროგრამა ACCESS-ის შემსწავლელი კურსები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაფინანსებით;

● კოლეჯი “მერმისის» მიერ განხორციელდა კომპიუტერული გრაფიკის შემსწავლელი კურსი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაფინანსებით;

[76] სასჯელაღრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N116, მ.1, სასჯელაღრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N119, მ.8 (ა)

● ერთ-დღიანი ტრენინგები “ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებები საჩივრების, დისციპლინარულ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან მიმართებაში» - განმახორციელებელი დაწესებულების სოციალური განყოფილება, სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს ინიციატივით;

●გათავისუფლებისათვის მომზადების ტრენინგი – განმახორციელებელი დაწესებულების სოციალური განყოფილება, სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს ინიციატივით.

●კოგნიტური და სოციალური უნარების ტრენინგი – განმახორციელებელი დაწესებულების სოციალური განყოფილება, სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს ინიციატივით.

● ასოციაცია “ქალი და ბიზნესი» ახორციელებდა ჭრა-კერვის, თექის, სტილისტის, მცირე ბიზნესის კურსებს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ძალადობის მსხვერპლი პატიმრების მიმართ 2015 წელს - არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის» მიერ განხორციელდა შემდეგი პროექტები: ,,პატიმართა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია მუსიკალური თერაპიის გზით» და „ძალადობის მსხვერპლ პატიმარ ქალთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ხელოვნებითი (ხატვა/მერწვა) თერაპიის გზით“. თუმცა ამჟამად არანაირი პროგრამა არ ხორციელდება ამ მიმართულებით.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრისას, რომლებიც გარკვეულ პროგრამებს ახორციელებენ აღინიშნა, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული პროგრამების ნაწილი არ ფუნქციონირებს, თუმცა აღინიშნა რომ ფუნქციონირებს სხვა დამატებითი პროგრამები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია სამინისტროს ოფიციალური კორესპონდენციის მეშვეობით არ მოუწოდებია.

აქედან გამომდინარე, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რთულია იმის განსაზღვრა, ამჟამად კონკრეტულად რამდენი პატიმარია ჩართული შესაბამის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში, თუმცა 2014 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე[77] N5 დაწესებულებაში, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო პატიმართა მხოლოდ **4.5%**.

ბენეფიციარებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ მათ მიმართ ინდივიდუალური მიდგომა არ ხორციელდება და პროგრამებში უბრალოდ ეწერებიან - *„ინდივიდუალური შესწავლა ვის რა სჭირდება არ ხდება, მაგრამ გეკითხებიან ჩამოთვლილი პროგრამიდან რომელი გინდა გაიარო ... უბრალოდ პროგრამებში ვეწერებით“. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე - მხოლოდ N5 დაწესებულებაში 2015 წლის ივლისის თვიდან დაწესებულებაში*

[77] კვლევა ჩატარდა„ციხის საერთაშორისო რეფორმის“ პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, 2014 წლის მაისი.

მიმდინარეობს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა, რომელსაც ახორციელებს მულტიდისციპლინური ჯგუფი სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ექიმისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომლის შემადგენლობით.

ადგილობრივი კანონმდებლობა[78]განსაზღვრავს ინდივიდუალური დაგეგმვის პროცედურებს N5 დაწესებულებასთან მიმართებით, თუმცა აღნიშნულ დებულებაში არ არის განსაზღვრული კონკრეტული ინსტრუმენტები (შეფასების ფორმები/კითხვარები), რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს რისკებისა და საჭიროებების შეფასება და ამის საფუძველზე ინდივიდუალური დაგეგმვა.

რეკომენდაციები

- **ქალ პატიმრებთან მიმართებაში დაინერგოს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამა (საბიუჯეტო, დონორი ორგანიზაციების მიერ), რომელიც მორგებული იქნება არსებულ საჭიროებებს;**
- **ინდივიდულური მიდგომის ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით ჩამოყალიბდეს შესაბამისი ინსტრუმენტები.**

ლ) ფეხმძიმე ქალები, მეძუძური დედები და მცირეწლოვანი ბავშვის დედები

„ბანგკოკის წესები“ განსაზღვრავს არამარტო კანონთან კონფლიქტში მყოფი ქალების მიღების სტანდარტებს, არამედ ისეთ შემთხვევებს, როცა შესაძლებელია პენიტენციურ დაწესებულებაში საჭირო გახდეს მცირეწლოვანი ბავშვის მიღება დედასთან ერთად თანაცხოვრების გამო. კერძოდ ამ წესებში ვკითხულობთ, რომ - *„ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს ქალებისა და ბავშვების მიღებ-ის პროცედურებს, მოცემულ სიტუაციაში მათი განსაკუთრებული მოწყვლადობის გამო.“*[79]

ქართულ პენიტენციურ სისტემაში ბრალდებული/მსჯავრდებული ქალები განთავსებული არიან N5 (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) და N2 (ქუთაისი) პენიტენციურ დაწესებულებებში. აღნიშნული დაწესებულების დებულებები განსაზღვრავს ბრალდებულების/ მსჯავრდებულების მიღების ზოგად პროცედურებს, თუმცა აღნიშნულ რეგულაციებში არ არის გაწერილიბავშვის მიღების პროცედურები და წესი, იმ შემთხვევაში, თუკი ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალს ჰყავს მცირეწლოვანი შვილი და არის საჭიროება, რომ იგი იყოს დედასთან ერთად.

დღესდღეობით მცირეწლოვანი ბავშვის გარედან მიღების პრაქტიკა არ არსებობს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს შესაბამისი რეგულაციების არარსებობით. შესაძლოა დადგეს საჭიროება, რომ დედის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრის შემთხვევაში, ბავშვის ინტრესებიდან გამომდინარე, საჭირო იყოს მისი

[78] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N33 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

[79] ,,ბანგკოკის წესები“, წესი 2

დედასთან თანაცხოვრება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია კანონმდებლობა ითვალისწინებდეს პროცედურებს, რომლებიც შესაბამისობაში იქნება „ბანგკოკის წესებთან“. ერთ-ერთმა *ბენეფიციარმა აღნიშნა - „ერთი მეძუძური დედა იყო, რომელსაც არ შემოუყვანეს ბავშვი დაწესებულებაში“.*

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ორსული, მშობიარე და ბავშვებთან ერთადგანთავსებული ქალებისთვის განსაკუთრებული ღონისძიებებია გათვალისწინებული- *„ქალთა საპატიმრო დაწესებულებებში უნდა იყოს ცალკე სადგომები ორსული ქალებისმოსავლელად“*[80].

,,ბანკოკის წესების“ თანახმად: *„იმის თაობაზე გადაწყვეტილება, თუ როდის შეიძლება ბავშვისა და დედის დაშორება, უნდა იქნეს მიღებული ინდივიდუალურ შეფასებაზე დაყრდნობით და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ... ბავშვის ციხიდან გაყვანა უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილითა და მგრძნობელობით, მხოლოდ მზრუნველობის ალტერნატივის იდენტიფიცირების შემდეგ, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრის შემთხვევაში, კონსულტაცია გავლილი უნდა იქნას შესაბამისი საკონსულოს თანამდებობის პირებთან ... ბავშვისა და დედის დაშორების და მისი ოჯახთან ან ნათესავთან დაბინავების ან სხვა ალტერნატიული მზრუნველობის უზრუნველყოფის შემდეგ, პატიმარ ქალებს უნდა მიეცეთ მაქსიმალურად ბევრი საშუალება და შესაძლებლობა შეხვდნენ საკუთარ ბავშვებს, მაშინ როცა ეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებში იქნება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დათმობის გარეშე.“*[81]

ბავშვის განცალკევებისას არ უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ ფორმალური წესები, რომლებიც შესაბამისი ასაკის მიღწევის შემდეგ ავტომატურად იმოქმედებს. ამ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და განვითარების დონე. ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ქალ პატიმრებს უნდა მიეცეთ მეურვის მოძიების შესაძლებლობა.

საინტერესოა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში N5 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ - *„სასჯელაღსრულების სისტემაში ბავშვისა და დედის განშორების საკითხი საკმაოდ მწვავედდგას. თავისთავად შეუძლებელია ამ სტრესის მთლიანად აღმოფხვრა, თუმცა მისი მინიმუმამდე დაყვანა აუცილებელია. ამჟამად, ეს პროცესი საკმაოდ სტრესულია, როგორც დედისთვის ასევე ბავშვისთვის. ერთ–ერთი დედა, რომლის შვილი წელს 3 წლის ხდება და, დაშესაბამისად, უნდა დატოვოს დაწესებულება, ძალიან განიცდიდა ამ ფაქტს. ქალს დაწესებულების ფსიქოლოგთან რამდენჯერმე ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით გასაუბრება, რათა პროცესი მისთვის გაადვილებულიყო. C კორპუსში მოხდა გასაუბრება დედასთან, რომელმაც რამდენიმე თვის წინ ბავშვი 3 წლისასაკის <u>მიღწევამდე</u> გაუშვა ოჯახში, რადგან ასეთი გადაწყვეტილება*

80 ,,ნელსონ მანდელას წესები“, წესი 28

81 ,,ბანგკოკის წესები“, წესი 52

ბავშვის თვის საუკეთესოდ ჩათვალა. მსჯავრდებულის თქმით, მას ფსიქოლოგიურად დაეხმარნენ დაწესებულების თანამშრომლები. ნათესავებს პაემანზე ბავშვი ხშირად მოჰყავთ, რაც მდგომარეობას უმსუბუქებს“.[82]

ბრალდებულები/მსჯავრდებულები, ვისაც მცირეწლოვანი ბავშვები ყავდათ პენიტენციურ სისტემაში

წელი	ბრალდებული	მსჯავრდებული	სულ
2013 წელი	0	7	7
2014 წელი	2	4	6
2015 წელი	1	7	8

ამჟამად, მხოლოდ ორ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ყავს მცირეწლოვანი ბავშვი პენიტენციურ დაწესებულებაში და არის ერთი ორსული ქალი.

ადგილობრივი კანომდებლობით არ არის განსაზღვრული ბავშვის დედასთან დაშორების პროცესის მარეგულირებელი პროცედურები, რომელიც უნდა მოიცავდეს, როგორც დედის, ასევე მცირეწლოვანი ბავშვის მომზადებას ამ პროცესისთვის. გარდა ამისა, არ არის შესაბამისი პროცედურები იმის შესაფასებლად, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი დედის და ბავშვის ერთად თანაცხოვრება და შეიცავს თუ არა რაიმე სახის რისკებს. ასეთ ტიპის გადაწყვეტილებებს უნდა იღებდეს მულტიდისციპლინური გუნდი (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, პედიატრი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო და ა.შ), როგორც იმ საკითხის გადასაწყვეტად რამდენად სწორია დედასთან ბავშვის ერთად განთავსება, ასევე რა დროს უნდა მოხდეს დედის და ბავშვის დაშორება, როგორ უნდა მოხდეს ამ პროცესისთვის მომზადება და აშ.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პენიტენციურ სისტემაში მცირეწლოვანი ბავშვი შესაძლოა სამ წლამდე[83] იყოს დატოვებული. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაც არაერთგვაროვანია იმ კუთხით, თუ რა ასაკამდეა შესაძლო მცირეწლოვანი ბავშვის ყოლა პენიტენციურ დაწესებულებაში. ეს პრაქტიკა აჩვენებს, რომ უმეტეს ქვეყნებში, პენიტენციურ სისტემაში მცირეწლოვანი ბავშვი დედასთან ერთად თავსება მაქსიმუმ 3 წლამდე ვადით და ამ კუთხით ადგილობრივი სტანდარტი შესაბამისობაშია ევროპული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებასთან. წარმოგიდგენთ, რამდენიმე ქვეყნის მაგალითს:

[82] პრევენციის ეროვნული მექანიზმი, ანგარიში სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, 2015 წ. გვ,19

[83] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 73 (3)

ქვეყანა	მცირეწლოვანი ბავშვის მაქსიმალური ასაკი
ფინეთი	3 წლამდე
ბელგია	3 წლამდე
საფრანგეთი	18 თვემდე
ისლანდია	3 წლამდე
ნორვეგია	9 თვემდე
შვეიცარია	3 წლამდე
ესპანეთი	3 წლამდე (ზოგ შემთხვევაში 6 წლამდე)
პოლონეთი	3 წლამდე

საერთაშორისო სტანდარტები ადგენს სტანდარტებს საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით. კერძოდ - *„სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დედებთან ერთად მოთავსებული ბავშვების აღზრდისთვის შექმნილი გარემო მაქსიმალურად უნდა იქნას მიახლოებული ციხის გარეთ მყოფი ბავშვის გარემოსთან.“*[84] ამ რეგულაციებში იგულისხმება არა მარტო საცხოვრებელი პირობები, არამედ ბავშვთა კვება, სამედიცინო მომსახურება და ა.შ.

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, - *„საჭიროების შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ეწყობა სპეციალური განყოფილება ფეხმძიმე ქალებისა და ბავშვებისათვის. დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ნებართვითა და ადმინისტრაციის თანხმობით, შეიძლება დედისა და 3 წლამდე ბავშვისათვის ერთად ცხოვრების პირობების შექმნა... თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი 3 წლამდე ბავშვის კვებას, სამედიცინო მომსახურებასა და სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს უზრუნველყოფს სამინისტრო.“*[85] გარდა ამისა, ადგილობრივი სტანდარტები განსაზღვრავს, რომ ორსულ ქალებს და მეძუძურ დედებს უნდა შეექმნათ სხვა მსჯავრდებულებისაგან განსხავავებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები. ამ მიზნით ეწყობა დედათა და ბავშვთა სახლი. აღნიშნული სახლი გამოყოფილი უნდა იყოს მსჯავრდებულთა სხვა საცხოვრებლისგან.[86]

ადგილობრივი კანონმდებლობა ადგენს სპეციალურ პროცედურებს სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით, კერძოდ - *„დაწესებულებაში მოთავსებულ ქალ ბრალებულებთან/ მსჯავრდებულებთან მყოფი 3 წლამდე ასაკის ბავშვები, სამედიცინო საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, გადიან პირველად სამედიცინო <u>შემოწმებას,</u> რა დროსაც ხორციელდება ოჯახის ექიმის ან/და*

[84] ბანგკოკის წესები“, წესი 51

[85] პატიმრობის კოდექსი, მ.72, პ.3, 31

[86] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება, N116, მ13

პედიატრის კონსულტაცია ... დაწესებულებაში დედასთან მყოფი 3 წლამდე ასაკის ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნიზაციით, სკრინინგული გამოკვლევებითა და შესაბამისი მკურნალობით, *ადრეული განვითარების მომსახურებებით ... დაწესებულებაში მყოფი ორსული/მშობიარე და მეძუძური ქალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქვეყანაში მოქმედი კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, რაც მოიცავს როგორც ფიზიოლოგიურად მიმდინარე ორსულობის, ისე გართულებული ორსულობის, მშობიარობისა და მელოგინეობის ხანასთან დაკავშირებულ მომსახურებებს, ანტენატალურ და პოსტნატალურ მოვლას და სკრინინგს ინფექციებზე (აივ-ინფექცია/შიდსი, „ბ ჰეპატიტი“ და ათაშანგი)... ქალი ბრალდებული/მსჯავრდებულებისთვის უზრუნველყოფილია, დედიდან ბავშვზე ინფექციების გადაცემის თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი ზომების მიღება, მათ შორის აივ-ინფიცირებული დედის შემთხვევაში ანტი რეტრო ვირუსული თერაპია, B ჰეპატიტის იმუნოგლობულინი და სხვა“.*

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე - *N5 დაწესებულებაში კვირაში 2-ჯერ ვიზიტს ახორციელებენ კონსულტანტი მეან-გინეკოლოგები, რომლებიც დაწესებულებაში განთავსებულ ორსულ ქალებს უწევენ კონსულტაციას. მათი რეკომენდაციით ხდება კლინიკო-ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, გეგმიურად ხდება ორსული მსჯავრდებულების/ბრალდებულების გადაყვანა ქალაქის სექტორის მეან-გინეკოლოგიურ განყოფილებებში საჭირო კვლევებისა და კონსულტაციების ჩატარების მიზნით. მეძუძურ დედებსა და ბავშვიან ქალებზე სამედიცინო პატრონაჟს ახორციელებს პირველადი ჯანდაცვის (პჯდ) ჯგუფი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, გეგმავს რეფერალს ვიწრო პროფილის სპეციალისტთან.*

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში (სასჯელაღსრულების N5 ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ,2015 წლის 19-20 თებერვალი) გამახვილებულია სხვადასხვა გარემოებებზე ყურადღება, რაც მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს. ანგარიშში ნათქვამია, რომ *„მსჯავრდებულმა დედებმა აღნიშნეს შემდეგი პრობლემა. დაწესებულების წესების მიხედვით, თუ ნათესავები ბავშვს 10 დღეზე მეტი ხნით გაიყვანენ, დედას უწევს დედათა დაბავშვთა კორპუსის დატოვება და ჩვეულებრივ საცხოვრებელში გადასვლა, რაც დისკომფორტს ქმნის, რადგან უწევს ახალ გარემოსთან შეგუება, ახალ ხალხთან ურთიერთობა, წარმოიშობა ინფექციის გავრცელების მაღალი საშიშროება, რაც საფრთხეს ქმნის სხვა დედებისთვის და ბავშვებისთვის. ამის გამო, მსჯავრდებულები ერიდებიან ბავშვების 10 დღეზე მეტი ხნით დაწესებულებიდან გაშვებას, ხოლო ვინც რეგიონიდანაა საერთოდაც უარს ამბობს ამ შესაძლებლობის გამოყენებაზე“.*

საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ

- „პატიმრებს აქვთ ბავშვების ტანსაცმლის და განსაკუთრებით ფეხსაცმლის პრობლემა, ხოლო მათ ახლობლებს არა აქვთ შეძენის საშუალება. ამიტომ ბავშვები ცივ ამინდში გარეთ არ გაჰყავთ. განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს თბილი ფეხსაცმელი და ქურთუკები“. ანგარიშში აღნიშნულია ასევე ხარვეზები მცირეწლოვან ბავშვთა კვებასთან დაკავშირებით, კერძოდ - „დედები უკმაყოფილოები არიან იმით, რომ შეზღუდვა დაწესებულია ამანათის სახით ბავშვთა პროდუქტებზე; მაგალითად ორცხობილა მხოლოდ 500 გრამია დაშვებული. ციხის მაღაზიაში სხვა ორცხობილა შემოდის, რომელიც დედების თქმით, ძვირია და ბავშვებსაც არ მოსწონთ“.პატიმრები აღნიშნავენ ასევე პრობლემებს სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით, კერძოდ - „დედები უკმაყოფილოები არიან იმით, რომ დაწესებულებაში დასაშვებია მხოლოდ ერთი ცალი „ჯონსონ ბეიბის“ საბავშვო კრემის შეტანა. დაწესებულების მაღაზიაში შეუკვეთეს, თუმცა არ მიუტანიათ. ასევე, გვიანდება დერმატოლოგის მიერ ბავშვისთვის დანიშნული საცხის მიწოდება, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების გამო,შეთავაზებულ იქნა შემცვლელი საშუალება, რაზეც უარი განაცხადეს“.

საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში იმ ქალების ჩართვა,რომლებიც დედათა და ბავშვთა განყოფლებაში არიან განთავსებული. ანგარიშში აღნიშნულია, რომ - „მიუხედავად სურვილისა, ისინი ვერ ერთვებიან დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილ ტრენინგებში, ვინაიდან არ აქვთ ბავშვის დატოვების შესაძლებლობა“. *„პრობლემურია ბავშვებთან ერთად განთავსებული დედების სხვადასხვა პროგრამებსა და ღონისძიებებში ჩართვის საკითხი.“*[87]

რეკომენდაციები

- **შემუშავდეს მცირეწლოვანი ბავშვის მიღების, დედასთან ერთად თანაცხოვრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების და ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვების პროცედურები, ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით;**
- **მოხდეს დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების სათანადო ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფა;**
- **დედათა და ბავშვთა განყოფილება უზრუნველყოფილი იქნას ბავშვის მომვლელით ან/და სხვა დამხმარე პერსონალით;**

მ) გარე სამყაროსთან ურთიერთობა

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისთვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. *„სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა;*

[87] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, გვ.25

ასეთი კონტაქტის ნებისმიერი სახით შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს.“[88]

„ბანგკოკის წესების“ 27-ე მუხლის თანახმად, ქალ პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ოჯახური ტიპის პაემნებით სარგებლობის უფლება მამაკაცი პატიმრების თანაბრად. ამავე წესებში აღნიშნულია, რომ „*პაემნები, რომლებშიც ბავშვებიც იღებენ მონაწილეობას, უნდა ჩატარდეს ისეთ გარემოში, რომელიც ხელს შეუწყობს შეხვედრის დადებითად წარმართვას. გარემოში ასევე იგულისხმება თანამშრომელთა დამოკიდებულება და დედასა და ბავშვს შორის ღია და შეუზღუდავი კონტაქტი. შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი უნდა შეეწყოს ბავშვთან გახანგრძლივებულ კონტაქტს.“*[89]

პატიმრობის კოდექსის თანახმად, 2015 წლის 31 დეკემბრამდე,[90] მამრობითი სქესის მსჯავრდებულები 23 საათიანი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობდნენ, ხოლო, ქალი მსჯავრდებულები - მხოლოდ 3[91] საათიანი საოჯახო პაემნით. პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული პირობები წინააღმდეგობაში მოდიოდა „ბანგკოკის წესებით“ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტთან. აღნიშნული ასევე ეწინააღმდეგება გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის სულისკვეთებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო პაემნით სარგებლობის უფლება ჰქონდათ ქალებს პენიტენიურ სისტემაში, ამ სერვისით ფაქტობრივად არავის უსარგებლია, რაც მეტყველებს ამ მექანიზმის არაეფექტურობის შესახებ. გარდა ამისა, საოჯახო პაემნების ინფრასტრუქტურა მოწყობილია იმგვარად, რომ არანაირი პრივატულობა ამ შეხვედრების დროს დაცული არ არის. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ სარგებლობდნენ საოჯახო პაემნის უფლებით შესაძლოა იყო ის, რომ ეს მექანიზმი ზოგადად ვერ ანაცვლებს ხანგრძლივი პაემნის უფლებას (ამ შემთხვევაში შეხვედრის ხანგრძლივობა 23 საათია და მიმდინარეობს პრივატულად). საოჯახო პაემანი ფაქტობრივად წარმოადგენს იგივე ხანმოკლე პაემანს, უბრალოდ ამ შემთხვევაში ბარიერს მიღმა და შესაძლოა გაგრძელდეს 3 საათამდე ვადით.

პატიმრობის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, ქალ მსჯავრდებულებს უფლება აქვთ ისარგებლონ დაწესებულების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით წელიწადში ორჯერ 5 დღემდე ვადით. ხოლო ორსულქალს და 3 წლამდე ბავშვის დედებს წელიწადში სამჯერ. კანონმდებლობა განსაზღვრავს ამ უფლებით სარგებლობის კრიტერიუმებს და რეგულაციებს.[92] ეს

[88] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „რეზოლუციური“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

[89] ,,ბანგკოკის წესები“ წესი 28

[90] პატიმრობს კოდექსი, მუხლი 1241

[91] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 171

[92] პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებითი დატოვების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ

არის ერთგვარი შვებულების ფორმა. მიუხედავად ამ ნორმის არსებობისა, მისი ამოქმედებიდან, ამ შესაძლებლობით არც-ერთ მსჯავრდებულ ქალს არ უსარგებლია, რაც ასევე მეტყველებს ამ მექანიზმის არაეფექტურობაზე ან ზოგადი პოლიტიკის ხარვეზზე. გარდა ამისა, ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ საერთოდ არ არიან ინფორმირებული ასეთი სახის მექანიზმის შესახებ.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2013-2015 წლებში განხორციელდა 5608 ხანმოკლე პაემანი, 26 ვიდეოპაემანი, **N2 დაწესებულებაში** - 538 სატელეფონო საუბარი, N3 დაწესებულებაში - 48. (N5 დაწესებულებას არ მოუწოდებია კონკრეტული ციფრი). 2015 წლის ჩათვლით ბრალდებულები სატელეფონო საუბრით სარგებლობდნენ "პატიმრობის კოდექსის» 124-ე მუხლის თანახმად პროკურორის, გამომძიებლის ან მოსამართლის ნებართვით, 1 თვის განმავლობაში 3 ჯერ - თითოეული არა უმეტეს 15 წუთისა. მსჯავრდებულები სატელეფონო საუბრით სარგებლობდნენ საკუთარი ხარჯით თვეში 5-ჯერ თითოეული არაუმეტეს 15 წუთისა.

როგორც ბენეფიციარებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრისას, ხაზი გაესვა სატელეფონო საუბრების განხორციელების პრობლემას, იმ პირებისათვის ვინც გადახდის უუნაროა. აღნიშნული ქმნის გარკვეულ პრობლემებს გარე სამყაროსთან ურთიერთობის კუთხით.

N5 დაწესებულებაში 2016 წლის 01 იანვრიდან 31 მარტისჩათვლით N5 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელდა 18 ხანგრძლივი პაემანი. ნამდვილად მისასალმებელია ხანგრძლივი პაემნების მექანიზმის დანერგვა ქალი მსჯავრდებულების მიმართ, აღნიშნული საკითხი ხელს შეუწყობს გარე სამყაროსთან მსჯავრდებულების კავშირს, რაც საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. თუმცა არსებობს ხარვეზები სხვადასხვა ტიპის უფლების (სატელეფონო საუბარი, საოჯახო პაემანი, ხანმოკლე გასვლა) რეალიზებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები

- მოხდეს პატიმრების სისტემატური ინფორმირება საოჯახო პაემნის და დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლების განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე;

- შეიქმნას საოჯახო პაემნის და დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლების ეფექტიანად განხორციელების მექანიზმები;

- სოციალურად დაუცველ პატიმარ ქალებს მიეცეთ შესაძლებლობა, თვეში მინიმუმ ერთხელ ისარგებლონ უფასო სატელეფონო საუბრის უფლებით.

ხანმოკლე გასვლის აღსრულების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციისა მინისტრის 2010 წლის 16 ნოემბრის №160 ბრძანება

ნ) დისციპლინური ღონისძიებები

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, პატიმრების წინააღმდეგ დისციპლინური ღონისძიებები უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი საშუალება.[93] დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება ჩაითვალოს ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის წესრიგს, უსაფრთხოებას და უშიშროებას.[94] დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებამდე პატიმარს უნდა განემარტოს ინფორმაცია იმ გადაცდომის შესახებ, რაშიც ედება ბრალი. უნდა ჰქონდეს დაცვისათვის მოსამზადებლად ადეკვატური დრო. ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის.[95] ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.[96] დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია: კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახველი სასჯელები.[97] ასევე სასჯელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.[98] კატეგორიულად იკრძალება კოლექტიური და სხეულებრივი დასჯები, აგრეთვე რომელიც არის არაადამიანური და ღირსების შემლახავი.

დისციპლინური ღონისძიების ისეთ ფორმას, როგორიც არის სამარტოო საკანში მოთავსება შეიძლება უაღრესად მავნე ფსიქოლოგიური, ზოგჯერ კი ფიზიოლოგიური შედეგი ჰქონდეს პატიმრისთვის. სამარტოო პატიმრობის გამოყენებისა და შედეგების შესახებ ,,სტამბოლის დეკლარაციაში“ ასახული რეკომენდაციის შესაბამისად „საპყრობილეებში პატიმრების განთავსება სამარტოო საკნებში მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი.”[99] პატიმრებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, რეკომენდებულია სასჯელის სახით სამარტოო საკანში მოთავსების აკრძალვა, ან დასჯის ამ მეთოდის გამოყენების შეზღუდვა.[100]

ქალების შემთხვევაში განსაკუთრებით მაღალია იმის რისკი, რომ ციხეში მოთავსების პერიოდისთვის მათ უკვე გააჩნდეთ გარკვეული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ან რომ მათ ფსიქიკური პრობლემები და აშლილობები განუვითარდეთ პენიტენციურ სისტემაში ყოფნის განმავლობაში. შესაბამისად, ქალები მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან და სამარტოო საკანში სასჯელის მოხდის ან დასჯის სახით ამ მეთოდის გამოყენება მათზე მძიმე

---

93 ,,ციხისევროპულიწესები“,წესი 56.1

94 ,,ციხისევროპულიწესები“,წესი 57.1

95 ,,ციხის ევროპული წესები“, წესი 56.2

96 ,,ციხის ევროპული წესები“, წესი 60.2

97 ,,ციხის ევროპული წესები“, წესი 60.3

98 ,,ციხის ევროპული წესები“, წესი 60.4

99 ,,სტამბულის დეკლარაცია სამარტოო პატიმრობის გამოყენებისა და მისი შედეგების შესახებ“, მიღებული 2007 წლის 9 დეკემბერს ფსიქოლოგიური ტრავმების საერთაშორისო სიმპოზიუმზე, მოცემული დეკლარაცია თანდართულია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედურ ანგარიშზე, A/63/175, 2008 წლის 28 ივლისი, გვ 23

100 იქვე, გვ.25

ფსიქოლოგიურ ზეგავლენას იქონიებს.

„ბანგკოკის წესებში“ აღნიშნულია, რომ - *„ქალი პატიმრების მიმართ დისციპლინური სანქციები არ უნდა ითვალისწინებდეს ოჯახთან, განსაკუთრებით ბავშვებთან კონტაქტის აკრძალვას.“*[101]

ადგილობრივი კანონმდებლობა, ითვალისწინებს დისციპლინური ღონისძიების სახით, საკნის ტიპის სადგომში და სამარტოო საკანში მოთავსების შესაძლებლობას.[102] მართალია, აღნიშნული რეგულაციები ადგენს, რომ ასეთი ტიპის დისციპლინური ღონისძიებები არ გამოიყენება ორსული ქალების, მცირე წლოვანი ბავშვების დედებისა და 65 წელს გადაცილებული ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მიმართ,[103] თუმცა ზოგადად მათი გამოყენების პრაქტიკა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

გარდა ამისა, ადგილობრივი კანონმდებლობა ასევე ითვალიწინებს, დისციპლინური ღონისძიების სახით ხანმოკლე პაემნის აკრძალვის შესაძლებლობას,[104] რაც გამოიყენება კიდეც პრაქტიკაში.

2013 – 2015 წლებში გამოყენებული დისციპლინური ღონისძიებები



გარდა ამისა, პრობლემის არსს წარმოადგენს ის საკითხი, რომ ადგილობრივ კანონმდებლობაში პროპორციულობის ზოგადი პრინციპის გარდა, არ არის ჩამოყალიბებული დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების უფრო დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები. კანონმდებლობა კონკრეტულად არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რის გამოც დაწესებულებათა ადმინისტრაციას ეძლევა საკმაოდ ფართო დისკრეცია დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში, რაც ზრდის პატიმართა უფლებების დარღვევის რისკს.

საქართველოს სახალხო დამცველი ანგარიშში (2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ) აღნიშნავს, რომ - *„სასჯელაღსრულების*

---

[101] ,,ბანგკოკისწესები“,წესი 23

102სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N116, მუხლი 81 , 1პ. (ე,ვ)

103სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N116, მუხლი 81(2)

[104] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N116, მ.81 1პ, (მ)

დაწესებულებათა მონიტორინგის დროს, ერთი და იმავე დისციპლინური გადაცდომისათვის, სხვადასხვა დაწესებულებებში გამოვლინდა სრულიად სხვადასხვა სახდელების დაკისრების შემთხვევები. მაგალითად, ისეთი დარღვევისთვის, როგორიც არის „ხმაური და ბრახუნი საკნის კარზე," ასევე „სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის შეურაცხყოფა," რიგ შემთხვევებში, სახდელის სახით გამოიყენებოდა „ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა," ასევე „სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა ", ხოლო სხვა შემთხვევებში გამოიყენებოდა „სამარტოო საკანში მოთავსება" სხვადასხვა ვადით".

ამავე ანგარიშში დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ - „სასჯელაღსრულების სისტემაში არსებობს დისციპლინური სახდელების არაერთგვაროვანი პრაქტიკა", რის გამოც რეკომენდაციას აძლევს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს - „***შემუშავდეს დისციპლინურ სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, რათა შესაძლებელი გახდეს დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენება სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში***". აღნიშნული სურათი არ შეცვლილა არც 2013 წლის შემდეგ.

რეკომენდაციები

● მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყოს გამოყენებული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიმართ დისციპლინური ღონისძიების სახით საკნის ტიპის სადგომში გადაყვანა და სამარტოო საკანში მოთავსება;

● გაუქმდეს ნორმა, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინური ღონისძიების სახით ხანმოკლე პაემნის და სატელეფონო საუბრის აკრძალვას;

● ჩამოყალიბდეს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც უზრუნველყოფს ამ ღონისძიებების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას.

ო) დაწესებულების პერსონალი

პენიტენციური სისტემის ყველა თანამშრომელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სტანდარტის განათლება მიღებული.[105] ტრენინგები, როგორცმინიმუმ,უნდამოიცავდეს-ადგილობრივკანონმდებლობას, რეგულაციებს და პოლიტიკას; საერთაშორისო და რეგიონალურ ინსტრუმენტებს; უშიშროებისა და უსაფრთხოების საკითხებს; პირველადი სამედიცინო დახმარების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს[106].

[105] ,,მანდელას წესები", წესი 75.1

[106] ,,მანდელას წესები", წესი 76

„მანდელას წესებში“ აღნიშნულია, რომ -„*შეძლებისდაგვარად, ციხის თანამშრომელთა დასაკომპლექტებელი საშტატო ერთეულები უნდა მოიცავდნენ სპეციალისტთა საკმაო რაოდენობას, ფსიქიატრებს, ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებს, პედაგოგებს და რაიმე ხელობის მასწავლებლებს .... სოციალური მუშაკები, პედაგოგები და ხელობის მასწავლებლები უნდა ინიშნებოდნენ მუდმივ თანამშრომლებად, ამასთან, არ უნდა იყოს უგულებელყოფილი იმ პირების სამუშაო, რომლებიც არასრულ სამუშაო დღეს ან მოხალისეებად მუშაობენ.“*[107]

,,მანდელას წესები“, ასევე განსაზღვრავს სპეციალურ რეგულაციებს *ქალ პატიმართან ურთიერთობისას - „იმ დაწესებულებებში, სადაც განთავსებული არიან როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, ქალების განყოფილება უნდა იყოს ქალი თანამშრომლების დაქვემდებარებაში. მათი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს ამ განყოფილების ნებისმიერი ნაწილის გასაღებიც ... მამაკაცი თანამშრომლები ქალთა განყოფილებაში დაიშვებიან მხოლოდ ქალი თანამშრომლების თანხლებით ... პატიმარ ქალებზე ზრუნვა და ზედამხედველობა უნდა დაევალოს მხოლოდ ქალ თანამშრომლებს. ამავე დროს, ეს არ უნდა უშლიდეს ხელს მამაკაც თანამშრომლებს, კერძოდ, ექიმებსა და მასწავლებლებს, შეასრულონ თავიანთი პროფესიული მოვალეობები ქალთა დაწესებულებებში ან ქალებისათვის გამოყოფილ ცალკე განყოფილებებში.“*[108]

დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბენეფიცარებთან შეხვედრისას, მათ აღნიშნეს, რომ ძირითადად მათთან კონტაქტში იყო ქალი პერსონალი. დაწესებულებაში მომუშავე კაც პერსონალს არცერთ პრივატულ სივრცესთან ხელი არ მიუწვდებათ.

გარდა ამისა, „ბანგკოკის წესები“ ადგენს ქალ პატიმრებთან მომუშავე პერსონალის გადამზადებისას, სპეციფიკურ საკითხებს - „*ციხის ქალმა თანამშრომლებმა უნდა მიიღონ ტრენინგზე ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობა, იგივე, რაც მამრობითი სქესის თანამშრომლებმა. ასევე, ქალთა ციხის მმართველობაში ჩართულმა ყველა თანამშრომელმა უნდა გაიაროს სპეციალური ტრენინგი (მომზადება) გენდერულ საკითხებზე და დისკრიმინაციისა და სექსუალური ძალადობის აკრძალვაზე... ციხის ყველა თანამშრომელმა, რომელიც მუშაობს ქალ პატიმრებთან, უნდა გაიაროს ტრენინგი გენდერულად განსაკუთრებულ საჭიროებებსა და ქალი პატიმრების უფლებებთან დაკავშირებით .... ზოგადი ტრენინგი, გარდა პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ძირითადი მედიცინისა, უნდა ჩაუტარდეს ასევე ციხის იმ თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ ქალთა ციხეში ქალთა ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.“*[109] *იქვე - „ტრენინგ პროგრამები აივ ინფექციასთან დაკავშირებით, უნდა იყოს ციხის თანამშრომლების რეგულარული სასწავლო პროგრამის ნაწილი. აივ/შიდსის პრევენციის, მისი მკურნალობის,*

---

[107] ,,მანდელას წესები“, წესი 78

[108] ,,მანდელას წესები“, წესი 81

[109] ,,ბანგკოკის წესები“, წესი 32-33

და ავადმყოფის მოვლის გარდა, ისეთი საკითხები, როგორიცაა გენდერი და ადამიანის უფლებები, აივ ინფექციაზე, სტიგმასა და დისკრიმინაციაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, ასევე უნდა იყოს რეგულარული სასწავლო პროგრამის ნაწილი."[110]

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დაწესებულების თანამშრომლებმა გაიარეს გენდერ-სპეციფიკური საჭიროებებისა და ქალი პატიმრების უფლებებთან დაკავშირებით შემდეგი ტრენინგები: ქალ პატიმრებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები, ქალი პატიმრების გათავისუფლების შემდგომი რეფერალი, ქალ პატიმართა გაძლიერება სასჯელაღსრულების სისტემაში ,,ბანკოკის წესების" ინსტიტუციონალიზაციის მეშვეობით. ასევე ტრენინგები აივ-ინფექციის პრევენციასთან დაკავშირებით.

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, პენიტენციური სისტემის მოსამსახურე გადის სავალდებულო გადამზადებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში.[111] სასწავლო კურსი, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს მომზადებას ადამიანის უფლებების საკითხებში.[112] სპეციალური კონკურსის ჩატარების წესს, სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსის სახეებსა და გავლის წესს, აგრეთვე სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების წესს ადგენს მინისტრი.[113]

„ბანგკოკის წესების" თანახად, *„მკაფიო პოლიტიკა და რეგულაციები უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ციხის თანამშრომლების ქცევასთან დაკავშირებით, რომლის მიზანი უნდა იყოს ქალი პატიმრების გენდერულ საფუძვლებზე ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობისგან, შეურაცხყოფისა და სექსუალური ძალადობისგან მაქსიმალურად დაცვა".*[114]

N5 დაწესებულების დებულებაში ჩამოყალიბებულია პატიმრებსა და პერსონალს შორის ურთიერთობის სტანდარტები, კერძოდ - „ბრალდებულები/მსჯავრდებულები დაწესებულების მოსამსახურეებს მიმართავენ «თქვენობით» .. დაწესებულების მოსამსახურეები ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მიმართავენ თავაზიანად, ეთიკის ნორმების დაცვით (სახელითან/დაგვარით)".[115]

ფაქტობრივად ჩამოყალიბებული ურთიერთობის არაერთგვაროვანი სტანდარტები. თუ პატიმარი ვალდებულია პერსონალს მიმართოს „თქვენობით", რატომ არ არის ვალდებული დაწესებულების პერსონალიც ამ ფორმით მიმართავდეს და არა სახელით ან/და გვარით?

---

[110] ,,ბანგკოკის წესები", წესი 34

[111] სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ კანონი, მუხლი 8 (3)

[112] სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ კანონი, მუხლი 8 (5)

[113] სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ კანონი, მუხლი 8 (8)

[114] ,,ბანგკოკის წესები", წესი 31

[115] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N116, მუხლი 31

პენიტენციური დაწესებულებების ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი არის ადამიანური რესურსები, რადგან დაწესებულების ფუნქციონირება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ადამიანებთან დამოკიდებულებას. ამ პროცესში უნდა გამოიყენებოდეს დინამიური უსაფრთხოების კომპონენტები, კერძოდ, თანამშრომელთა ურთიერთობა პატიმრებთან, ინტერაქცია, დაკვირვება, ინფორმაციის მოგროვება, კონფლიქტის მენეჯმენტი, შემოწმება, სუპერვიზია და ა.შ.[116] დინამიური უსაფრთხოება გულისხმობს ქმედებებს, რაც ავითარებს პოზიტიურ ურთიერთობას დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის, ეს არის უსაფრთხოებისადმი სპეციფიკური მიდგომა, რაც ეფუძნება ციხის პოპულაციის ცოდნას და იმ ურთიერთობების გააზრებას, რაც არსებობს პატიმრებსა და თანამშრომლებს, აგრეთვე პატიმრებს შორის. თუ პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის შექმნილია პატივისცემაზე და ურთიერთ-გაგებაზე დაფუძნებული დამოკიდებულება, უზრუნველყოფილია, რომ თანამშრომელთა ძალაუფლება არ იყოს აღქმული როგორც პროვოკაცია ან დასჯა.

რეკომენდაციები

- შევიდეს ცვლილება კანონმდებლობაში და ჩამოყალიბდეს პატიმრებსა და პერსონალს შორის მიმართვის ერთგვაროვანი სტანდარტი.

პ) არასრულწლოვანი გოგონები

როგორც ბავშვისუფლებათა კონვენცია,[117] ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი[118] მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ პატირმობაში მყოფი ბავშვების უფროსებისგან განცალკევებით განთავსება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის ამის გაკეთება არ არის საჭირო.[119]*ბავშვთა უფლებათა კომიტეტი N10 ზოგად კომენტარში[120] იძლევა რეკომენდაციას, რომ ფრაზის „ბავშვისთვის საუკეთესო ინტერესებისთვის ამის გაკეთება არ არის საჭირო“ განმარტება უნდა მოხდეს ვიწრო გაგებით; ბავშვის საუკეთესო ინტერესი არ გულისხმობს „სახელმწიფოსთვის მოსახერხებელს“*. უფრო მეტიც, ამ გამონაკლისების არსებობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებისაგან, დაარსოს განცალკევებული დაწესებულება არასრულწლოვნებისთვის, რომელშიც იქნება ბავშვზე ორიენტირებული პერსონალი, კადრები, პოლიტიკა და პრაქტიკა.[121]

ბავშვებისა და ზრდასრული ადამიანების განცალკევების მიზეზი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ბავშვისუფლებათა კომიტეტის

[116] “Prison Incident Management Handbook” , UN 2013, p-15

[117] ბავშვისუფლებათა კონვენცია, მუხლი 37(გ)

[118] სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მუხლი 10(3)

[119] ,,ჰავანას წესები“, წესი 29

[120] ბავშვისუფლებათა კომიტეტის ზოგადი კომეტარი N10, პ.28

[121] ბავშვისუფლებათა კომიტეტის ზოგადი კომეტარი N10, პ.85

მიერ: *„არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომ ბავშვების მოთავსება სრულწლოვანთა საპატიმროებში წარმოადგენს ელემენტარული უსაფრთხოების, კეთილდღეობის და მომავალში დანაშაულის ჩადენისგან თავის შეკავებისა და რეინტეგრაციის უნარის შეზღუდვას“.*[122]

ცალკე სტანდარტებს განსაზღვავს „ბანგკოკის წესები“ არასრულწლოვან გოგონებთან მიმართებაში. კერძოდ, *„არასრულწლოვან მდედრობითი სქესის პატიმრებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მათი ასაკისა და სქესის შესაბამის პროგრამებსა და მომსახურებებზე, როგორიცაა, მაგალითად, კონსულტაცია სექსუალურ ან ფიზიკურ ძალადობაზე. მათ უნდა მიიღონ განათლება ქალთა ჯანდაცვის საკითხებზე და ჰქონდეთ რეგულარული ხელმისაწვდომობა გინეკოლოგის მომსახურებაზე, ზრდასრული ქალი პატიმრების მსგავსად.“*[123]

პატიმრობის კოდექსის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, განცალკევებით ათავსებენ: ქალებს; არასრულწლოვნებს,“[124] თუმცა N5 დაწესებულების დებულებაში აღნიშნულია, რომ - *„დაწესებულებაში განთავსებული არიან ქალი ბრალდებული და მსჯავრდებულები, მათ შორის, ქალი არასრულწლოვნები.“*[125]

ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვან გოგონებზე ვრცელდება არასრულწლოვნებისთვის დადგენილი პირობები და თავისებურებები. მითითებულია, რომ არასრულწლოვნებს უნდა შეექმნათ გაუმჯობესებული საცხოვრებელი და კვების პირობები.[126] ასევე დადგენილია დისციპლინური ღონისძიების გამოყენების განსხვავებული პროცედურები.[127]

ამჟამად პენიტენციურ დაწესებულებებში არ არიან განთავსებული არასრულწლოვანი გოგონები, თუმცა წასრულში არსებული პრაქტიკით მათი განთავსება ხდებოდა სრულწლოვნებთან ერთად, საერთო საცხოვრებელ კორპუსში. როგორც აღინიშნა, შესაძლოა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გოგონების განთავსება სრულწლოვნებთან ერთად მიზანშეწონილი იყოს, თუმცა ასეთი სახის გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და არ უნდა იყოს დადგენილი ზოგადი სახის მიდგომები. ხოლო თუკი მოხდება სრულწლოვნებთან განთავსება, უნდა იყოს შერჩეული სპეციფიკური, დაბალი რისკის მატარებელი ჯგუფი და არ უნდა ხდებოდეს მათი განთავსება სრულწლოვნების ერთიან საცხოვრებელ კორპუსში.

---

[122] ბავშვისუფლებათა კომიტეტის ზოგადი კომეტარი N10, პ.85

[123] ,,ბანგკოკის წესები“, წესი 38

[124] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 50 (1)

[125] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N116, მუხლი 2(3)

[126] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N116, მუხლი 35 (9), 37 (5)

[127] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N116, მუხლი 83

რეკომენდაციები

- **უზრუნველყოფილ იქნეს არასრულწლოვანი გოგონების განცალკევებით განთავსების შესაძლებლობა.**

ნაწილი 5. არასაპატიმრო სასჯელის აღსრულება

„გარდამავალი მენეჯმენტი“, პოსტ-პენიტენციური ზრუნვა

5.1 შესავალი

ალტერნატიულ სასჯელებს დიდი როლი აქვს სისხლის სამართალში. მათი გამოყენება ხელს უწყობს დამნაშავე პირის რესოციალიზაციას და უფრო ეფექტიანი გზაა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით. არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებისას მსჯავრდებულს ეძლევა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული გზა, ასევე გარე სამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობა, საშუალება, რომ არ მოსწყდეს საკუთარ ოჯახს, მეგობრებს. სოციალური კავშირები კი არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის რესოციალიზაციისათვის.

2013-2015 წლებში არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუმცა, არსებობს გარკვეული პრობლემები, რომელიც უფრო მეტი დატვირთვით ალტერატიული სასჯელების გამოყენებას უკავშირდება. საპატიმრო სასჯელების შემცირება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დამნაშავისათვის, რომელსაც საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაული აქვს ჩადენილი და იმსახურებს შედარებით მსუბუქ სასჯელს, ასევე სახელმწიფოსათვის, რადგან იგი დაზოგავს იმ რესურსებს, რაც პენიტენციურ სისტემაში პატიმართა მიმართ ზრუნვისათვის არის საჭირო.

არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების გარდა, მნიშვნელოვანი პროცესია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადება და პოსტ-პენიტენციური ზრუნვა. აუცილებელია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ რეაბილიტაციის პროცესი არ მთავრდება ციხის კარებთან და ბევრად მნიშვნელოვანი პროცესი იწყება გათავისუფლების პირველივე დღეებში. ამისათვის მნიშვნელოვანია ამ პროცესის ეფექტიანად ორგანიზება და დეტალური პროცედურების ჩამოყალიბება.

5.2 ძირითადი ნაწილი

ა) გარდამავალი მენეჯმენტი

ვადაზე ადრე გათავისუფლება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში პატიმრობის კოდექსის ამოქმედებასთან ერთად შეიქმნა ადგილობრივი

საბჭოები, რომელიც არის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ორგანო. საბჭოების მუშაობაში მონაწილეობენ სამინისტროს ცენტრალური აპარატის ან სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის, უმაღლესი საგანმანათლებლო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, არასამთავრობო სექტორის, იუსტიციის საბჭოსა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N138 ბრძანებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობა და ტერიტორიული განსჯადობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N138 ბრძანებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობა და ტერიტორიული განსჯადობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

ა) **აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭო** – განიხილავს საქართველოს დედაქალაქის – ქ. თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პენიტენციური დაწესებულებების მიერ პატიმრობის კოდექსის 42-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად წარდგენილ შუამდგომლობებს მსჯავრდებულების (გარდა არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ქალი მსჯავრდებულებისა) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით;

ბ) **აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო** – განიხილავს თვითმმართველი ქალაქის რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პენიტენციური დაწესებულებების მიერ პატიმრობის კოდექსის 42-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად წარდგენილ შუამდგომლობებს მსჯავრდებულების (გარდა არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ქალი მსჯავრდებულებისა) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით;

გ) **დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო** – განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პენიტენციურ დაწესებულებების მიერ პატიმრობის კოდექსის 42-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად წარდგენილ შუამდგომლობებს მსჯავრდებულების (გარდა არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ქალი მსჯავრდებულებისა) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით;

დ) **არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო** – განიხილავს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების მიერ პატიმრობის კოდექსის 42-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად წარდგენილ შუამდგომლობებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულების სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით;

ე) **ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო**–განიხილავს პენიტენციური დაწესებულების მიერ პატიმრობის კოდექსის 42-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად წარდგენილ შუამდგომლობებს სრულწლოვანი ქალი მსჯავრდებულების სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებით.

ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო შეიქმნა 2014 წლის 28 მაისს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით (N93). მანამდე ქალთა საქმეებს იხილავდა აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო (ამ საბჭოს ორად გაყოფა შემდეგ განხორციელდა).

მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ სამი მეოთხედი;

დ) სამი მეოთხედი სასჯელისა, რომელიც დანიშნული ჰქონდა პირს, რომელიც წინათ პირობით ვადამდე გაათავისუფლეს და პირობით ვადამდე გათავისუფლება გაუქმდა „პატიმრობის კოდექსის“ მე-40 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან პირობით ვადამდე შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 20 წელი.

საბჭო როგორც წესი, ყოველი თვის ხუთ რიცხვამდე საბჭოში შემოსული შუამდგომლობები, რომლებიც წარმოებაში იქნება მიღებული, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება მომდევნო თვის ხუთ რიცხვამდე. საბჭო მსჯავრდებულის საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულებით[128] დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმებია: ა) დანაშაულის ხასიათი ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა დ) ოჯახური პირობები ე) მსჯავრდებულის პიროვნება. ამავე დებულებაში აღნიშნულია, რომ - *„ქალი მსჯავრდებულის საქმის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებს, მათ შორის, ქალის როგორც დედის როლი ოჯახში“.*[129]

2013– 2015 წლების განმავლობაში, ადგილობრივი საბჭოს მიერ განხილულ იქნა <u>665</u> მსჯავრდებული ქალის საქმე და აქედან <u>132</u> შემთხვევაში მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება. განხილული საქმეების დაახლოებით <u>19%.</u>

ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ინფორმაციას, რაც მიეწოდება საბჭოს. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მონაცემებს, როგორ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, ასევე გათავისუფლებისას არსებული რისკებისა და საჭიროებების თაობაზე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N68 ბრძანებით დამტკიცდა დებულება - *მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ.* აღნიშნული ბრძანების მოქმედება გავრცელდა N11 და N5 დაწესებულებებზე.

აღნიშნული დებულების თანახმად, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის ან/და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისათვის კანონით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდამდე 3 თვით ადრე წერილობით მიმართოს სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს, დაწესებულების გარეთ ამ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს

[128] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №138

[129] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №138, მუხლი 20, პ.3

რისკებისა და საჭიროებების შეფასების თაობაზე.

საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ა) სამინისტროს სამოქალაქო სამსახურში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფის 1 მოსამსახურე; ბ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთააღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 1 წარმომადგენელი; გ) არასამთავრობო ორგანიზაციის 1 წარმომადგენელი; დ) უმაღლესი საგანმანათლებლო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 1 წარმომადგენელი; ე) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1 წარმომადგენელი.

უნდა აღნიშნოს, რომ საბჭოს შემადგენლობა საკმაოდ წარმომადგენლობითია, თუმცა კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საბჭოს წევრებს არ აქვთ გავლილი სპეციალური გადამზადება ქალთა გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით, ამის ვალდებულებას კანონმდებლობა არ ითვალიწინებს. შესაძლოა საბჭოს რომელიმე წევრს ჰქონდეს გარკვეული კვალიფიკაცია ამ მიმართულებით, თუმცა ეს საკითხი უნდა იყოს დარეგულირებული ნორმატიულად.

დაწესებულების მიმართვა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) დაწესებულების მიმართვის საფუძველი;

ბ) მსჯავრდებულის შესახებ ზოგადი დემოგრაფიული მონაცემები;

გ) ინფორმაცია ჩადენილი დანაშაულის შესახებ;

დ) ინფორმაცია მსჯავრდებულის ოჯახის შესახებ;

ე) დაწესებულების დასახელება, სადაც მსჯავრდებული იხდის სასჯელს;

ვ) მსჯავრდებულის დაწესებულებაში განთავსების თარიღი;

ზ) დარჩენილი სასჯელის ვადა და სასჯელის მოხდის დასრულების თარიღი;

თ) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიერ მსჯავრდებულის საქმის განხილვის სავარაუდო თარიღი;

ი) დაწესებულებაში მსჯავრდებულთან მომუშავე სოციალური მუშაკის სახელი და გვარი;

კ) დაწესებულების საკონტაქტო მონაცემები;

ლ) ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელზეც მსჯავრდებულის ოჯახის შეფასებისას სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა უნდა გაამახვილოს ყურადღება.

ამ დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას დაწესებულების ადმინისტრაცია გადაიტანს მსჯავრდებულის დახასიათების ფორმაში, რომელიც წარედგინება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ

საბჭოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელის შეცვლასთან დაკავშირებით.

დაწესებულებიდან სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოში მიმართვის შესვლის შემდეგ, სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს უფროსი მომართვას გადასცემს სოციალურ მუშაკს, რომელიც ვალდებულია მსჯავრდებულის ოჯახსა და სოციალურ გარემოში არსებული რისკ-ფაქტორების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, მსჯავრდებულის ოჯახში განახორციელოს ვიზიტი.

შეფასების დასრულების შემდეგ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის დოკუმენტი იგზავნება შესაბამისი დაწესებულებისა დმინისტრაციაში. პრობაციის ბიუროს უფროსი გადასცემს პრობაციის ოფიცერს, რომელიც მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასების მიზნით, მუშაობის პროცესში ჩართავს სააგენტოს შესაბამის სოციალურ მუშაკს.

ნამდვილად მისასალმებელია გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის სამართლებრივი რეგულირება, თუმცა პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ამ ეტაპზე აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, შესაბამისი მიმართვა პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიმართ არ განხორციელებულა. შესაბამისად გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამაში, 2015 წლის ბოლომდე არცერთი მსჯავრდებული ქალი არ ყოფილა ჩართული.

გარდაამისა, ქალთასაქმეებისგანმხილველი საბჭოს თავმჯდომარემ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ დახასიათებებში არ არის ასახული ინფორმაცია გარეთ არსებული რისკებისა და საჭიროებების თაობაზე. ასევე, აღინიშნა, რომ ნაკლებად არის როგორც წესი დახასიათებებში ასახული ქალთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებები, დახასიათებებში არსებული ინფორმაცია არასრულია და სასურველია მისი გაუჯობესება იმ მიზნით, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოს ჰქონდეს ყოველმხრივი ინფორმაცია.

დანაშაულის პრევენციის ცენტრი

საქართველოს იუსიტიციის მინისტრის N16 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულია - დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულება. აღნიშნული ცენტრის მიზანია - ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია. ცენტრის ამოცანას წარმოადგენს -*ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის არსებული პროგრამების ფარგლებში რეფერალის სისტემის შემუშავება, შესაბამისი დახმარების აღმოჩენა და დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა.*

დანაშაულის პრევენციის ცენტრთან, გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის მარეგულირებელი კონკრეტული პროცედურები არ არსებობს და შესაბამისად არ ახორციელებენ გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამას. თუმცა

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ყოველთვიურად ხორციელდება სოციალური მუშაკების საინფორმაციო შეხვედრები პატიმრებთან. 2015 წელს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პროგრამის სოციალური მუშაკები შეხვდნენ 2649 პატიმარს, მათ შორის 113 ქალ პატიმარს.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2013 წლის მერე ახორციელებენ პროგრამებს, რომლებითაც შეუძლიათ ისარგებლონ, როგორ ქალმა, ასევე კაცმა ბენეფიციარებმა, კერძოდ: ფსიქო-სოციალური მომსახურება; ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება; პროფესიული უნარების შეძენა; არაფორმალური განათლება/ტრენინგი; ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრებთან მუშაობა; იურიდიული დახმარება; სტაჟირების საგრანტო პროგრამა; მცირე ბიზნესის ხელშემწყობი საგრანტო პროგრამა; სპორტულ-შემეცნებითი ღონისძიებები; უფასო მგზავრობა.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე 2013-2014 წლებში არ იწარმოებოდა ქალ ბენეფიციართა მომსახურების მონაცემები. შესაბამისად, წარმოდგენილია ის პროგრამები, რომლითაც 2015 წელს ისარგებლეს ქალმა ბენეფიციარებმა:

	პროგრამის დასახელება	რამდენმა ქალმა ისარგებლა
1.	უფასოელექტრონული პირადობის მოწმობა	147
2.	იურიდიული მომსახურება	43
3.	ფსიქოლოგიური მომსახურება	19
4.	დასაქმება	23
5.	მცირე ბიზნესის წარმოების გრანტი	13
6.	სტაჟირების საგრანტო პროგრამა	2
7.	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები	9
8.	პროფესიული გადამზადების კურსი	22
9.	სოციალური უნარების განვითარება	47
10.	სამედიცინო მომსახურება	29
11.	თავშესაფრით უზრუნველყოფა	5
12.	პირადობის მოწმობის დამზადება	62
13.	უფასო სამგზავრო ბარათი	31
	სულ	452

ნამდვილად მისასალმებელია, სხვადასხვა სახის პროგრამების არსებობა გათავისუფლების შემდეგ, რომელსაც ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტო და დანაშაულის პრევენციის ცენტრი. მიუხედავად არსებული სამართლებრივი პროცედურებისა, რომელიც შეეხება გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესს, კვლევამ აჩვენა, რომ ეს ნორმები ჯერ-ჯერობით პრაქტიკაში არ სრულდება. გარდა ამისა, ეს პროცესი თავისი შინაარსით არ მოიცავს

გათავისუფლებისათვის მომზადებისას დანაშაულის პრევენციის ცენტრთან თანამშრომლობის პროცესს, რაც ქმნის გარკვეული აქტივობების გადაფარვის და რესურსების არამიზნობრივად გამოყენების რისკს.

რეკომენდაციები

● შევიდესცვლილებაკანონმდებლობაში და ჩამოყალიბდეს ქალთა საქმეების განხილველი ადგილობრივი საბჭოს წევრების შერჩევის კრიტერიუმები, რომლებიც ასევე მოიცავს მათ სავალდებულო გადამზადებას ქალთა გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით;

● ჩამოყალიბდეს ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელიც სუპერვიზიას გაუწევს გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის ეფექტიანად განხორციელების პროცესს;

● გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში ჩართული იქნას დანაშაულის პრევენციის ცენტრი და სამართლებრივად დარეგულირდეს მათი ფუნქციები ამ პროცესში.

ბ) პირობითი მსჯავრი. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულება

პირობითი მსჯავრისა და არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების საკითხის განხილვამდე, პირველ ეტაპზე მნიშვენელოვანია, რომ გავაანალიზოთ სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაცია, რომელიც მოგვცემს გარკვეული ანალიზის საშუალებას.

2013 წელი

პირობით მსჯავრდებულთა ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფების რაოდენობა

N	თვეები	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
		კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
1	იანვარი	**30211**	**2265**	**32476**	**460**	**25**	**485**	**32961**
2	თებერვალი	**25608**	**1875**	**27483**	**367**	**20**	**387**	**27870**
3	მარტი	**15904**	**1308**	**17212**	**316**	**10**	**326**	**17538**
4	აპრილი	**14514**	**1168**	**15682**	**285**	**11**	**296**	**15978**
5	მაისი	**14521**	**991**	**15512**	**277**	**8**	**285**	**15797**
6	ივნისი	**14598**	**991**	**15589**	**273**	**6**	**279**	**15868**
7	ივლისი	**15181**	**1040**	**16221**	**281**	**8**	**289**	**16510**
8	აგვისტო	**15590**	**1012**	**16602**	**279**	**9**	**288**	**16890**
9	სექტემბერი	**16045**	**1024**	**17069**	**273**	**7**	**280**	**17349**
10	ოქტომბერი	**14869**	**864**	**15733**	**257**	**9**	**266**	**15999**
11	ნოემბერი	**12701**	**685**	**13386**	**249**	**7**	**256**	**13642**
12	დეკემბერი	**10724**	**523**	**11247**	**192**	**6**	**198**	**11445**

პირობით მსჯავრდებულთა შეწყალება

	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
სულ	**7979**	**581**	**8560**	**68**	**4**	**72**	**8632**

2014 წელი
პირობით მსჯავრდებულთა ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფების რაოდენობა

N	თვეები	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
		კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
1	იანვარი	**9846**	**462**	**10308**	**178**	**7**	**185**	**10493**
2	თებერვალი	**9510**	**430**	**9940**	**172**	**4**	**176**	**10116**
3	მარტი	**9912**	**454**	**10366**	**192**	**5**	**197**	**10563**
4	აპრილი	**10250**	**477**	**10727**	**198**	**5**	**203**	**10930**
5	მაისი	**10847**	**482**	**11329**	**202**	**6**	**208**	**11537**
6	ივნისი	**11167**	**489**	**11656**	**236**	**8**	**244**	**11900**
7	ივლისი	**11747**	**511**	**12258**	**226**	**6**	**232**	**12490**
8	აგვისტო	**12165**	**552**	**12717**	**233**	**10**	**243**	**12960**
9	სექტემბერი	**12617**	**597**	**13214**	**238**	**10**	**248**	**13462**
10	ოქტომბერი	**13136**	**626**	**13762**	**243**	**11**	**254**	**14016**
11	ნოემბერი	**13622**	**665**	**14287**	**236**	**11**	**247**	**14534**
12	დეკემბერი	**14404**	**702**	**15106**	**244**	**11**	**255**	**15361**

პირობით მსჯავრდებულთა შეწყალება

	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
სულ	2966	187	3153	35	0	35	3188

2015 წელი

პირობით მსჯავრდებულთა ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფების რაოდენობა

N	თვეები	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
		კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
1	იანვარი	14690	**762**	15452	244	**11**	**255**	15707
2	თებერვალი	14988	**771**	15759	247	**10**	**257**	16016
3	მარტი	15412	**788**	16200	**248**	**10**	**258**	16458
4	აპრილი	15699	**833**	16532	**239**	**9**	**248**	16780
5	მაისი	15981	**866**	16847	**238**	**8**	**246**	17093
6	ივნისი	16745	**901**	17282	**241**	**10**	**251**	17533
7	ივლისი	16745	**933**	17678	**250**	**8**	**258**	17936
8	აგვისტო	17056	**952**	18008	**237**	**8**	**245**	18253
9	სექტემბერი	17310	**991**	18301	**225**	**9**	**234**	18535
10	ოქტომბერი	17598	**1027**	18625	**223**	**7**	**230**	18855
11	ნოემბერი	17764	**1035**	18799	**221**	**6**	**227**	19026
12	დეკემბერი	17941	**1037**	19008	**216**	**6**	**222**	19230

პირობით მსჯავრდებულთა შეწყალება

	სრულწლოვანი			არასრულწლოვანი			საერთო
	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	
სულ	4	0	4	0	0	0	4

არასაპატიმრო სასჯელის მქონე ქალთა რაოდენობა ბიუროების მიხედვით

ქალი მსჯავრდებულების რაოდენობა				
№	რეგიონები	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
1	თბილისი	228	336	485
2	შიდა ქართლი	25	35	43
3	მცხეთა-თიანეთი	2	10	13
4	ქვემო ქართლი	46	78	101
5	კახეთი	23	22	35
6	სამცხე-ჯავახეთი	15	14	21
7	იმერეთი	48	51	73
8	გურია	10	11	23
9	სამეგრელო-ზემო სვანეთი	31	59	115
10	რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი		2	2
11	აჭარა	59	46	98
სულ		487	664	1009

2013-2015 წლებში, პირობითი მსჯავრისგან გათავისუფლებული ქალი მსჯავრდებულების რაოდენობა

სასჯელისაგანვადაზეადრეგათავისუფლება (ქალები)	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	ჯამი
ამნისტია	1185			1185
მოხსნა (კომისია)	71	53	30	154
საერთორაოდენობა	1256	53	30	1339

წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას ზოგად კონტექსტში შევაფასოთ ის ტენდენციები, რაც 2013-2015 წლებში მიმდინარეობდა, როგორც პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ ქალებთან მიმართებაში, ასევე პრობაციის ეროვნულ სააგენტოში. ხელშესახები ცვლილებები იგრძნობა განსაკუთრებით 2013 წელს და ეს დაკავშირებულია 2012 წელს

ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილებასთან. 2013 წელს ქალ პრობაციონერთა რაოდენობა 2265-დან შემცირდა 581-მდე, რაც ნამდვილად მისასალმებელია.თუმცა, შემდგომ წლებში მათი რაოდენობა გახდა ზრდადი და 2015 წლის ბოლოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ იყო 1063 მსჯავრდებული ქალი (აქედან 6 არასრულწლოვანი გოგონა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს განხორციელებული ცვლილებები წარმოადგენდა პოლიტიკური ხასიათის ცვლილებებს და არა სამართლებრივ ანალიზზე დაფუძნებულს, რის გამოც,უკვე მომდევნო წლებში დაიწყო პრობაციონერების მკვეთრი ზრდა და არის რისკი, რომ იგი კიდევ უფრო გაიზრდება არსებული ტენდენციების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია შემუშავდეს ანალიზზე დაფუძნებული მიდგომები და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები სხვადასხვა უწყებების მიერ.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო შეიქმნა 2014 წელს და აღნიშნული წლის განმავლობაში ახორციელებდა სარეაბილიტაციო პროგრამებს პირობით მსჯავრდებულებისთვის, მათ შორის ქალ პირობით მსჯავრდებულთათვის თბილისსა და რეგიონებში. პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ იქნა მოწოდებული ინფორმაცია 2014-2015 წლებში განხორციელებული პროგრამების თაობაზე.

საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები
2014 წელი

- თვითდახმარების ჯგუფური შეხვედრები პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებული პირებისათვის;
- ტრენინგი - ძალადობის რაობა და ძალადობისაგან დაცვის საკანონმდებლო მექანიზმის მიმოხილვა;
- ტრენინგი - პიროვნული განვითარება და ცხოვრებისეული ფასეულობები;
- საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა; კომუნიკაცია/ კონფლიქტების მართვა;
- პენიტენციური სტრესი;
- ბრაზის მართვის სატრენინგო მოდული;
- დამოკიდებულებების დაძლევის ხელშეწყობა;
- სტრესის მართვა;
- საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი პ/მსჯავრდებულთათვის სახელმწიფოში არსებული მომსახურებების შესახებ;
- დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის ტრენინგი ახალგაზრდებისა და არასრულწლოვნებისათვის.

2014 წელს სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ ქალ პირობით მსჯავრდებულთა მონაცემები რეგიონების მიხედვით		
რეგიონი		**პირობით მსჯავრდებულები**
1.	**თბილისი**	**37**
2.	**იმერეთი**	**8**
3.	**ქვემო ქართლი**	**22**
4.	**სამეგრელო**	**1**
5.	**სამცხე-ჯავახეთი**	**1**
სულ		**69**

პრობაციონერთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 10 %.

2015 წელს ქალ პირობით მსჯავრდებულებთან ხორციელდებოდა შემდეგი სახის სარეაბილიტაციო პროგრამები:

- ტრენინგი ოჯახური ძალადობის შესახებ (ძალადობის რაობა, მსხვერპლისა და მოძალადის მახასიათებლები; ძალადობის ამოცნობა და რეფერირება ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე);
- მოძალადესთან და მსხვერპლთან თერაპიული მუშაობა;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და თანადგომა;
- ტრეფიკინგის მსხვერპლებთან თერაპიული მუშაობა;
- თვითდახმარების ჯგუფები;
- ცხოვრებისეული ფასეულობები;
- ადიქტოლოგია-ჩავარდნის პროფილაქტიკა;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა (რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ინტერპერსონალური ურთიერთობა, კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესება, ემოციური აგრესიისა და კონფლიქტის მართვა, სტრესის დაძლევა, მომავლის დაგეგმვა);
- პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული;
- კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა;
- ბრაზის მართვის სატრენინგო მოდული;
- გათავისუფლებისათვის მზადების პროგრამა (რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: საკუთარი თავის ანალიზი, პენიტენციური სტრესი, ნასამართლეობის სტიგმა, სოციალური უნარები, მომავლის დაგეგმვა);
- თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული;

2015 წელს სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ ქალ პირობით მსჯავრდებულთა მონაცემები რეგიონების მიხედვით		
რეგიონი		პირობით მსჯავრდებულები
1.	შიდა ქართლი	12
2.	მცხეთა-თიანეთი	0
3.	ქვემო ქართლი	22
4.	კახეთი	9
5.	სამცხე-ჯავახეთი	5
6.	იმერეთი	8
7.	გურია	11
8.	სამეგრელო-ზემო სვანეთი	8
9.	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1
10.	აჭარა	18
11.	თბილისი	85
სულ		179

ქალ პრობაციონერთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 17%.

სარებილიტაციო პროგრამები, რომლებიც ამჟამად ხორციელდება პრობაციის ეროვნულ სააგენტოში

- ტრენინგი ოჯახური ძალადობის შესახებ (ძალადობის რაობა, მსხვერპლისა და მოძალადის მახასიათებლები; ძალადობის ამოცნობა და რეფერირება ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე);
- მოძალადესთან და მსხვერპლთან თერაპიული მუშაობა;
- ტრეფიკინფის მსხვერპლთა დაცვა და თანადგომა;
- ტრეფიკინგის მსხვერპლებთან თერაპიული მუშაობა;
- თვითდახმარების ჯგუფები;
- ცხოვრებისეული ფასეულობები;
- ადიქტოლოგია-ჩავარდნის პროფილაქტიკა;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის სატრენინგო მოდული;
- საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა (რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ინტერპერსონალური ურთიერთობა, კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესება, ემოციური აგრესიისა და კონფლიქტის მართვა, სტრესის დაძლევა, მომავლის დაგეგმვა);

- პენიტენციური სტრესის მართვის სატრენინგო მოდული;
- კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა;
- ბრაზის მართვის სატრენინგო მოდული;
- პოზიტიური აზროვნების პროგრამა;
- აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება;
- სოციალურ გარემოში ადაპტაციის პროგრამა;
- ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები;
- მომავლის დაგეგმვა

არასრულწლოვნებს მიეწოდებათ შემდეგი სარეაბილიტაციო პროგრამები:

- ადამიანის უფლებების, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარების ტრენინგ პროგრამა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა;
- დანაშაულის გაცნობიერება.

მისასალმებელია, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის პროგრამები, განსაკუთრებით ქალთა გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებთან დაკავშირებით და ამ მხრივ საკმაოდ დიდია სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს როლი. თუმცა აღნიშნული პროგრამები არ არის საკმარისი და ვერ პასუხობს არსებულ საჭიროებებს. თუ ავიღებთ თბილისის მაგალითს სადაც ყველაზე დიდი რაოდენობაა პრობაციორების:

2014 წლის ბოლოს იყო 336 პრობაციონერი, ხოლო შესაბამისი სერვისებით ისარგებლა მხოლოდ 37-მა (11%).

2015 წლის ბოლოს 485 პრობაციონერი და შესაბამისი სერვისებით ისარგებლა მხოლოდ 85-მა (17%).

ჯამში 2015 წელს პრობაციონერების მხოლოდ 17% -მა ისარგებლა შესაბამისი სერვისით.

გ) ინდივიდუალური მიდგომა

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე -*2014 წლის სექტემბრიდან საპილოტე რეჟიმში, ხოლო 2015 წლის 5 ივნისიდან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N39 ბრძანების შესაბამისად ახორციელებს სრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულებისთვის სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებას. აღნიშნული მომსახურება გულისხმობს ბენეფიციარებთან როგორც ჯგუფურ, ისეინდივიდუალურ მუშაობას. რეაბილიტაციის პროცესში ჩართული სპეციალისტები მომსახურების მიწოდებისას ხელმძღვანელობენ სარეაბილიტაციო*

პროგრამების მოდულების საშუალებით, რომლებიც მიმართულია კონკრეტული პრობლემური საკითხის მოგვარებისკენ (მაგალითად, ბრაზის მართვის უნარების გაუმჯობესება, კონფლიქტების მართვისა და ასერტული უნარების გამომუშავება, ცხოვრებისეული ღირებულებების გააზრება, ცხოვრებისეული რისკების გააზრება და პიროვნული რესურსების მოძიება მათთანგასამკლავებლად, მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულებასთან გამკლავება და ა.შ.). პრობაციის ეროვნული სააგენტოს ყველა ბიუროში, პრობაციონერებთან მუშაობა ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში აპრობირებული, რისკებისა და საჭიროებების შეფასების და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიით. ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის განსაზღვრას ახორციელებენ პრობაციის ოფიცერი, საჭიროებისამებრ სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. შეფასების განხორციელების შემდეგ პრობაციონერთან დგება სასჯელის ინდივიდუალური გეგმა, რომელშიც აისახება რეაბილიტაციის პროგრამა. გეგმის თითოეულ პუნქტზე განისაზღვრება პასუხისმგებელი პირი. შესაბამისი სპეციალისტი აწვდის სარეაბილიტაციო მომსახურებას ბენეფიციარს, ახორციელებს მონიტორინგს, მხარდაჭერას, დამატებითი (გვერდითი) საჭიროებების შემთხვევაში, ამისამართებს სხვადასხვა გარე სერვისებთან. მუშაობის ამგვარი მეთოდი ვრცელდება ყველა პრობაციონერზე, შესაბამისად პრობაციის სისტემაში მოხვედრილი ქალი პრობაციონერები ჩართული არიან სარეაბილიტაციო პროცესში დარისკებისა და საჭიროებების შესაბამისად მათთან მუშაობს შესაბამისი სპეციალისტი.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია **სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესშიჩართულ ქალთა რაოდენობის შესახებ. აქვე წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ჩართული მსჯავრდებულების რამდენმა პროცენტმა ისარგებლა სხვადასხვა სახის სერვისებით.**

- 2013 წელს - 334 ქალი მსჯავრდებული;
- 2014 წელს - 588 ქალი მსჯავრდებული (69 პ/მსჯავრდებულმა ქალმა ასევე ისარგებლა სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს მომსახურების სერვისით (12%));
- 2015 წელს - 907 ქალი მსჯავრდებული (179 პ/მსჯავრდებულმა ქალმა ასევე ისარგებლა სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს მომსახურების სერვისით (19%)).

უნდა აღინიშნოს, რომ ბენეფიციარებმა, რომლებიც პირობით მსჯავრს იხდიდნენ, აღნიშნეს, რომ არ არიან ჩართული ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში. ხაზი უნდა გაესვას, რომ ინდივიდუალური მიდგომა არის სარებილიტაციო პროცესის ორგანიზების ყველაზე ეფექტიანი გზა. ამ პროცესში ხდება რისკებისა და საჭიროებების შეფასება და ამის საფუძველზე - პირის ჩართვა სხვადასხვა ტიპის სარებილიტაციო პროგრამებში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2014 წელს ინდივიდუალური დაგეგმვის

პროცესში ჩართულმა მხოლოდ 12% ისარგებლა სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს მომსახურეობით, ხოლო 2015 წელს კი 19%. აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია თუ რას მოიცავს ინდივიდუალურ დაგეგმვაიმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც არანაირ სარეაბილიტაციო პროგრამებშიარ არიან ჩართული.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქალი პრობაციონერების ჩართვა სარეაბილიტაციო პროგრამებში ხდება ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის შესაბამისად. აღნიშნულის შეფასებას ახორციელებს პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. შეფასების შედეგად გამოკვეთილი საჭიროების მიხედვით ქალი პრობაციონერი შესაძლოა ჩაერთოს ისეთი ტიპის სარეაბილიტაციო პროგრამებში, რომელიც გულისხმობს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ სოციალურ გარემოში ადაპტაციის ხელშეწყობას, სოციალური უნარების შეძენა-განმტკიცებას, ასევე პროფესიული და პიროვნული რესურსების რეალიზებაში დახმარებას, ინდივიდუალურ ფსიქო-თერაპიულ მუშაობას და სხვა. პროფესიული დახმარების თვალსაზრისით ქალი პრობაციონერების ჩართვა ხდება შესაბამის პროფესიულ კურსებში, რომლის ორგანიზატორი არის ორგანიზაცია „ქალი და ბიზნესი“. სპეციფიკური საჭიროებების შემთხვევაში, თუკი პრობაციონერი ქალი ძალადობის მსხვერპლია, ან იკვეთება ძალადობის და ტრეფიკინგის რისკი, ფსიქოლოგის ინდივიდუალური მუშაობის გარდა, მუშაობა მიმდინარეობს ოჯახის სხვა წევრებთან, ასევე ხდება მათი გადამისამართება შესაბამის გარე მომსახურებებთან (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი და სხვა). ტარდება შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამები: ტრენინგი ოჯახური ძალადობის შესახებ, ძალადობის რაობა (მსხვერპლისა და მოძალადის მახასიათებლები, ძალადობის ამოცნობა და რეფერირება ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე), მოძალადესთან და მსხვერპლთან თერაპიული მუშაობა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და თანადგომა, თვითდახმარების ჯგუფები. სპეციფიკური საჭიროებების გარდა, ნებისმიერი ფუნქციონირებადი სარეაბილიტაციო პროგრამა შედგენილია საჭიროების მიხედვით და მუშაობა მიმართულია სხვებისადმი ან საკუთარი თავისადმი ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის შემცირების მიმართულებით.

ასევეაღინიშნა, რომ პრობაციის ეროვნული სააგენტოს კონტროლის/ზრუნვის ქვეშ იმყოფებიან რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალი ბენეფიციარები, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლის პრობაციის ბიურო). მათი ჩართვა სარეაბილიტაციო პროგრამებში მიმდინარეობს გაწერილი პროცედურებითა და რისკისა და საჭიროებების შეფასების შედეგად. ამ კუთხით 2015 წლის ოქტომბერში სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ყველა თანამშრომელთათვის, ასევე მენტორი ოფიცრებისთვის განხორციელდა გადამზადების პროგრამა.

,,არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანამხმად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფუნქციაა სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ (ორსული ქალისათვის – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე) სამართლებრივი აქტის აღსრულება. წარმოგიდენთ 2013-2015 წლების სტატისტიკას:

სასჯელის გადავადება (ქალ მსჯავრდებულებზე)	რაოდენობა	საფუძველი
2013 წელი	**2**	ერთ წლამდე ბავშვის მოვლა
2014 წელი	**1**	ერთ წლამდე ბავშვის მოვლა
2015 წელი	**1**	ერთ წლამდე ბავშვის მოვლა

ამ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გავაკეთოთდასკვნა, რომ სასამართლო ძალიან იშვიათ შემთხვევებში იყენებს სასჯელის გადავადების მექანიზმს იმ ქალების მიმართ, ვისაც ყავს მცირეწლოვანი შვილები. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო იკვეთება წინასასამართლო ანგარიშების მნიშვნელობა, იმ მიზნით რომ სასამართლოს მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია ქალების გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების თაობაზე.

რეკომენდაციები

- უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები ყველა მსჯავრდებული ქალის მიმართ, ვისაც ამის საჭიროება აქვს;
- განხორციელდეს ინდივიდუალური მიდგომის პროცესში არსებული პროცედურების და ინსტრუმენტების გადახედვა, რომ აღნიშნული პროცესი არ წარმოადგენდეს ფორმალობას.

ნაწილი 6. სახელმწიფო პოლიტიკა

6.1 შესავალი

ძალიან მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ როგორია სახელმწიფო პოლიტიკა კანონთან კონფლიქტში მყოფ ქალთა გენდერ-სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინების კუთხით. კანონმდებლობის და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების საჯარო განცხადებების გარდა, სახელმწიფო პოლიტიკა ასახვას ჰპოვებს სხვადასხვა სახის სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში. ასეთი ტიპის დოკუმენტები, რომლებსაც პირდაპირი ან/და ირიბი შეხება აქვთ მართთლმსაჯულების სფეროში ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებთან არის - ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმა, გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა და სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რომ განვიხილოთ ამ დოკუმენტების დადებითი მხარეები და ის ხარვეზები, რაც გამოიკვეთა მათი იმპლემენტაციის პროცესში.

6.2 ძირითადი ნაწილი

ა) ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმა

2014 წლის 9 ივლისს საქართველოს მთავრობის N445 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა <u>საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა</u> (2014-2015 წლებისთვის) და საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შემადგენლობა და მისი დებულება. დადგენილების საფუძველზე აღნიშნული აქტის მიზანი იყო, რომ საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვნად მიიჩნევდა მოქმედი აქტების პარალელურად მიღებული ყოფილიყო საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასთან (2014-2020 წლებისთვის) შესაბამისობაში განსაზღვრავდა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. აღნიშნული გეგმა მოიცავს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად სფეროს, მათ შორის მართლმსაჯულების სფეროში ქალთა სპეციფიკური საჭიროებების კუთხით.

ბ) გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა

გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად - *“საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს გენდერულ სფეროში საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, აღნიშნულთან მიმართებით პარლამენტის გადაწყვეტილებათა*

შესრულებისათვის ხელისშეწყობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლს .. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.“ აღნიშნული ნორმის საფუძველზე, პარლამენტის დადგენლებით, 2014 წლის 24 იანვარს დამტკიცდა „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014−2016 წლების სამოქმედო გეგმა“. სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად, აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგი სახის ქვე-თავს - <u>გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა სამართალდაცვისა და სასჯელაღსრულების სფეროში.</u>

გ) სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულება №591-ის საფუძველზე, შეიქმნა სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს და განახორციელოს სისხლის სამართლის რეფორმა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ასევე, კოორდინაცია გაუწიოს სისხლის სამართლის სფეროში საუწყებათაშორისო საქმიანობას. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან როგორც სამთავრობო უწყებების, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.საკოორდინაციოსაბჭოსწესდებაგანსაზღვრავსსაბჭოს წევრობასა და ფუნქციებს. აღნიშნული საბჭოს მიერ პერიოდულად ხდება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლება. სტრატეგიის ზოგადი პრიორიტეტებია:

- სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, მოდერნიზაცია, საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე;

- დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია, დანაშაულის დონის

შემცირება, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

- პროკურატურის დამოუკიდებლობის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;

- იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

- სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლება;

- პატიმართა პირობების გაუმჯობესება და სასჯელაღსრულების სისტემაში ჯანდაცვის სისტემის რეფორმა;

- ეფექტიანი რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის მიზნით პრობაციის სისტემის რეფორმა;

- სახალხო დამცველის აპარატის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

- რეაბილიტაციაზე, რესოციალიზაციასა და დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა და განვითარება;

- იურიდიული განათლების სისტემის დახვეწა და განვითარება, იურიდიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ამის გათვალისწინებით, სტრატეგია შეიცავს შემდეგ მიმართულებებს - სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია; პოლიციის რეფორმის სტრატეგია; პროკურატურის რეფორმის სტრატეგია; იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმის სტრატეგია; სასამართლო სისტემის რეფორმის სტრატეგიული მიმართულებები;პენიტენციური სისტემის რეფორმის სტრატეგია; პრობაციის სისტემის რეფორმის სტრატეგია;არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია; იურიდიული განათლების რეფორმის სტრატეგია; სახალხო დამცველის აპარატის სტრატეგია; სისხლის სამართლის სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სტრატეგია.

აღნიშნული სტრატეგიების საფუძველზე შესაბამისად შემუშავებულია სამოქმედო გეგმები და შესაბამისი სამუშაო ჯგუფები, რომლებმაც უნდა გაუწიონ მონიტორინგი აღნიშნული გეგმების შესრულების პროცესს, საკოორდინაციო საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ.

ზოგადად დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში სხვადასხვა ასპექტების ასახვა, რომელიც შეეხება ქალთა გენდერ-სპეციფიკურ საჭიროებებს. ეს ნათლად გამოხატავს სახელმწიფოს სურვილს დადებითი კუთხით გარკვეული ცვლილებები მოახდინოს ამ მიმართულებით. თუმცა ანალიზმა აჩვენა, რომ არსებობს გარკვეული ხარვეზები სამოქმედო გეგმების ეფექტიანობასთან დაკავშირებით. გამოიკვეთა ძირითადი ხარვეზები, რაც ამ დოკუმენტებს ახასიათებს, კერძოდ:

- **ინდიკატორები**

არსებობს ზოგადი სტანდარტები, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ინდიკატორები. ინდიკატორი უნდა იყოს - S (Specific) = სპეციფიკური (კონკრეტული, დეტალური, კარგად განსაზღვრული) M (Measurable) = გაზომვადი (ციფრები, რაოდენობა) A (Achievable) = მიღწევადი (შესაძლებელი) R (Realistic) = რეალისტური (რესურსების გათვალისწინება) T (Time-bound) = დროში გაწერილი (გააჩნია ვადები).

სამოქმედო გეგმებში ასახული კონკრეტული ინდიკატორების კრიტერიუმები, უმეტეს შემთხვევაში, არ შეესაბამება ამ მოთხოვნებს, რის გამოც გაურკვეველია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამა თუ იმ აქტივობის შესრულების შეფასება.

მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის ერთ-ერთი <u>მიზანია:</u>

პ.14.1.8. - სამართალდამცავი და სასჯელაღსრულების სფეროში გენდერული ასპექტების გათვალისწინება.

<u>ამოცანაა</u>

პ.14.1.8.3. პატიმარ ქალთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების შემდგომი გაუმჯობესება;

პ.14.1.8.5. პატიმარ ქალთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა.

<u>ხოლო ინდიკატორებია:</u>

ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული საცხოვრებელი და ყოფითი პირობებით უზრუნველყოფილი ქალთა საპატიმრო;

ინდივიდუალური მიდგომით უზრუნველყოფილი პატიმარი ქალები;

ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა გავლილ მსჯავრდებულ ქალთა რაოდენობა;

აქ წარმოდგენილი ინდიკატორებით ფაქტობრივად შეუძლებელია მოხდეს იმის გაზომვა, თუ რამდენად შესრულდა აღნიშნული გეგმის მიზანი და შესაბამისი ამოცანები. კონკრეტულად საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებიდან გამომდინარე რისი გაკეთებაა დასახული ამოცანა? საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა თუ

დაწესებულების რემონტი? კონკრეტულად რომელიმე ნაწილის რემონტი? და ა.შ. იგივე, ფსიქო-სოციალური-სარეაბილიტაციო პროგრამების გაუმჯობესების კუთხით, ამ პროცესში რამდენი ადამიანის ჩართვა არის ამოცანა? ერთის თუ ორმოცდაათის?

ასეთი სახის ხარვეზები ახასიათებს სამოქმედო გეგემებში ასახულ ინდიკატორების უმრავლესობას!

- **პასუხისმგებელი უწყებები**

სამოქმედო გეგმებში სხვადასხვა სახის აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებად, ხშირ შემთხვევაში, მითითებულია რამოდენიმე ინსტიტუცია. ამ გეგმებიდან გამომდინარე, ხშირად არ იკვეთება, თუ ვინ რა სახის აქტივობაზეა პასუხისმგებელი ან რომელი უწყებაა ძირითადი პასუხისმგებლობის მქონე და რომელი დამხმარე. აღნიშნული ხარვეზები ქმნის გაუგებრობას პასუხისმგებლობების გადანაწილების კუთხით და ხელს უშლის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას.

სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია მოიცავს <u>სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმას.</u> აღნიშნული გეგმის მთავარი მიზანი კი არის სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისთვის, მათ შორის, ბუნებრივია, ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულებისთვის. გეგმაში მოცემულია აქტივობები რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის განვითარების კუთხით და თითოეული აქტივობის შესრულების პასუხისმგებელ უწყებად, თითქმის ყველა შემთხვევაში მითითებულია - დანაშაულის პრევენციის ცენტრი, პრობაციის ეროვნული სააგენტო და პენიტენციური დეპარტამენტი.

გარდა იმისა, რომ ინდიკატორები არის ბუნდოვანი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, გაურკვეველია ამ უწყებებიდან ვინ რა კომპონენტის შესრულებაზე არის პასუხისმგებელი. ასეთი ტიპის ხარვეზები ახასიათებს ასევე სხვა სამოქმედო გეგმებსაც, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც პასუხისმგებელ ინსტიტუციად მითითებულია მხოლოდ ერთი უწყება.

- **ბიუჯეტი**

ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი, რაც ძირითადად ახასიათებს სამოქმედო გეგმებს არის ბიუჯეტის არარსებობა. ხშირ შემთხვევაში, დაფინანსების წყაროდ მითითებულია - სახელმწიფო ბიუჯეტი და დონორი ორგანიზაციები. თუმცა არ არის მითითებული კონკრეტული თანხის მოცულობა, რაც საჭიროა ამა თუ იმ აქტივობის შესრულებისთვის. გარდა ამისა, საბიუჯეტო თანხებთან მიმართებაში არ ჩანს თუ როგორ და ბიუჯეტის რა ნაწილში შესაძლოა მოხდეს ამ რესურსის გათვალისწინება; არის ან იქნება თუ არა ამ პროცესში ჩართული ფინანსთა სამინისტრო; აისახება თუ არა პროგრამული ბიუჯეტირების რომელიმე ნაწილში თუ ზოგადად ბიუჯეტის სხვა კომპონენტებში და ა.შ. ასევე ბუნდოვანია

დონორი ორგანიზაციებიდან დაფინანსების მიღების გზები და თუ ვერ მოხერხდა ამ თანხების მოძიება, რა ბედი ეწევა აღნიშნული აქტივობის შესრულებას.

- **მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიზნები და ამოცანები**

სამოქმედო გეგმებში ასახულია სხვადასხვა ტიპის აქტივობები. მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ მტკიცებულებებს (კვლევებს, ანგარიშებს, ანალიზს) და საჭიროებებს, რომლებიც არის კონკრეტული ამოცანის გადაჭრის კუთხით. კვლევამ აჩვენა, რომ სამოქმედო გეგმაში აქტივობების ასახვის შეთავაზებას ახდენს შესაბამისი უწყებები, თუმცა ამ დოკუმენტებში არ ჩანს თუ რა სახის მტკიცებულებებს ეფუძნება ამა თუ იმ აქტივობის საჭიროება. შესაბამის სამოქმედო გეგმაში ასახვის ერთადერთი ფილტრი არის ის, რომ იგი უნდა შეესაბამებოდეს სტრატეგიის ზოგად ამოცანებს, თუმცა კონკრეტულად რის საფუძველზე ხდება იმის განსაზღვრა არის თუ არა ამა თუ იმ აქტივობის ასახვის საჭიროება, ამ დოკუმენტებში არ ჩანს.

- **რისკები**

თითოეული გეგმის სხვადასხვა კომპონენტების შესრულებას შესაძლოა ახლდეს რისკები, რომ გარკვეული მიზეზების გამო (პოლიტიკის ცვლილება, რესურსების მოძიების პროცესში არსებული პრობლემები და ა.შ) ვერ მოხდეს ამ აქტივობის შესრულება ან გახდეს გარკვეული კორექტირების საჭიროება. ნებისმიერი სამუშაო შეიცავს რისკს/რისკებს. აუცილებელია რისკების მენეჯმენტი/მართვა, რომ ძირითადი სირთულეები, რომელიც თითოეული უწყების წინაშე შეიძლება წარმოიშვას, განხილული იყოს მისი განხორციელების დაწყებამდე და გათვალისწინებული იყოს შესაბამის გეგმებში. სამწუხაროდ, ასეთი სახის რისკების შეფასების კომპონენტები სამოქმედო გეგმებში ასახული არ არის.

მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმაში ასახული იყო ამგვარი აქტივობა - პ.5.1.8.1.<u>არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარი მონიტორინგის საბჭოს ჩამოყალიბება.</u> აღნიშნული საბჭოს ფუნქცია უნდა ყოფილიყო დახურული ინსტიტუციების მონიტორინგი ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით შეფასების მიზნით. ბუნებრივია, ამ საბჭოს ფუნქცია იქნებოდა, იმ პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგი, სადაც ქალი ბრალდებულები/მსჯავრდებულები არიან განთავსებული. პასუხისმგებელ უწყებად მითითებული იყო სასჯელაღრულებისა და პრობაციის სამინისტრო. თუმცა, აღნიშნული აქტივობა არ შესრულდა და არც რაიმე სახის განმარტება გაკეთებულა ამის შესახებ, თუ რა იყო ამის მიზეზი და არც წინასწარ ყოფილა შეფასებული რისკები, რის გამოც ეს კომპონენტი შესაძლოა ვერ შესრულებულიყო.

- **სამოქმედო გეგმების სხვადასხვა აქტივობების გადაფარვა და უწყებებს შორის კოორდინაციის პრობლემები**

გარდააღნიშნულისამოქმედოგეგმებისა,სხვადასხვაუწყებებშიარის შემუშავებული სხვადასხვა სახის სამოქმედო გეგმები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, არ არის შესაბამისობაში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებთან. მაგალითად, ამჟამად მთავარი პროკურატურა ამუშავებს შიდა სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას, თუმცა როგორც იქნა განმარტებული უწყების წარმომადგენლების მხრიდან, ამ კუთხით სხვა უწყებებთან კომუნიკაცია არ არის და სავარაუდოდ, არც იგეგმება. არსებობს სისხლის სამართლის რეფორმის ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს პროკურატურის რეფორმის ნაწილსაც, თუმცა მოხდება თუ არა ამ გეგმის ერთიან გეგმაში ინტეგრირება, ამაზე პროკურატურა არ არის ჩამოყალიბებული. ამ გეგმის შემუშავების პროცესში არ ხდება საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში არსებული სამუშაო ჯგუფის ფორმატში კონკრეტული საკითხების განხილვა. სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს მნიშვნელოვანია, რომ გეგმა ერთიანი ხედვის ნაწილი იყოს, უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, გათვალისწინებული იყოს საბიუჯეტო საკითხები, (ფინანსთა სამინისტროსთან) და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

გარდა ამისა, არის ხშირი შემთხვევები, როცა სამოქმედო გეგმებში ასახული აქტივობები ერთმანეთს ფარავს, რის გამოც რთული არის იმის განსაზღვრა, თუ რომელი უწყება არის პასუხისმგებელი კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე. ეს იწვევს ბუნდოვანებას და სირთულეებს ერთიანი პოლიტიკის წარმოების კუთხით, რაც გამოკვეთა კიდეც კვლევამ.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ქალთა სხვადასხვა სახის საჭიროებები გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში . თუმცა, ზემოაღნიშნული ხარვეზები ქმნის იმის რისკს, რომ გეგმებში ასახული აქტივობების უმრავლესობა ვერ შესრულდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ მათ შესწავლილი აქვთ აღნიშნული ხარვეზების უმეტესობა და გეგმავენ განახლებულ სამოქმედო გეგმებში მათ გათვალისწინებას.

რეკომენდაციები

- სამოქმედო გეგმებში ინდიკატორები განისაზღვროს “SMART” პრინციპით;

- სამოქმედო გეგმებში თითოეული აქტივობის შესრულების მიზნით განისაზღვროს კონკრეტული მოცულობის თანხა და მისი მოძიების გზები;

- სამოქმედო გეგმებში თითოეული აქტივობის შესრულებაზე განისაზღვროს კონკრეტული პასუხისმგებელი უწყება;

- სამოქმედო გეგმებში კონკრეტული აქტივობის საჭიროება განისაზღვროს მტკიცებულებებზე დაყრდნობით;

- სამოქმედო გეგმებში კონკრეტული აქტივობის შერულებასთან დაკავშირებით განისაზღვროს რისკ-ფაქტორები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მის შესრულებას;

- სამოქმედო გეგმებში აქტივობების განსაზღვრა განხორციელდეს სხვადასხვა უწყებებთან კოორდინირებულად, იმ მიზნით, რომ არ მოხდეს გეგმებში ასახული აქტივობების გადაფარვა.